

# ბურის

REGION

სოციალური გამოცემა

ფასი 1,50 ლარი

№9, 2014, ნოემბერი

ბექა

სისარულიძის  
ახალი ფილმი  
ბაბუს მევაღა

საქართველო, როგორც  
ევრაზიის ოქროს ჯვრითა

3 წლის ოთხი ბარქანიშვილს ჩაქურა  
და ყაბალახი ემოსა

მხატვარმა ლიდარობა ცხვარჩაცხ მიანიჭა

ლომის მსოფლიო კლანდოლინის ეთაფარო აფრთხილება იფრა



# შენენე შაროზიას თვალის კლინიკა

გთავაზობთ უახლესი ტექნოლოგიებითა და მეთოდებით ბავშვთა და მოზრდილთა თვალის ისეთი დაავადებების კომპლექსურ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას, როგორებიცაა: სიელმე, ამბლიოპია, რეფრაქციის ანომალიები (მიოპიური, ჰიპერმეტროპიული და შერეული ასტიგმატიზმები), კატარაქტა, გლაუკომის სანყისი სტადიები, ბალურის დისტროფიები, უცხო სხეულები, ტრავმები, მინისებრი სხეულის შემღვრევა, ბლუფარიტები, დაკრიოციტები, კერატიტები, ინფექციური და არაინფექციური გენეზის კონიუნქტივიტები და სხვა უცხო გენეზის დაავადებები.



მისამართი: თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა №3  
(ყოფილი შაროზიას ქუჩა) მეტრო მარჯანიშვილთან  
ტელ: 2 95-98-98 მობ: 593 31-00-30; 593 94-86-26  
E-mail: [eyecliniesherozia@gmail.com](mailto:eyecliniesherozia@gmail.com)

ეკოლოგიაში ყოფნა, ადამიანად ყოფნაა	2	გურიაში ჩასვლა - ეს იყო მრავალ-პროფილური ამბულატორია ბორბლებზე	18
საქართველო, როგორც ევრაზიის ოქროს ჯვება	4	ფუტარს ცოცხალ აფთიაქს უწოდებენ	20
როდის მიეწოდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს ხარისხიანი წყალი?!	7	სახელმწიფო მეფუტარეობის საქმით არ ინტერესდება მხატვარმა ლიდერობა ცხვარჯაცს მიანიჭა	22 24
გამგებლობა რთულ და გარდამავალ პერიოდში მომინა	8	ქართული ხალხური სიმღერაც ღმერთის სახეთრებაა	26
მე ვარ იქ, სადაც ქვეყანას სჭირდება	9	ხალხური სიმღერის უბადლო შემსრულებელი	29
სუფსის ხეობის საინიციატივო ჯგუფის სამოქმედო გეგმა	10	ვაჟა-ფშაველა ჩემი პირველი მოძღვარია	32
სამი ძმები გურულები...	11	საბავშვო ბაღებში ახალი აქტივობებია დაგეგმილი	36
დაჯარიმებულია მთელი საქართველო	13	ღომის მარცვალი ჯალანდობის მთავარი ატრიბუტი იყო	37
ჩვენ არ გვემინია მოვალეობების, ჩვენ მივესალმებით მათ	15	მეცოლოების ვერსია	39

<p><b>დაფუძნებელი - ანა თოხაძე</b>  <b>მთავარი რედაქტორი - ლელა სურგაძე</b>                  მისამართი: თბილისი, ვ.გაბაშვილის 5 №38                  ტელ: 558 25 65 50; 555 55 98 44; 790 46 48 01                  ელფოსტა: <a href="mailto:Guriaregion14@mail.ru">Guriaregion14@mail.ru</a></p>	<p><b>კვირფასო კითხვებო!</b>                  მოგვანოდეთ თქვენი პუბლიკაციები, მოთხრობები, ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ თქვენი პრობლემები და მოგვიყვით საინტერესო ამბები. გაითვალისწინეთ, მონოდებული მასალის ჟურნალში განთავსება ფასიანია.</p>
---	--

რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აწვდის ავტორი, ხოლო საჩრდილო ბჟიზი პასუხისმგებლობა რედაქციის შემავტომს ეკისრება.

# ეკლესიაში ყოფნა, ადამიანად ყოფნა

ვინ არიან ისინი, ვინც არ დადიან ტაძარში?! ნუთუ ისინი ადამიანები არ არიან, მათ არ აქვთ ფეხები, ყურები, თვალები. ჩემო მეგობარო, თვალები, ფეხები და სხვა ორგანოები ცხოველებსაც აქვთ და თანაც უფრო დიდი ზომისა, მაგრამ ამის გამო ისინი არ არიან ადამიანები. ადამიანები ცხოველებისაგან განირჩევა არა მარტო გარეგნობით, არამედ ღვთისაგან ბოძებული აზროვნებითაც, რის ერთ-ერთ გამოვლინებასაც ეკლესიურობა წარმოადგენს. თუ ადამიანი არ დადის ეკლესიაში, ნუ მიწყენთ და იგი ემსგავსება ცხოველს. თვითონ დაფიქრდი, მთელი კვირის განმავლობაში ის მუდმივად დაკავებულია საკვების მოპოვებით, მუშაობს, რომ გამოკვებოს საკუთარი თავიც და ოჯახიც. მას სძინავს, სძინავს მხეცსაც. ის ჭამს საჭმელს, ჭამს პირუტყვიც. ისვენებს, დასვენება სჭირდება ოთხფეხსაც. მაშ, რა განსხვავებაა? განსხვავება ჩანს კვირა დღეს. ადამიანი მიდის ტაძარში და იქ წარსდგება ღვთის წინაშე, რასაც ცხოველი არ აკეთებს. ვინც არ დადის ეკლესიაში, ივინყებს, რომ ადამიანი და ეშვება ცხოველური ცხოვრების წესამდე. ველურდება და მხეცად იქცევა. ის შეიძლება ჰალსტუხს ატარებდეს, დადიოდეს სუფთად, გაპარსული, მაგრამ მისი გული, მხეცის გულია.



ქუთაისის დედათა მონასტერი

## საზოგადოებრივი ბედნიერების წყარო

რისგან იტანჯება დღეს საზოგადოება? ძლიერთა ამაჟვეყნისა მტრობისა და განხეთქილებისაგან. საკუთარი თავის სიყვარულისა და გულქვაობისაგან. უსამართლობისა და ტყუილისაგან. ტაძარი, კი, საერთო საქმის სახელოსნოა. საზოგადოებრივი სამართლიანობის საოცარი წყარო. სახარების კითხვით, ხარებით იშლება საზოგადოებრივი ზღვრები, როგორც იერიქონის კედლები. ადამიანთა დაყოფა, გამოწვეული სოციალური განსხვავებით, ტაძრის მიღმა რჩება. მდიდარი და ღარიბი, დიდი და პატარა, მაღალი და დაბალი მდგომარეობის მქონენი, მეგობრები და ყოფილი მტრები, აქ თანაბარნი არიან და იზიარებენ ერთი წმინდა ბარძიმიდან. ეკლესიაში ყველანი ღვთის მონები, საერთო მემკვიდრეობის, ცათა სასუფეველის მქონე ძმები არიან. მათი გულები ტაძრიდან მშვიდნი და თავმდაბლნი გამოდიან. სახლებში უფრო თავშეკავებულები ბრუნდებიან. თუ ტაძარში შედის ძუნწი, მდიდარი და ესმის სახარების სიტყვები – „უგუნურო, ამას ღამესა მიგიღოს სული შენი შენგან. ეგე რომელი მოემზადეს, ვისი იყოს.“ მისი სულის გაღიზიანებას იწვევს სინდისის ქეჯნა. ის ელოდება სახლში წასვლის დროს. რატომ? საქმე იმაშია, რომ მან გუშინ უსამართლოდ მიითვისა თავისი ძმის ქვრივის

ერთადერთი სახლი. ლიტურგიის შემდეგ მიისწრაფვის მასთან შესახვედრად. მაპატიე, ეუბნება ის, არასწორად მოვიქეცი, სახლი შენია, მე გიბრუნებ მას. ბევრია ისეთი, ვინც გუშინ თავს ჭრიდა საზოგადოებას, ტანჯავდა ოჯახს, მაგრამ ეკლესიაში მოსვლამ შეცვალა. პირიაში ცხოვრობდა ერთი ხულიგანი, ის ადრე დაობლდა, 12 წლის ასაკიდან დაიწყო ქურდობა, ჩაეფლო ცხოვრების ჭაობში, მისი მეგობრებსაც კი ეშინოდათ, მისი ეშინოდა ცოლსაც და ოჯახსაც. გალოთდა, ღამე გვიან ბრუნდებოდა სახლში. ერთმა მეწაღემ დაიყოლია, კვირა დღეს წასულიყო ტაძარში, მასზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა იმან, რომ იქ მყოფნი არ ჰგავდნენ მის მეგობრებს. მან დაიწყო ეკლესიაში სიარული, ჩააბარა აღსარება,

მიატოვა სმა და ნარკოტიკები, ფული სახლში მიჰქონდა, ხელი მოჰკიდა ბავშვების აღზრდას. მათთან ერთად დადიოდა ტაძარში, გარშემომყოფთ მეგობრულად ექცეოდა. თვითონ კითხვა არ იცოდა, მაგრამ ყოველთვის თან ატარებდა სულის განმანათლებელ წიგნს, რათა სხვებისთვის სარგებლობა მოეტანა. ასე ეკლესიაში მისვლით, დაიწყო მისი

ცხოვრების შემობრუნება. ერთხელ ერთმა უხასიათოდ მყოფმა პორტის მუშამ მას სილა გააწნა, მაგრამ არ უპასუხა. კაფეში სადილობისას ყველა, ვინც მას იცნობდა, მსჯელობდა მომხდარზე. დღეს, ვიხილეთ საოცრება – ამბობდნენ მუშები, ბატკანი მგელს სცემდა, მგელი, კი, არ გაბრაზებულაო. ის ვინც ეკლესიაში დადის, საზოგადოების უკეთეს ნაწილს წარმოადგენს. შევადაროთ ეკლესიაში მოსიარულე ათასი კაცი და ათასი მის გარეთ მყოფი. დანაშაულებათა პროცენტი მორწმუნეებში ნაკლებია. სამართლიანად ამბობენ, როდესაც ტაძრები იხურება, იხსნება საპატიმროები და პირიქით, როდესაც ტაძრები იხსნება, საპატიმროები იხურება.

## დაცვა და ღვთის მფარველობა

ცხოვრებაში ბევრი საზრუნავია, ბევრი გაჭირვება, ბევრია გამოცდაც, ვის მივმართო დახმარებისთვის? ძლიერთა ამაჟვეყნისა, მაგრამ ისინი ყურადღებას არ მოგვაქცევენ და არც ყველა სიტუაციაში შეუძლიათ დახმარება... და მოდიან ადამიანები ეკლესიაში, როგორც ქარიშხალს გამორიდებული გემები ბრუნდებიან ნავსადგურში. წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს – „ღმერთმა დაარსა ეკლესია, როგორც ნავსაყუდელი, რათა ცხოვრების ზღვის ხმაურისა და მღელვარებისაგან შეფარებული ხალხი დატკებს დიადი სიმშვიდით. ეკლესიაში იძენ ძალებს, რათა წინ აღუდგე ცხოვრებისეულ უნესრიგობას – „უფალო, გვედრებით ყოველივე ჩვენზედა მოწვეული ჩვენდა სასიკეთოდ მოაქციე, რომელი

სწეულ არიან, დაიცევე და კურნება მიჰმადლე, მოგზაურთა თანამავალ ექმენ, განგვწმინდე ჩვენ ყოვლისაგან შეგინებისა ხორცთასა და სულისა. თუ ტაძარში დადიხარ, უფალი გიცავს ყოველგვარი თავდასხმისა და უბედურებისაგან, რომელზეც შენ წარმოდგენაც კი არ გაქვს. თეოდოსი დიდის დროს კონსტანტინეპოლში მონად გაყიდეს ვინმე თეოფილე, მშობლისადმი მისი სიყვარული იმდენად დიდი იყო, რომ დასთანხმდა, გამხდარიყო მონა, რათა მის მოხუც მამას საკვები ჰქონოდა. გამომიშვითო, ბებიას მამამ უთხრა, შვილო, რა დავალებაც არ უნდა მოგცენ, კვირას აუცილებლად მიდი ტაძარში, ლიტურგიას ბოლომდე დაესწარი, შემდეგ, კი, შენ საქმეებს შეუდექი. თეოფილეს მყიდველ იმპერატორის კარზე დანიშნურებულ პატრიცი კონსტანტინეს ძალიან შეუყვარდა იგი კეთილი ხასიათის გამო და ყოველთვის თან დაჰყავდა. ერთხელ იმპერატორთან მიმავალ კონსტანტინეს, სიჩქარეში დაავინყვდა საქალაქო მნიშვნელოვანი დოკუმენტებით. სახლში საქალაქისთვის მიბრუნებულმა თეოფილემ ნახა, რომ პატრიცის ცოლი ლალატობდა ერთ მონასთან. უსინდისო ქაღმა თავისი დანაშაულის დასაფარად სახლში დაბრუნებულ ქმარს უთხრა – ამ მონას, რომელიც სულ თან დაგყავს, ჩემი ცთუნება უნდა და გამაუპატიურებდა კიდევ, ჩემს ყვირილზე სხვა მონა რომ არ მომშველებოდა. შენ არ მოკლავ მას დამსახურებისამებრ, ანდა მე წაველ ჩემს მამასთან. დამნაშავემ დაარწმუნა ქმარი, რათა სიკვდილით დაესაჯა თეოფილე. პატრიცი მოელაპარაკა ეპარქს, რომ მისი მონისთვის თავი მოეკვეთათ და მოჭრილი თავი მისთვის გამოეგზავნათ. სასჯელის აღსრულება მომდევნო დღისთვის დათქვეს. დილით პატრიცი კონსტანტინემ უთხრა თეოფილეს – წადი ეპარქთან, მიესალმე ჩემი სახელით და ის მოგცემს პასუხს, რომელსაც ველოდები. თეოფილე, რომელმაც არაფერი იცოდა, წავიდა ეპარქთან, მაგრამ ყოვლადმინდა ღვთისმშობლის ტაძართან შეჩერდა, მიდიოდა ლიტურგია, ის შევიდა ტაძარში და ბოლომდე დაესწრო მას. ამ დროს დამნაშავე მონა ადგილს ვერ პოულობდა, მოუთმენლად ელოდა ეპარქის მიერ გამოგზავნილ ხალხს თეოფილეს თავით. ბატონო, უთხრა მან კონსტანტინეს, ხომ არ წავიდე ეპარქთან პასუხის მოსატანად? – წადი – უპასუხა პატრიციმ.



საჩქაროდ გაიქცა უსინდისო მონა ეპარქის სახლისკენ და მიესალმა მას პატრიცის სახელით. იქ მყოფმა ჯალათმა ჩათვალა, რომ ეს ის მონა იყო, ვისი მოკვლაც პატრიცის უნდოდა და ყოველგვარი ფიქრის გარეშე მოკვითა მას თავი. ცოტა ხნის შემდეგ მივიდა თეოფილე და მიესალმა ეპარქს პატრიცის სახელით. ეპარქმა გადასცა მას დაბეჭდილი ფუთა და მანაც წაულო თავის ბატონს. რა გიჭირავს ხელში? – ჰკითხა მას კონსტანტინემ. – ამანათი, რომელიც ეპარქმა გამომატანა შენთან. ტაძარში შესვლამ გადაარჩინა თეოფილე. კონსტანტინემ გაიგო სიმართლე და იშვილა იგი. თეოფილე გადარჩა ტაძარში შესვლით.

ჩემო მეგობარო, ეკლესიიდან ბრუნდები მადლითა და სიხარულით აღსავსე. „მოდი, ეკლესიაში – ამბობს იოანე ოქროპირი, რათა ნახვიდე ციური ძღვენით აღსავსე, რათა ნებისმიერ სიტუაციაში დარჩე უვნებელი და სულიერი იარაღით შეიარაღებულს, არ მოგადგეს ზიანი და არ დაემონო ეშმაკს“. ეკლესიაში მიღებული ღვთის ლოცვა-კურთხევით, შენი საქმეები უკეთესად წავა.

- რატომ მუშაობ კვირას?
- ჰკითხა ერთ-ერთმა ვაჭარმა ხელოსანს.
- იმიტომ რომ ღარიბი ვარ
- უპასუხა მან.
- რამდენი წელია მუშაობ?
- მთელი ჩემი სიცოცხლე.
- მაგრამ მდიდარი ვერ გახდი.

– მოდი, შევთანხმდეთ, რომ დაიცავ კვირა უქმეს. ექვსი დღე იმუშავე ბეჯითად, ხოლო კვირას წადი ტაძარში. მე შემოვივლი შენთან ნახევარი წლის შემდეგ, დაგიფარავ ზარალს, რომელიც გექნება ეკლესიაში სიარულის გამო. აბა, როგორ არის საქმე? – ჰკითხა მან ექვსი თვის შემდეგ – არა უშავს – იყო პასუხი. ძროხაც ვიყიდე. მართალი ყოფილა, ვინც თქვა – გადარიბების ორი უტყუარი ხერხი ვიცი – ქურდობა და კვირა დღეს მუშაობა. გაიხსენეთ, ვის დაცვას ვცდილობთ – ჩვენი ოჯახის წევრების. ასევე ღმერთიც იცავს მათ, ვინც მის ეკლესიას ეკუთვნის.

*არქიმანდრიტ ხარლამპის  
(ვასილოპოლუსი)  
ქადაგებები*



# საქართველო, როგორც ევრაზიის ოქროს კვეთა



უხსოვარი დროიდან ცნობილი მოაზროვნენი და მოგზაურნი ერთხმად აღნიშნავდნენ – კავკასიას და კერძოდ საქართველოს მსოფლიოს გეოგრაფიულ, კულტურულ და გეო-პოლიტიკურ სივრცეში განსაკუთრებული ადგილმდებარეობა უკავია. ბევრი თქმულა და დაინერა მას შემდეგ, რაც დედამიწა კონტინენტებად დაიყო, საქართველოს ხან აზიას, ხან ევროპას მიაკუთვნებდნენ, ხან კი შუაზე ჰყოფდნენ ხოლმე. ჩვენი მიზანია, შეძლებისდაგვარად ოდნავ შუქი მოვფინოთ ოქროს კვეთის პროპორციების საფუძველზე ევრაზიის გზაჯვარედინზე მდებარეობას.

– რითი გამოირჩევა ევრაზიის გზაჯვარედინზე მდებარე კავკასია – საქართველო?

– კავკასიას და კერძოდ საქართველოს მსოფლიოს გეოგრაფიულ, კულტურულ და გეო-პოლიტიკურ სივრცეში განსაკუთრებული ადგილმდებარეობა აქვს. ოქროს კვეთის და სიმეტრიის პროპორციების საფუძველზე ნათლად მოჩანს, რომ კავკასია – შუამია ევროპის, დიდი აზიის, წინა აზიის და მცირე აზიას შორის.

„საქართველო, როგორც ევრაზიის ოქროს კვეთა“, საერთაშორისო კონფერენციაზე თორნიკე ალაშვილის ერთ-ერთი მოხსენება იყო. ბიოლოგია და მედიცინიდან აღებული ოქროს კვეთის საკითხები და სიმეტრია, ასევე ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემის სივრცული მოდელი მან გეოგრაფიულ და პოლიტიკურ ასპექტებში გადაიტანა. ამერიკელი მეცნიერი, პოლიტოლოგი რაუპი ასეთ დასკვნამდე მივიდა – საქართველო და კავკასიის რეგიონს ხელი უნდა შევუწყოთ, რომ ევროპა და აზიის გეო-პოლიტიკური ცენტრი გახდეს.

– რას ნიშნავს ოქროს კვეთა და სიმეტრია?

– ოქროს კვეთა სამყაროს ჰარმონიის პროპორციაა, ბუნების მოწყობის და განვითარების ზოგად კანონზომიერებათა ფორმულაა. მოაზროვნე თვალი სამყაროს გარშემო მყოფ ნივთებს, ცოცხალ არსებებს ფერით და ფორმით განასხვავებს. ესა თუ ის ფორმა, რომელიც შექმნილია ოქროს კვეთის და სიმეტრიის ჩანაცვლების საფუძველზე, გამოირჩევა ჰარმონიით და სილამაზით. ოქროს კვეთა კი სამყაროს ჰარმონიის პროპორციაა, საერთოდ ბუნების მოწყობისა და განვითარების ზოგად კანონზომიერებათა ფორმულაა. კაცობრიობისთვის იგი ცნობილია უხსოვარი დროიდან. დიდი მეცნიერი პითაგორა ოქროს კვეთის გამოვლინებებს, ცნებებს მოიპოვებდა ძველი ეგვიპტელებისა და ბაბილონელების ნამოქმედარ-ნააზრევში, ევკლიდე მას იყენებდა თავისი გეომეტრიის შექმნის დროს. თვალ-


სად არის ნეტავ ჩვენი სანყისი – კოლხთა მეფის ოქროს სანყისი?

ნათლივ ჩანს ოქროს კვეთა ფიდასის უკვდავ სკულპტურებში, დიდი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი გვაუწყებდა, რომ სამყარო მოწყობილია ოქროს კვეთის პროპორციით, არისტოტელემ მისი ფარდობა ეთიკურ კანონებთან იპოვა. „ოქროს კვეთის“ უფლისმიერ, უმაღლეს ჰარმონიაზე ქადაგებდნენ შუა საუკუნეებისა და შემდგომი დროის ევროპული რენესანსის უდიდესი წარმომადგენლები — ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, დიურერი... საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერები პაჩოლიდან დანყებულ აინშტაინით დამთავრებული მის ზუტს მათემატიკურ რიცხვით მნიშვნელობას იძიებდნენ.

ოქროს კვეთის ასეთ პროპორციას გვთავაზობს გეომეტრია ფორმულით:



$$a : b = b : c, \text{ მაშინ, როდესაც } c = a + b.$$

$$\text{როდესაც } c = 100, \text{ მაშინ } a = 38,2..... b = 61,8.....$$




– თქვენ აღნიშნავთ, რომ ოქროს კვეთა ჰარმონიულად ჰყოფს მთლიანობას ორ ნაწილზე. როგორ განმარტავთ ამ საკითხს?

– რა ჰარმონიულ ნაწილებზე ჰყოფს ოქროს კვეთა მთლიანობას, ფილოსოფიური და საკმაოდ საინტერესო საკითხი იყო, რომელზეც არცერთ ნაშრომში პასუხი ვერ ვნახეთ. ჯერ დავაკვირდით იმ გარემოებას, რომ კვერცხი არის უნივერსალური ფორმა ცოცხალ ბუნებაში. თუ ფიზიკური სამყაროს ფორმები სფერულისკენ მიისწრაფიან, ბიოლოგიური გამოირჩევა სიმეტრიის და ოქროს კვეთის პროპორციების ჯვარისებრივი კომბინაციით, რაც კვერცხის ფორმაში გამოიხატება. მაგალითად გული და კვერცხი არის მსგავსი ფორმის. კვერცხი ყველაზე სქელ მონაკვეში, სიგრძეზე გაყოფის დროს, მთლიანობას ოქროს კვეთაზე ყოფს. ასევე არის ოქროს კვეთის პროპორციები გულში წინა გულებს და პარკუჭებს შორის.



**- რა დასკვნამდე მიხვედით?**

- დავაკვირდეთ ხეს, ცოცხალი ორგანიზმების ნაყოფს, ეს ფორმები კვერცხის მსგავსად ნახევრად სფერულია და ნახევრად წაგრძელებული. კვერცხი მდებარეული კვერცხუჯრედის და მამრული სპერმატოზოიდის განაყოფიერების შედეგად მიღებული ფორმაა. სფერო ყველაზე ოპტიმალური ფორმაა სამყაროში, ის სტაბილურობის გამოხატულებაა. კვერცხის ფორმის ნახევრადსფერო, როგორც ხვდებით, მდებარეული ნაწილია ოქროს კვეთის. მამრული, წაგრძელებული ნაწილი, კი, მოძრაობის, ქმედების, ცვლილებების ნიშანია. კვერცხის ფორმა სივრცეში და ერთ სიბრტყეზე (ფოთოლი) - ყველაზე საინტერესო და საოცარი პროპორციების მატარებელია. ერთის მხრივ ეს ფორმა სიმეტრიულია (ვერცხლის კვეთა). მეორეს მხრივ - ოქროს კვეთის პროპორციაა. სიმეტრიის და ოქროს კვეთის გადაკვეთა - სწორი პროპორციების ჯვარი, ღვთაებრივი ჰარმონიის ნიშანია. ორ ნაწილად გაყოფილი მთლიანობა, მდებარეული და მამრული, ოქროს კვეთაში განონასწორებულია, თუ ახლოსაა 0,32... და 0,62... მაჩვენებლებთან. თუ ხე ალვის ხესავით მაღალია, მასში მამრული ნაწილი მდებარეულს ჭარბობს, თუ ხე სფერულსკენ მიისწრაფვის, მაშინ მდებარეული არის დომინანტი. ფოთოლი, ხე, ხელ-ფეხის მტევნები მდებარეული საწყისის ირგვლივ იზრდება, ნაყოფი, კი, ოქროს კვეთის და სიმეტრიის გადაკვეთის წერტილის ირგვლივ. სახსრები კიდურებზე ოქროს კვეთის ადგილას არიან განლაგებული. ხელის აქტიური ნაწილი, რომლითაც ვშრომობთ, ვწერთ, წინამკლავი - მამრულია. მდებარეული, კი, მკლავი - მოკლე, მაგრამ უფრო კუნთოვანია. ასევე გულს სარქველები ჯვარისებრივად ოთხ ნაწილზე ჰყოფენ, პარკუჭები გულის მამრული მხარეა, ხოლო წინაგულები მდებარეული. შეგიძლია, დავასკვნათ ოქროს კვეთა მთლიანობას ორ - მდებარეულ და მამრულ ნაწილად ყოფს. პირველი სტაბილური ფუნდამენტი, მეორე აქტიური, შემტევი პროპორციაა. ასეთ დამოკიდებულებას გვიხსნის ჩვენ ოქროს კვეთის პროპორცია. სიცოცხლის მამოძრავებელი ძალა არის სტაბილურის და არამდგრადის შერწყმა.



ცოცხალი ბუნებისთვის დამახასიათებელია, როგორც ინდივიდუალური, ასევე ისტორიული, ევოლუციური განვითარება, ესე იგი ქაოსოდან გამოსვლა და სრულყოფილი ფუნქციონირებისკენ სწრაფვა. ამას აკეთებს არა მარტო განაყოფიერებული კვერცხუჯრედი, რომლიდან ცოცხალი ორგანიზმი ვითარდება, ასევე ევოლუციის დროს, სწორედ აქ არის ჩადებული ჰარმონიის კანონზომიერებები, რომლებსაც ღრმად შესწავლა ჭირდება. ოქროს კვეთა იმიფრება - ეს არის ქალურის და მამაკაცურის საწყისის ერთიანობა, მაგრამ იმის თქმა, რომ სიმეტრიულად ერთია, ჩვენ ისევ დავუბრუნდებით არაბიოლოგიურ, ფიზიკურ სამყაროს და განვითარებაზე საუბარი ზედმეტი იქნება.

**- რატომ გაჩნდა ქალსა და მამაკაცს შორის აგრესია, ჩვენ ფატალური შემთხვევის მონმეც ვართ. რა ხდება მათ შორის?**



- სახლს ფუნდამენტი რომ გამოვაცალოთ, დაინგრევა. მამაკაცური აუტაგრესია მაშინ ვლინდება, თუ მას სწორედ ეს ფუნდამენტი უმტყუნებს. ისინი ერთიანობაში არიან ძლიერი და ჰარმონიული. ოქროს კვეთის პროპორციის დაკარგვამ, მამაკაცს ფუნქცია წაართვა, შემდეგ სხვადასხვა პრობლემები ჩნდება - ნარკომანია, ალკოგოლიზმი, ინფარქტი, გულის იშემიური დაავადებები, აუტიზმი. დაცვითი რეაქციის ვითარებაში, მეორე ნახევრის მიმართ მან შესაძლოა აგრესია გამოავლინოს. მამაკაცი ძალიან სუსტია, მას არ აქვს თვითდაცვის უნარი, ის ექსტრემალურ სიტუაციაში ადაპტირებული, აქტიურია ომის დროს, ახალ პროფესიებს ჯერ ის ითვისებს, შემდეგ ქალები მის მიერ გაკვალულ გზას იოლად მიყვებიან და ბევრ სფეროში უკეთესები არიან. ამ დროს მამაკაცებს ფუნქცია აქვთ დაკარგული.

**- აგრესია არ აქვს გაცნობიერებული?**

- რა თქმა უნდა, არა.  
- დღეს მეცნიერება გვერდს უვლის ფორმისა და პროპორციის საკითხებს, სკოლაში გეომეტრიას და უმაღლეს მათემატიკას ასწავლიან, მაგრამ ფორმის თეორია არ აინტერესებთ, პროპორციებში თუ რა ფუნქცია აქვს ცენტრს. როცა ოქროს კვეთის სიმეტრიის გადაკვეთაზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანი ადგილი არის გადაკვეთის წერტილი, არა აქვს მნიშვნელობა ადამიანზეა საუბარი, თუ სხვა ცოცხალ არსებებზე.

**- მოამზადეთ პერიოდული სისტემის სივრცული მოდელი, სადაც სხვა ელემენტების ჯგუფებს შორის წყალბადს ცენტრალური ადგილი უკავია.**

- 1989 წელს ანტონ ლაუაზიე ქიმიური ელემენტების სიას პირველად აღწერს, პერიოდული მოდელის 3D მოდელში ჩანს, რომ პირველი ელემენტი - წყალბადი პერიოდული სისტემის რვა ჯგუფს შორის ცენტრალურია. არცერთ ჯგუფს არ მიეკუთვნება, არც ჰალოგენია, როგორც საათზე ცენტრალური წერტილი, წყალბადი ცენტრშია და მთელი პერიოდული სისტემის საერთო ელემენტი. ასეთი მდებარეობა მისი თვისებების უნიკალურობას განაპირობებს. წყალბადი სამყაროში, ცოცხალ ორგანიზმებში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს, კიდევ შეუსწავლელია მისი ფუნქციები.



**– რას ნიშნავს ცენტრი?**



– ჩვენ როცა ოქროს კვეთის სიმეტრიის გადაკვეთაზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანი ადგილი არის გადაკვეთის წერტილი. ემბრიონი ამ წერტილის გარშემო იზრდება, ცენტრი სანყისიც არის და საზრდოც, ბოლოს თითქოს უხილავი რჩება, ის საზრდო არის, მაგრამ მართვის ცენტრი აღარ არის. ჭიპლარიდან ემბრიონში შემავალი სისხლძარღვი, მის შუაში წარმოიქმნება ყრუ გაფართოება, რომლიდან პირველი ორგანო გული ვითარდება, ის იკავებს ცენტრის ფუნქციას, ხოლო მართვის ფუნქციას ტვინი იღებს, ის სულ ბოლოს ყალიბდება. ასევე კავკასიას – საქართველოს ევრაზიას შორის ასეთივე ცენტრის ადგილი აქვს. ევროპა არის ქალური სანყისი, ხოლო აზია მამრული. კავკასია წინა აზიის სანყისი ნაწილია, იქ სადაც ნოეს კიდობანი გაჩერდა და მისი ოჯახი ჩამოვიდა. ის, რაც ცივილიზაციის აკვანია წინა აზია, მისი სანყისი არის კავკასია – საქართველო. პროპორციის და სიმეტრიის ოქროს კვეთის ნაწილებიდან არ არის მათი შემადგენელი, ის არის ყველას გადაკვეთა. ამიტომ რჩება თითქოს უფუნქციო და შეუმჩნეველი, ის დაცულია. ასე უხილავი, მაგრამ საკმაოდ დატვირთული ყოველთვის არის ცენტრი. ოქროს კვეთის გადაკვეთას და ცენტრს გეოგრაფიული და პოლიტიკური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს. როდესაც პროფესორ რაუპს წამოცდა – კავკასიაში უნდა იყოს ევროპისა და აზიის გეოპოლიტიკური ცენტრი. დაუფერებელია, მაგრამ რეალობა.

**– რა დატვირთვა აქვს ცენტრს?**

– უპირველესად სულიერ-კულტურული ფუნქციები უნდა იტვირთოს. ეს ფუნქციები უნდა იტვირთოს. საქართველო ტოლერანტობით გამორჩეული იყო, აქ ებრაელები, ისლამური და წარმართული მრწამსის მქონე ადამიანები ცხოვრობდნენ. რელიგიებს შორის ურთიერთობას განსხვავებული მიდგომა სჭირდება, ასე რომ ეს ამოცანა აქ კავკასიაში, მათ შორის შავი ზღვის ცენტრალურ რეგიონში – საქართველოში უნდა ამოიხსნას. კავკასია ასეთი ცენტრი იყო, მას ისტორიულად დიდი ფუნქცია აქვს შესრულებული, თუ ისევ ბუნებრივად არ იტვირთა თავისი როლი, ის დაიკარგება და სამყაროში სულ სხვა წესრიგი დამყარდება, ჩვენგან, კი, ბევრი რამ დარჩება დაფარული. ამიტომ ჰარმონიული ურთიერთობის ხიდი უნდა გაიღოს.

პლანეტა, რომელიც ადამიანმა ქვეყნებად დაყო, ხოლო XXI საუკუნეში ახალი რეალობის წინაშე დააყენა, მისი ტრანსფორმაცია ისევ მეცნიერების და კვლევის მთავარი საგანი უნდა გახდეს. სად არის ოქროს შუალედი, უფრო სწორად, კი, ოქროს კვეთა. ცენტრის მსგავსად, ისიც იდუმალებით მოსილია, მაგრამ საზოგადოებამ მისი შეცნობა უნდა ისწავლოს, რომ ბევრი რამ არ იყოს დაფარული.

*ლელა სურმავა*





# როდის მიენოდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს ხარისხიანი სასმელი წყალი?!

სასმელი წყლით უზრუნველყოფა საქართველოში რამდენიმე მუნიციპალიტეტის მთავარი პრობლემაა, ამ მხრივ არც ჩოხატაურია გამონაკლისი. წყალმომარაგების რეაბილიტაციაზე მომუშავე კონტრაქტორს ვადა 2015 წლის მარტის თვემდე გაუგრძელდა. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ტექნიკური დეპარტამენტის უფროსი, ზაზა სიხარულიძე წინასწარ რიცხვის და თვის დასახელებამ არასახარბიელო ვითარებაში ჩააყენა, ამიტომ კომპანია მშენებლის კეთილსინდისიერებაზე არის დამოკიდებული. შესრულებს თუ არა შპს „თბილისი“ დაკისრებულ ვალდებულებას და რა ბედი ელის იმ მეურნეობას, რომელშიც სოლიდური თანხა დაიხარჯა, მუნიციპალიტეტმა, კი, წყალი ვერ მიიღო. ასე სათუოდ არც მედია ისაუბრებდა, რომ არა ხალხის უიმედო მდგომარეობა, რადგან გამარჯვებული კომპანიები სამუშაოებს ვერ ასრულებენ, შემდეგ, კი, გურიის გუბერნია ადგილობრივებს მოთხოვნებს უწუნებს, ამის კარგი მაგალითი ჩოხატაურის კულტურის სახლია, მაკეტის კიდევ ერთი საილუსტრაციო ბანერი



და წყლით სავსე გუბე. გაქცეული NBG-ის მობრუნების ალტერნატივა მცირე ზომის კულტურის სახლის მშენებლობა იქნება. როდის? – ეს კითხვა უადგილოა, ისე როგორც ჩოხატაურის ცენტრში გამოკრული ბევრი ბანერი, რომლებიც მხოლოდ სანახაობრივ ხასიათს ატარებს.

ალტერნატიულ დამატებით სათავე-ნაგებობაზე მოკვლევიითი სამუშაოები ჩატარდა, მომზადდა პროექტი, რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდს გადაეცა, დამტკიცდა ხარჯთაღრიცხვა, გამოყოფილ 700 000 ლარზე მშენებელმა მუნიციპალური განვითარების ფონდში უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, შემდეგ ავანსად თანხის 30%-ი ჩაერიცხება. მიიტანს მასალებს, ვფიქრობ, მარტის თვემდე შეძლებს აღნიშნული სამუშაოების დასრულებას.

**– მეურნეობის შექმნაში დიდი თანხა დაიხარჯა, ვერ დამარწმუნებთ, რომ გამოსადეგია.**

– რეზერვუარი კარგ მდგომარეობაშია, გამოყენებადია. ორი ბასეინი, რომელიც სალექარის ფუნქციას ასრულებს, არ გაუქმდება, მაგრამ მისი წარმადობა ჩოხატაურისთვის არასაკმარისია, დებიტი არის დაბალი. ამიტომ გადაწყდა ახალი სათავე-ნაგებობის მშენებლობა, ახალ სისტემას 1000 აბონენტი დაემატა, ჩოხატაური წყალს ნორმალურ რეჟიმში მიიღებს, წყლის რეზერვუარი კარგ მდგომარეობაშია, მეურნეობა წესრიგშია და არ აქვს პრობლემა. კეთდება ახალი სადაზღვეო მაგისტრალი, რომელიც სატუმბო სადგურის მეშვეობით სამარაგო რეზერვუარს წყლით მოამარაგებს, აქედან დაიწყება გამანაწილებელი ქსელით განაწილება. მოეწყობა მინისქვეშა დრენაჟები, შემკრები ჭა, ახალი სატუმბო სადგური, წყალს ჭიდან რეზერვუარში გადატუმბავს, იქნება მაღალი ტექნოლოგიის მქონე საქლორატორო სადგური, რომელიც სასმელი წყლის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს.

**– მდინარე სუფსაზე რთული ეკოლოგიური მდგომარეობაა, კონტროლი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსე-**

**ბის სამინისტროს ვალდებულება.**

– ჩვენ მდინარე სუფსის აქტიური კალაპოტიდან წყალღებას არ ვახორციელებთ, მის მიმდებარე ტერიტორიაზე მინისქვეშა წყლები ზედაპირულ დაბინძურებას გამოიცხავს, დებიტი დათვლილია და ჩოხატაურის 24 საათიანი წყალმომარაგებაზე არის გათვალისწინებული.

**– საქართველოს მტკნარი წყლის დიდი რესურსი აქვს, მსოფლიო ბაზარზე მისი დეფიციტი თანდათან იზრდება.**

– ეს თემა არა მარტო საქართველოში, ყველგან აქტუალურია, ექსპერტების პროგნოზმა, რომ 2020 წლიდან დაიწყება წყლის დეფიციტი, უფრო გადმოინია. საქართველოს სიმიდრე – მტკნარი წყალი ბუნების დამსახურებაა, ამ რესურსს სწორი მიდგომა და რაციონალური ათვისება სჭირდება. ასევე უნდა შეისწავლო, თუ რა დონის გამოყენება არ მიაყენებს ეკოლოგიურ ზიანს. ზედმეტმა მოპოვებამ შესაძლოა გაუდაბნობა გამოიწვიოს და ზოგიერთი დასახლებული პუნქტი ცუდ შედეგამდე მიიყვანოს.

**– არსებობს პიროვნება, რომელიც ამ საკითხს ოცი წელი იკვლევდა, თუმცა წყლის თემაზე ყველასთან არ ისაუბრებს, რადგან ეროვნულ უსაფრთხოებას უკავშირდება და მის მიმართ მხოლოდ კომერციული მიზნით მიდგომა დაუშვებელია.**

– ჩვენი ქვეყნის მთავარი სიმიდრე – წყალი მთავრობის კონტროლის ქვეშ უნდა იყოს, კერძო კომპანიებზე გასცეს მოპოვების ლიცენზია, მათ ჩადონ ინვესტიცია და ქვეყანამ მიიღოს შემოსავალი.

**– იტალია და საფრანგეთი მონოპოლისტი ქვეყნებია, გასალბების ბაზარზე შესვლა საქართველოსთვის რთულია?**

– თუ ჩვენ მსოფლიო ბაზარს გადავხედავთ, წყლის მოთხოვნას ისინი ბოლომდე ვერ ითვისებენ, რადგან დეფიციტი გეომეტრიული პროგრესით იზრდება. ეს გრძელვადიანი ინვესტიციაა, ინფრასტრუქტურა უნდა განვითარდეს, ამენდეს ფაბრიკა-ქარხნები, საჭიროა სათანადო ტრანსპორტით უზრუნველყოფა, ჩვენი საგზაო მაგისტრალები და რკინიგზა საკმაოდ გადატვირთულია, ამიტომ პორტებამდე უნდა მივიდეს. ერთიან სისტემაში მოყვანას ათეული წელი დაჭირდება, მთავარია, დაიწყოს და ქვეყანამ საერთაშორისო ბაზარზე თავისი ადგილი მოიპოვოს.

**– როდის მიენოდება ჩოხატაურს წყალი?**

– ჩემი სიტყვის უკან დგას გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, მუნიციპალური განვითარების ფონდი, თუ მშენებელს თავისი მიზეზით პრობლემა შეექმნა, საზოგადოება ჩემს ნათქვამს არასწორად გაიგებს, ამიტომ თვესა და რიცხვს არ დავასახელებ, სამწუხაროდ, ჩემი რაიონი დაიჩაგრა, მაგრამ მიკერძობებს ვერ დამაბრალებენ – მარტო მასზე ზრუნავს და სხვას ყურადღებას არ აქცევს.

**– თქვენ მუნიციპალიტეტს თუ მიაქცევთ ყურადღებას ხალხი მაღლიერი იქნება, რაც მთავარია, ხარისხიან სასმელი წყალს მიიღებს.**

ლელა სურმავა

# გამგებლობა რთულ და გარდამავალ პერიოდში მოვიწიე

ჩვენი რუბრიკა „შეგიძლიათ გვიპასუხოთ“ მოიცავს შერეული სახის კითხვებს, რომლებიც ეხება როგორც სამსახურეობრივ საკითხებს, ასევე პოლიტიკურს, ცხოვრებისეულსა თუ შემეცნებითს. ჩვენი დღევანდელი რუბრიკის სტუმარი კი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე თამაზ ჯინჭარაძეა.

**– ბატონო თამაზ შეგიძლიათ გვიპასუხოთ?**

– შევეცდები.

**თქვენი ავტობიოგრაფია.**

– დავიბადე ჩოხატაურის რაიონში 1978 წლის 8 ივნისს.

1995 წელს დავამთავრე ჩოხატაურის გიმნაზია, 2000 წელს ბათუმის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტი ფინანსისტიკის სპეციალობით, 2000 წელს ვმუშაობდი ინვალიდთა ლიგაში, 2004 წლიდან ჩოხატაურგაზში მონტაჟის და ექსპლოატაციის სამსახურის უფროსად, 2006 – 2010 წლებში ვიყავი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, 2009 წელს ჩამოვაყალიბე „პოლიტიკური გაერთიანება ეროვნული ფორუმის“ ჩოხატაურის რაიონულ ორგანიზაცია, 2012 – 2014 წლებში ვმუშაობდი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლად, ამჟამად, ვარ გამგებლის პირველი მოადგილე, მყავს მეუღლე და ორი შვილი.



თამაზ ჯინჭარაძე

**– თქვენი გამგებლობის დროს სამი მოადგილე გყავდათ, ამჟამად გამგებელს ორი მოადგილე ჰყავს. რა საჭირო იყო მაშინ სამი მოადგილე, დღეს რატომ არ არის ამდენი მოადგილის აუცილებლობა?**

– დიას, მე თავიდან მყავდა ორი მოადგილე, დაახლოებით ერთი წლის შემდეგ დავიმატე მესამე, რაც შეეხება დამატების აუცილებლობას, ნამდვილად იყო, მითუმეტეს როცა კანონი არ მზღუდავდა. არც ახლანდელი კანონმდებლობა ზღუდავს მოადგილეების რაოდენობას, მთავარია, უფროსი თანამდებობის პირთა რაოდენობა იყოს. ეს ინდივიდუალურია და მხოლოდ გამგებელი იღებს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას.

**– მას არ აქვს სუნი და გემო, მაგრამ ყველასათვის საჭირო და აუცილებელია. რაზეა საუბარი?**

– ალბათ ჰაერი.

– მართალია.

**– როგორი თანამშენებელი იყვნენ თქვენი მოადგილეები და როგორ თანამშენებლობას უწევთ თქვენ ამჟამად გამგებელს?**

– ჩემი მოადგილეები აკეთებდნენ იმას, რაც ვვალდებოდით და რასაც ვავალდებდი. ვფიქრობ, რომ არა ისინი, ჩოხატაურისთვის უფრო ნაკლები გაკეთდებოდა. სამი მოადგილის პირობებში კი უფრო გამიადვილდა მუშაობა, საქმე გაიშალა და თითოეულ მათგანს თავისი შედარებით პატარა, მაგრამ ნათელი სამუშაო არეალი შეექმნა. რაც შეეხება მეორე კითხვას, ის მე არ მეკუთვნის. არაჩვეულებრივი ნამდვილად არ ვარ.

**– როგორი გამგებელი იყავით თქვენი მოადგილეებისთვის და საკუთარი რაიონისთვის?**

– ისევ და ისევ მათი შესაფასებელია, როგორი ხელმძღვანელი ვიყავი მათთვის. ვერცერთი მათგანი ვერ იტყვის, რომ შეზღუდულნი იყვნენ თავიანთი უფლებამოსილების

განხორციელებაში, აქვე აღვნიშნავ, რომ მარტო გამგებელი, მოადგილეები ან ორივე ერთად პრობლემებს შეექმდოს სამსახურების და თუნდაც რიგითი სპეციალისტების დახმარების გარეშე შეუძლებელია. მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ვიყავით ერთი ორგანიზმი, რაც აისახა კიდევ რაიონის წინსვლაზე. ამას ვგრძნობ თითოეულ ჩოხატაურელთან შეხვედრისას. თუმცა ჩემი თავით ყოველთვის უკმაყოფილო ვარ და უფრო მეტი მინდა მოვთხოვო საკუთარ თავს, ვიდრე ვაკეთებ და შემიძლია, მითუმეტეს როცა საქმე შენს რაიონს ეხება.

**– შეგიძლიათ წაგვიკითხოთ რაიმე ფრაზა ან ამონარიდი რომელიმე წაწარმოებიდან, რომელიც ამ წუთის გახსენდებათ?**

– მასხენდება ებრაელი მორდების მონათხრობი „დათა თუთაშხიდან“: „ვაჩუქე იმ ბიჭს ის ჩოხა. მისი დაუფერებლობა, გაკვირვება და სიხარული მახსოვს... ახლაც მაქვს თვალბეჭდი... კიდევ ის მახსოვს, ჩოხა რომ ვაჩუქე, მისცა ბიჭმა დედაბერს თხა სამ აბაზად...“

**– თქვენი აზრით სად გადის ზღვარი წარმატებასა და წარუმატებლობას შორის?**

– ძალიან ბევრ რამეზე. გამოვყოფდი რამდენიმე კომპონენტს – მიზანდასახულობას, ურთიერთობას, ინტუიციას.

**– დღეს რითი შეგიძლიათ იამაყოთ თქვენი გამგებლობის პერიოდში გაკეთებული საქმეებიდან და ყველაზე მეტად რომელს გამოყოფთ?**

– დავინწყით იმით, რომ გამგებლობა გარდამავალ და რთულ პერიოდში მომინია, მაგრამ მიუხედავად ამისა უამრავი კარგი საქმის დავინწყით. ყველა ჩემს დროს გაკეთებული საქმე ერთნაირად მიყვარს და ამიტომ არც გამოვყოფ. მარტო 2013 წელს 6 მილიონამდე ლარი დაიხარჯა რაიონის ინფრასტრუქტურაზე, სოფლის პროგრამაზე და იმ სტიქიურ მოვლენებზე, რომლებმაც მნიშვნელოვნად დაზარალა რაიონის ნაწილი. პრიორიტეტი რაიონის ქუჩების კეთილმოწყობა და ბაღების მშენებლობა იყო, ასევე რეაბილიტაცია, რომელიც წელსაც გაგრძელდა. სამწუხაროდ, მცირე დროში ყველა პრობლემის მოგვარება შეუძლებელია, ეტაპობრივად ყველა მოგვარებადია. აქვე მინდა აღვნიშნო თქვენი ჟურნალის ფურცლებზე კულტურის სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით შეცდომა. უკვალოდ გამქრალი არაფერია, მინდა გითხრათ, რომ იმ 500 000 ლარზე პასუხისმგებლობას სადაზღვევო კომპანია ღებულობს, ტენდერი ხელმეორედ უკვე გამოცხადებულია. შემთხვევისაგან არავინაა დაზღვეული, მათ შორის არც ჩვენ.

**– გაგიგიათ თქვენზე რაიმე აუგი?**

– კი, როგორ არ გამიგია. საერთოდ ჭორებზე ნაკლებად ვრეაგირებ. წინასწარ შევაგუე ჩემი თავი, რომ ბევრ ისეთ საკითხთან მომიწევდა გამკლავება, რასაც ცხოვრებაში მტკივნეულად განვიცდი. არ არის ერთმანეთის საპირსონე აუგის თქმა და საქმის კეთება, ამიტომ პასუხისთვისაც არ მიმიცლია.

**– გაქვთ სურვილი, ან ამბიცია კვლავ გახდეთ გამგებელი?**

– ამბიცია და სურვილი გამგებლობის არასდროს მქო-

ნია. არ მივეკუთვნები იმ კატეგორიას, რომლებიც თანამდებობაზე ოცნებობს. სიტუაციამ მოიტანა და ამ ცხოვრებისეულ გამოწვევაზე უარი არ ვთქვი, სწორად მოვიქეცი. მომავალს რაც შეეხება, წინასწარ არ ვგეგმავ, ვინ უნდა ვიყო და სად უნდა ვიყო. ვარ საჭირო დროს საჭირო ადგილას.

**- ფიქრობთ, რომ წარმატებით ჩაიარა თქვენმა გამგებლობის წლებმა? შეიძლებოდა გაკეთებულიყო მეტი თუ პირიქით, გაკეთდა იმაზე მეტი, რაც შეიძლებოდა გაკეთებულიყო?**

- ვფიქრობ, რომ წარმატებით. მეტის გაკეთების ზღვარი არ არსებობს. არსებობს ქვედა ზღვარი და უკმაყოფილო ადამიანები, რომლებიც ფაქტია, რომ არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე ჩვენს გუნდს ნაკლებად ჰყავს.

**- ეს ადგილი უხილავია, იქ ბევრი განსხვავებული, საინტერესო და დაუფერებელი ამბები ხდება. ბავშვებს თვალები უფართოვდებათ ამ ამბებზე, არც უფროსებისთვისაა ინტერესმოკლებული. სად ხდება ეს ამბები და რაზეა ლაპარაკი?**

- ზღაპარი? ყოველ შემთხვევაში დარწმუნებით შემოდისა გითხრათ, ეს გამგებობის შენობა არ არის.

**- გამგებლად მუშაობის საკმაო გამოცდილება გაქვთ, დათანხმდებით უფრო მაღალ თანამდებობაზე დანიშნვას და როგორ წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი მაღალ რანგში?**


- მართალი გითხრათ, არ მიფიქრია.

**- და ბოლოს კითხვაზე პასუხის გაცემის ნაცვლად შეგიძლიათ მიმართოთ თქვენი მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს.**

- მინდა მოვეფერო ჩემს ჩოხატაურს და ჩოხატაურელებს. ვუსურვო ჯანმრთელობა, სიხარული, სიყვარული, ხვალი და ბარაქა, უფრო მეტი შენება და გალამაზება. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, ერთმანეთის გვერდში დგომით, თითო აგურის დადებით შევძლებთ, რომ მომავალში ისეთი სახე მივცეთ, როგორც წარმოუდგენია თითოეულ ჩოხატაურელს.

*ირინა რამიშვილი*

**რედაქციისგან: ბატონო თამაზ! ჩვენს შეცდომაზე მთავარი წყლით დაგუბებული ორმოა, რომლის ადგილას მშენებლობა უნდა მიმდინარეობდეს. სიმართლის თქმა ჩვენი მორალური უპირატესობაა, ამიტომ ყოველთვის მის მხარეს ვიქნებით.**



გიორგი კატმაშვილი

# მე პარ იქ, სადას ქვეყანას სჭირდება

თოებას და გარეგნული იერ-სახის შეცვლას. განსაზღვრულია ზონები, თუ სად, რა უნდა იყოს. შემდეგ უნდა მონესრიგდეს საბაზო ინფრასტრუქტურა.

**- დროის ფაქტორიდან გამომდინარე, იყო თუ არა შესაძლებელი გენ-გეგმის დაკვეთის პარალელურად ინფრასტრუქტურული პროექტების დამუშავება?**

- არა, პარალელიზმი ყოველთვის კარგი არ არის, ინჟინრულად მომზადებული პროექტი შემდეგ უნდა ააშენო.

**- რა დრო დაჭირდება პროექტების მომზადებას?**

- თუ დროულად დაუკვეთავენ, 2010 წლის ბოლოს პროექტები მზად იქნება და მომავალი წლიდან მშენებლობები დაიწყება. თუ ინვესტორმა სახელმწიფოს ინტერესი არ დაინახა, საქმეში ფულს არ ჩადებს.

**- უნდა გაიზარდოს თუ არა ბახმაროს სამკურნალო თვისებების ცნობადობა?**

- აუცილებლად, ტურიზმის დეპარტამენტმა, რომელიც პროექტის დამკვეთია, სფეროს უნდა გაუნიოს კურატორობა. კარგად ვიცნობ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

მინისტრის მოადგილეს, გიორგი კარბელაშვილს, ის შეძლებს ამ დარგის მოვლას და მშენებლობის წარმოებას.

ჟურნალ „გურია REGION“-ის ოქტომბრის ნომერში მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ირაკლი კუჭავამ განაცხადა – მოსამზადებელია კურორტ ბახმაროს რეგულირების გეგმა და სივრცითი მოწყობა. მოაგარაკებს მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზეც შენობა-ნაგებობები დგას, უნდა დაუკანონდეს, ეს ბახმაროს იერ-სახესაც შეცვლის და ბიუჯეტშიც შევა თანხა.

რეგულირების გეგმის მომზადება ჩოხატაურის საკრებულომ უნდა დაუკვეთოს, გამოცხადდეს ტენდერი და დაამტკიცოს.

რატომ არ მოამზადა გეგმა წინა საკრებულომ და იყო თუ არა მთავარი მიზეზი 100 000 ლარის უქონლობა? რეგულირების გეგმის მომზადება ჩოხატაურის ახალი მონვევის საკრებულოს ერთ-ერთი გამოწვევაა, ასევე დამოუკიდებელი და რეალური თვითმმართველობის გამომხატულებაა.

*ლელა სურმავა*

# სუფსის ხეობის საინიციატივო ჯგუფის სამოქმედო გეგმა

სახალხო ყრილობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს არ ატარებდა, მაღალმთიანი სოფლის თითოეული მკვიდრის ინტერესებს დაეცავთ. თხოვნით მივმართავთ ბიზნესმენ მიხეილ სვიმონიშვილს შეგვხვდეს და ვიმსჯელოთ, როგორ დავუხმაროთ ხეობას, თუ დროულად არ ვიმოქმედეთ, დაცლება და იქ არავინ დაბრუნდება – განაცხადეს საინიციატივო ჯგუფის წევრებმა, რომლებიც თბილისში ყოველ კვირას იკრიბებიან და სოფლების გადარჩენის სამოქმედო გეგმას აყალიბებენ.

სპარტაკ რამიშვილი, დიდი ვანის წარმომადგენელი – ნოე რამიშვილის შვილიშვილს, მიშელს სურს თავისი ცოლ-შვილით მამა-პაპის ფუძეზე დაბრუნდეს, მისი სახლი შარშან დაინგრა, ის ახალ ზელანდიაში ერთ-ერთი კლინიკის მენეჯერია. პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილთან შეხვედრა ვერ მოახერხა, მომავალ წელს ჩემთან ჩამოვა სტუმრად, ძალიან უყვარს თავისი კუთხე, დოქებს ჩაეხუტა, თავის ფუძეზე ნათესავი უნევს წინააღმდეგობას. როცა ასეთი კაცი ინტერესს გამოხატავს, რატომ არ უნდა შევეწყნოთ ხელი?!



მიშელ ტამიშვილი

ნატორობის დროს დამიბარა, მთელი საათი ვისაუბრეთ, ვკითხე, თუ დაინცება გზის მშენებლობა. მიპასუხა – სურების გზას მე ვაკეთებო, 5000 ლარი გამოვყავიო, ჩემი მცირე ბიზნესიდან ჩავრიცხეო. ასეთი არაადექვატური პასუხი დაცინვად მივიჩნიე. ვფიქრობ, გზის საკითხი 5 წელზე უნდა გაინეროს. ჯერ პირველი 5 კილომეტრი დაიგეგმოს, ბუკისციხიდან დიდი ვანის საზღვრამდე. წელ-წელა წინ წავინევით.

**საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი ზურაბ დარსალია** – ასეთი წინადადება რომ შევთავაზოთ, მარტო 2 კილომეტრს გააკეთებენ, უფრო მეტი უნდა მოვითხოვოთ, რომ მცირედით არ გაგვაჩერონ. თუ შედეგს ვერ მივალწევთ, ფართომასშტაბიან აქციებზე გადავალთ. ჩემი იმედით ზემო სურების 10 ოჯახი ჩერდება, სოფელი თუ დატოვებს, ისინი აღარ დაბრუნდებიან.

საინიციატივო ჯგუფის წევრებმა – ჯუმბერ კიკვაძემ, გოგი ტრაპაიძემ, სულიკო ბარამიძემ, თამაზ ხუნდაძემ, სპარტაკ რამიშვილმა, იორდან რამიშვილმა მიმართვის წერილები განიხილეს.

განცხადებები გაუგზავნეს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ლარიბაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს ვიცე-პრემიერს და ენერგეტიკის მინისტრ კახი კალაძეს. ჩოხატაურის მაჟორიტარ დეპუტატს თემურ ჭკუასელს, მუნიციპალიტეტის გამგებელ ირაკლი კუჭავას და საკრებულოს თავმჯდომარეს ზაალ მამალაძეს. განცხადებების ადრესატების ჩამონათვალი ვრცელია, ისე როგორც ხეობაში დაგროვილი გადაუჭრელი პრობლემები, რომლებიც ზამთარში უფრო რთულდება და გრძელვადიან პერსპექტივაში განხილვა დროის უქმად გაკარგავს.

ბატონო პრემიერო! თქვენ ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადეთ, რომ საქართველოში არ იარსებებს სოფლები, სადაც არ იქნება გზა და ელექტროენერგია. სამწუხაროდ, გურიის რეგიონში არის ასეთი სოფლები – დიდი ვანი, შუა სურები და ზემო სურები. მათ ყოფა-ცხოვრებას შელამაზებულად ვერ აგიღწერთ, მაღალმთიანი დასახლებები დროულ დახმარებას საჭიროებენ, რადგან ყველა ხელისუფლებიდან მიტოვებულად არ უნდა იგრძნონ თავი – ვკითხულობთ განცხადებაში.

რედაქციისგან: როდის გამოყოფს გურიის გუბერნია გზის დროებითი გაუმჯობესებისთვის 150 000 ლარს და რა შეღავათს მიცემს ხეობაში არსებული კარიერების ხრეში, რომელიც გზაზე კარგად ჯდება ჩვენ მივადევნებთ თვალს და ჟურნალის საშუალებით სუფსის ხეობის მკვიდრები შეიტყობენ.

ლელა სურმავა



## – რაში ხედავთ გამოსავალს?

– საქართველოს ყველა რეგიონის, მათ შორის გურიის სოფლები პრობლემებით დახუნძლულია. ჩვენი მთავარი საზრუნავი უგზობა და ელექტრო-ენერგიით უზრუნველყოფაა. გზის საკითხის გადაჭრა ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებული.

## – ყრილობის გამართვა დაგვიანებული ხომ არ იყო?

– საქართველოში პირველად სუფსის ხეობაში ჩატარდა სახალხო ყრილობა.

## – მიაღწიეთ სასურველ შედეგს?

– მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ისე წარმოსახა, ლამის ჩვენ დაგვადანაშაულა, რატომ შეიკრიბეთო. როცა სოფლის დახმარების პროგრამით 1500 ლარი საპირფარეოს მშენებლობაში იხარჯება, ხომ შეიძლება ამ თანხით სოფლის შიდა გზები შეკეთდეს. დიდ ვანში სტადიონთან ერთი საათით გაიარა ტრაქტორმა და 6000 ლარი გამოწერეს. ასე საქმე არ გაკეთდება, მხოლოდ ფულის გათეთრებაზე ფიქრობენ. პროფესიით ინჟინერ-მშენებელი ვარ, გზის სამუშაოები როცა დაინცება, ამ პროცესში ჩვენც ჩავერთვებით და შევაფასებთ, როგორ გააკეთეს.

**სულიკო ბარამიძე, ზემო სურების წარმომადგენელი** – ფული, რომელიც სოფლისთვის არის გამოყოფილი, მიზნობრივად უნდა დაიხარჯოს. მიხეილ სვიმონიშვილმა გუბერ-

# სამი ქვეყნიერება გურულები...

ახალი ტერიტორიის მარკის ჯიბში მძღოლის გარდა, სამი ვსხედვართ. მე, ძმები ელგუჯა და ნესტორი, იგივე სოსო ლომინიშვილები. მანქანა ტაატიტ მიუყვება მდინარე სუფსის მარჯვენა მხარეს, სურებისკენ გაჭრილ გზას, ყოველ ფეხის ნაბიჯზე უზარმაზარი ორმოები გვხვდება, რომლებსაც გვერდს ვერ ვუვლით. სამივე სურებში დავიბადეთ, აქედან დიდი ხნის წინ წავედით და ქალაქ ბათუმში დავმკვიდრდით.

მშობლიურ სურებში ადგილობრივების დაძახილზე მოვედით, ჟურნალის მკითხველს შევასხენებ, ამ ლამაზ მიდამოში სოფელ ბუკისციხის შემდეგ სამი სოფელია – დიდი ვანი, შუა სურები და ზემო სურები. ხეობის შვილებმა, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ, საინიციატივო ჯგუფი შექმნეს, 400-მდე თანამოაზრე შეკრიბეს და დაიწყეს ბრძოლა, რომ მოასფალტებული გზა შევიდეს, ადგილობრივები ენერგო-პრო-ჯორჯიამ აბონენტად აიყვანოს და ყველა ის სიკეთე მივიდეს, რასაც მაღალმთიანი სოფლები მოკლებულია. ჩვენც ამ ყრილობის ინიციატორების დაძახილს გამოვეხმაურეთ და მოვედით. სურებმა რამდენი საამაყო შვილი გაუზარდა ქვეყანას. აქ დაიბადნენ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეები, მენეჯერები და ბოლშევიკები, აკადემიკოსები და პოეტები, არტისტები და ფირალეებიც, ისინი მთელ დასავლეთ საქართველოში ცნობილი იყვნენ. თქვენს ყურადღებას ჩემს თანამგზავრებზე შევაჩერებ. ისინი რჩეული სურელები არიან, თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ.

უფროსი ძმა ელგუჯა ლომინიშვილი სურებში 1952 წლის 5 დეკემბერს დაიბადა. წარჩინებით დაამთავრა ქალაქ ბათუმის 17-ე საშუალო სკოლა, შემდეგ თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაირიცხა, საგზაო-ინჟინრის სპეციალობას დაეუფლა. ბათუმის ნავსადგურში მუშა იყო, აჭარის საგზაო დეპარამენტის რეგიონი ინჟინრიდან ხელმძღვანელის პოსტით დაინიშნა. ყოველთვის ორგანიზატორული ნიჭით გამოირჩეოდა, თანამოაზრეებთან ერთად დააფუძნა სამშენებლო კომპანია „ორბი“, რომლის საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი დამფუძნებელი დღესაც არის. კომპანიამ ბევრი ლამაზი სახლი ააშენა, უმუშევრები დაასაქმა, მათ არსებობის საშუალება მისცა.



ელგუჯა და სხმა ლომინიშვილები

ელგუჯა ლომინიშვილს ჰყავს კარგი ოჯახი, მზრუნველი მეუღლე, ორი ქალიშვილი, სიძეები და ერთი შვილიშვილი. მთავარი სათქმელი ჯერ არ უთქვამს, ყველაფერი წინ აქვს.

მისი ძმა, სოსო, ნესტორი 1955 წლის 22 ივნისს დაიბადა, მართალია, 17-ე სკოლა დაამთავრა, სწავლაში თანატოლებს არ ჩამორჩა... სოსოს ბავშვობიდან ზღვა იტაცებდა, ბათუმის საზღვაო სასწავლებელში ჩააბარა, დიდი კონკურსი იყო. საპორტო ქალაქის საქართველოს საზღვაო სანაოსნოში მუშაობის გადამწყვეტილება მიიღო, თუმცა განაწილებით უფრო დიდ სანაოსნოში წასვლა შეეძლო. მუხლჩაუხრელმა შრომამ სასურველი შედეგი გამოიღო და მისი კარიერა თანდათან მაღალ საფეხურებზე ავიდა. იყო კაპიტანის მეოთხე, მესამე და მეორე თანამშემნე, ხოლო 2009 წლიდან შორეული ნაოსნობის კაპიტანი. დღეს, სოსო დუბაის არაბულ კომპანიაში მუშაობს, მის წარმატებაზე ისიც მეტყველებს, რომ გემთმფლობელის 12 გემიდან 11 ინდოელი კაპიტანია, მეთორმეტე, კი, ქართველი კაცი. მისი გემი ყველაზე დიდი ნყალნევისაა და რთულ მარშუტებზე უხდება წასვლა. ელგუჯას მსგავსად, მასაც ნამდვილი გურული ოჯახი ჰყავს, მეუღლე, ნარგიზ ბაქანიძე მასწავლებელია, დაქორწინებული ქალ-ვაჟის მშობლები, ახალშობილი მესამე შვილიშვილით ხარობენ. სოსოს ვაჟი, გიორგი ქალაქის მერიაში ერთ-ერთ თანამდებობაზეა და საყვარელ ბათუმს მზრუნველობას არ აკლებს.

და ბოლოს მესამე ძმა, თამაზ ლომინიშვილი 1959 წლის 1 ოქტომბერს დაიბადა, მერვე კლასამდე ბათუმის 17-ე საშუალო სკოლაში სწავლობდა, შემდეგ თბილისში კომაროვის სახელობის მათემატიკის სკოლაში გადაიყვანეს. ფიზიკა-მათემატიკის ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა. ახლა უფროსი ძმის, ელგუჯას კომპანიაში ერთ-ერთ სფეროს ხელმძღვანელობს. ახლადაშენებულ სახლებს ბუნებრივი აირით უზრუნველყოფს. სამწუხაროდ, თამაზს პირველი მეუღლე გარდაეცვალა, მიუხედავად ამისა სირთულეები დაძლია, ისევ დაქორწინდა და ორ შვილს ზრდის.



ძმები ლომინიშვილების ბაბუა, ნესტორი სტუმართ- მოყვარებით, დაულაღავი შრომით, სამართლიანობით, კარგი იერით და გვარიშვილობით სოფელში გამორჩეული იყო. მას ჰგავდა ერთ-ერთი შვილი გიორგი, რომელიც გარდაცვლილია. გადმოცემით ვიცი, ის 3 მეტის სიმაღლის თოვლში სურებიდან ნაბელღავში გადასულა, იქედან წამოიყვანა და ცოლად შეირთო ნორა კალანდაძე. 85 წელს გადაცილებული დედა მხნედ გამოიყურება, დღესაც მისთვის ჩვეული შემართებით წარმართავს სამივე ძმის ცხოვრებას, ბურჯად უდგას შვილებს. სურებში მიმავალ გზაზე საათში ერთხელ ტელეფონით გვიკავშირდებოდა და მშვიდობიან მგზავრობას გვისურვებდა. ღმერთმა დღეგრძელობა არ მოაკლოს სათნო ქალბატონს.

ლომინიშვილების საბუდარი ქალაქ ბათუმში ბარცხანის დასახლებაში აგარაკის ქუჩაზეა და დიდებული ოჯახი ყველა მოკეთეს ახარებს, ელგუჯა ცალკე ცხოვრობს, თუმცა ყოველდღე დედას და ძმებს მოინახულებს. ასეთი შვილების და ძმების იმედი უნდო ჰქონდეს სურებლებს, ისინი ყოველთვის მზად არიან ხეობის დაძახილზე მივიდნენ, ხალხის ჭირი და ლხინი გაიზიარონ.



ნძბა კასანდრაძე და იმანუ ლომინიშვილი

ღმერთი იყოს ამ საქმეში თქვენი მფარველი. მე, კი, ცნობილ გურულ სიმღერას დავესესხები – „სამი ძმები გურულები“... უფალმა სამების მადლი, სიმღერა და სიყვარული არ მოგიშალოთ ძმებო.

ჯონი ბარამიძე



**ცობნე ნაჯაშიძე:** ასე ვთქვათ აფერისტი ჯაცის როლს ვთამაშობ, რომელიც გაჭირვებაში, თუ დაღბენილ დროს, არ თაკილობს, სხვები მოატყუოს, იმ მიზნით, რომ ფული იშოვოს. ბეჯა სიხარულიდეს, როგორც რეჟისორს პირველად შევხვდი, ისეთ შენიშვნებს გვაძლევს, ვხვდები იმ სწავლების და ტრადიციების მიმდევარია, რომელსაც ვეთაყვანები. ვგულიხმობ, სტანისლავსკის სკოლას.

**ლიაა ქობულაძე:** ფილმის ერთ-ერთი სცენარია - ცოლ-ქმარი ოფოციალური აფერისტები არიან. როცა გაიგებენ, ოჯახში მიცვალებულია, მიდიან და ეუბნებიან, მას ჩვენი ვალი აქვსო. გადაღების პროცესი რთული, ამავე დროს საინტერესოა. რეჟისორის დავალება ზუსტად რომ არ შეასრულო, არა თუ გაპატიებს, ბოლომდე ჩაგყვება, ის ამოცანას გაძლევს და შენგან მისი განხორციელების რამდენიმე გზას ითხოვს.

# დაჯარიმებულია მთელი საქართველო...

ჩვენი დღევანდელი რუბრიკა – „მოსაზრების“ თემა პოლიციურ სისტემას უკავშირდება. როგორია პოლიციის როლი ქვეყანაში, როგორია ჩვენი თვალთ დანახული ჩვენი დროის პოლიციელი, ასრულებს თუ არა პირნათლად დაკისრებულ მოვალეობას და ჰყავს თუ არა ხალხი მაღლიერი? ჩვენი სტუმრები არიან: კერესელიძე დიმა – 25წ. ნაცვალაძე ეთერ 35წ. ბერიძე ზინა – 48წ. ჟურნალ „გურია REGION“-ის წამყვანი – ირინა რამიშვილი.

ჟ.გ. – როგორია თქვენეული ხედვა პოლიციურ სისტემასთან დაკავშირებით, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება ამის თაობაზე, როგორ დაახასიათებდით ან რა ცვლილებების განხორციელება გესახებათ უკეთესი სამუშაო გეგმის შესადგენად?

ბ.ზ. – ამ სისტემასთან დაკავშირებით ხშირად ჩნდება კითხვები. მასხოვს, რა ზენიტიმ აიყვანა პოლიცია, მაშინდელი მილიცია ხალხმა 9 აპრილის შემდეგ, როცა ისინი ხალხის მხარეს გადავიდნენ და დახმარება გაუწიეს... ფაქტობრივად, პოლიციელები გმირებად შერაცხეს.

ნ.ე. – ხალხის მხარეს ვარდების რევოლუციის დროსაც გადავიდა პოლიცია, მაგრამ მიშას მიერ „გამობრძმედლიმა“ არმიამ 7 ნოემბერს ხალხი დაარბია და ისევ აღმოცენდა უნდობლობა მათ მიმართ. შეიცვალა სისტემა, შეიცვალა მიდგომის მხარე. მათი აზრით და ხალხის თვალის ასახვევად სისტემა თითქოს გამჭვირვალე გახდა. გამჭვირვალობა თავის მხრივ მხოლოდ მინის კარ-ფანჯრების დამონტაჟებით შემოიფარგლა. სხვა მხრივ ყველაფერი დახშული იყო... შიგნით სამინიელები ხდებოდა.

ჟ.გ. – თუ დასახელებთ ფაქტს, რომელიც თქვენთვის ზუსტი და დასაბუთებული სახითაა ცნობილი ადამიანების უდიერად მოპყრობის შესახებ?

კ.დ. – ასეთი ფაქტები მრავლადაა, კერძოდ ჩემ გარშემო და ჩემს ახლობლებს არ შეეხოთ მსგავსი, მაგრამ იმაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაცია რა უნდა იყოს, რაც ტელევიზიით აჩვენეს, მხედველობაში მაქვს ციხის კადრები, ამაზრზენი იყო... იმ ღამით არ მიძინია...

ლ.ჟ. – ამ ფაქტს გასასამართლებელ არგუმენტად ის სარჩული მოუძებნეს, რომ ზენოლა სორციელდებოდა მათზე, ვისაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. ამ კატეგორიაში შედიოდნენ ის ადამიანები, რომლებმაც ძალა იხმარეს არასრულწლოვან ბავშვებზე, ჩაიდინეს მკვლელობა...

კ.დ. – მაგრამ, ეს არ ნიშნავს... რაკი ჯარიმებზე ლაპარაკი აქვე აღვნიშნავ, რომ ეს არ ეხება მხოლოდ სამართალდამცავ ორგანოებს, ჯარიმა იწერება თითქმის ყველა სფეროდან, სული ამოხადეს ხალხს... დაჯარიმებულია მთელი საქართველო.

ჟ.გ. – ერთი წუთით თუ შეიძლება, კითხვას დავსვამ... ამართლებს თუ არა გადამეტებული ქმედება სამართალდამცავთა საქციელს, თუნდაც ისეთ დამნაშავე პირებზე,

როგორებზეც ზემოთ იყო საუბარი?”

კ.დ. – არცერთ შემთხვევაში, გამართლება არ აქვს, რომ შენეული მეთოდებით იმოქმედო და არაადამიანურად მოეპყრო. ისინი ჩადენილისთვის გასამართლდნენ და სასჯელს იხდიან. მაშინ ადექი და ამოქმედე ლინჩის წესი, შენეულ გამოგონილ მეთოდებს ის არ ჯობია, გადასცე დამნაშავე დაზარალებულის ოჯახს? შენ რა უფლება გაქვს წესების გარეშე რომ ასამართლებ.

ნ.ე. – თუ ადამიანი პატიმარია, არ ნიშნავს, რომ ადამიანი აღარაა და ადამიანთა რიგებში არ წერია. თუნდაც რამდენი უდანაშაულო ზის იქ, უბრალო გაუგებრობის გამო მოხვედრილი და ამის გამო უდიერად უნდა მოვექცეთ?

კ.დ. დავაფიქსირე ჩემი აზრი სამსახურეობრივ უფლების გადამეტებასთან დაკავშირებით, მაგრამ... ისე ნუ ვიტყვით, რომ პოლიცია და პოლიციელი „ბუად“ შევრაცხოთ... არა... დამისახელებთ ფაქტს, სადაც იქ უდანაშაულო, ან შემთხვევით გაუგებრობის ნიადაგზე მოხვედრილი ადამიანი ეცემოთ, ან არასწორად მოქცეოდნენ? პირიქით ბოდიშს მოგიხდიან და გამოგიშვებენ...

შენ კი გაქვს უფლება შენს თავზე დატრიალებული გაუგებარი ფაქტის გამო სასამართლოს მიმართო. ვერავინ იტყვის, როცა ხარ უდანაშაულო და შენ ამის დამტკიცებას ზრდილობის ფარგლებში ცდილობ, ვინმე ხელი დაგაკაროს. პოლიციის რომ პოლიციის შენობაში შეურაცხყოფას მიაყენებ, ფაქტია, ამ დროს შეურაცხყოფას უნდა ელოდო, მაგრამ ეს არ უნდა ცდებოდეს მისთვის დაშვებული უფლების ფარგლებს.

ბ.ზ. – სწორედ ამაზეა საუბარი, როცა ქმედება ცდება უფლების ფარგლებს. ადამიანებს რატომღაც ავიწყდებათ, რომ სადაც უნდა მუშაობდნენ, რა თანამდებობაც არ უნდა იყვნენ, ყველაფერი დროებითია. მაღალ პოსტზე ყოფნისას თავი უკვდავი კაშიეი ჰგონიან და არ ფიქრობენ ადრე თუ გვიან არასწორად გადადგმული ნაბიჯი ბუმერანგით დაუბრუნდებათ უკან, არა მარტო პოლიციაში, ყველა სფერო მაქვს მხედველობაში, მომუშავე კაციც მინახავს და არაკაციც. კარიერის დასრულების შემდეგ კაცი კაცად დარჩენილა და მას კაცურად ეპყრობოდა საზოგადოებაც... არაკაცი კი ნაკაცარად და ამას ალბათ თავადაც გრძობს იმავე საზოგადოების მხრიდან ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ის არ ურჩევნიათ, სადაც არ უნდა იყვნენ, იყვნენ კაცები და დარჩნენ კაცებად?

ნ.ე. – ამ დროს ნაკლებად ფიქრობენ, რადგან საკუთარი თავი, როგორც აღვნიშნეთ ხელუხლებელი ჰგონიან. რატომღაც ავიწყდებათ, რომ თანამდებობაზე დღეს არიან და ხვალ აღარ იქნებიან. პოზიციის ცალსახად დაფიქსირებისა და ჩვენი სუბიექტური აზრის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ პოლიციელთა უმეტესობა კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ვალდებულებას.

ჟ.გ. – თქვენი აზრით მოქმედებენ პატრულის თანამშრომლები კანონის ფარგლებში და თუ შეგიძლიათ დაა-



სახელოთ ფაქტი, როცა უკანონოდ მოხდა დაჯარიმება? როგორია გამოკითხვა ხედვა რაიონში სხვა რეგიონებიდან შემოიყვანეს პატრულის თანამშრომლები, ჩვენები კი სხვაგან გადაიყვანეს?

ბ.ზ. – არა მგონია ვინმეს საკუთარ თავზე მეტად აღელვებდეს სხვისი სიცოცხლე. პატრული რომ ღვედის გადაუკვრელობის გამო აჯარიმებს მძღოლს და მგზავრებს, ფულის მახეა მეტი არაფერი, თუმცა ეს პატრულის გადასაწყვეტი არაა. საერთოდ კანონი ისე აქვთ მორგებული, ყველაფერი მათ სასარგებლოდ რომ გადაწყდეს. ესენი კიდეც ახალ – ახალ და უარეს დასჯის მეთოდებს იგონებენ, თუნდაც ის რომ გარეთ დაღვეისთვის ჯარიმა დაანესეს, რა იცვლება ამით? მთვრალი ქუჩაში არ გაივლის, დანაშაულის ჩადენა თუ უნდა, რამე შეაკავებს?

ნ.ე. – მაგრამ ღვედი რომ უსაფრთხოებისგან გვიცავს მგონი არ უნდა იყოს სადავო თემა. ამას წინათ მოხდა ავარია და დათვალელების შედეგად დადგინდა რომ ღვედის გარეშე მძღოლს და მის გვერდით მჯდომ მგზავრს, შემთხვევა აუცილებლად ფატალურად დასრულდებოდა. მსუბუქი ავტომობილი სულ დაიღენა, ადამიანები კი სწორედ ღვედმა იხსნა დაღუპვისგან.

ბ.ზ. – გააჩნია შემთხვევას, მე ისიც ვიცი, ავარიის დროს ღვედმა რომ შეუშალა ხელი მძღოლს მანქანიდან დროულად გადმოსვლაში. ამ შემთხვევაში, მანქანას ცეცხლი წაეკიდა. დაბნეულმა და შეშინებულმა მძღოლმა კარგა ხანს ვერ მოახერხა ღვედის ახსნა და გადმოსვლა, რის გამოც სერიოზული დამწვრობა მიიღო. ერთ მაგალითსაც გეტყვით, ადამიანი დააჯარიმეს თავისსავე სახლთან ახლოს, და ეს არ იყო ქუჩა ან რაიმე სავალი გზა, შემთხვევა მოხდა სოფელში.

კ.დ. – ის რომ პატრული ავლენს დარღვევას და აჯარიმებს კანონის დამრღვევს, ვფიქრობ, არ უნდა იყოს ზედმეტი საკრიტიკო თემა.

ჟ.გ. – რეიდები როგორც წესი დროებითია. თქვენი აზრით, ხდება თუ არა ამ მხრივ დანაშაულის პრევენცია და ამართლებს თუ არა ასეთი მიდგომა?

ბ.ზ. – არა მგონია ამართლებდეს თან როცა საქმე დროებით კონტროლთან გვაქვს. არის შემთხვევები, როცა ელემენტარულ რამეზე ხდება დაჯარიმება, მაშინ როცა შეიძლება რაღაცებზე თვალის დახუჭვა... საერთოდ ხდება ისე, რომ დანაშაული არავის შერჩება მაგრამ...

კ.დ. – აქ აღინიშნა, რომ პიროვნება საკუთარ სახლთან ახლოს დააჯარიმეს... ეს აქ გვიკვირს, თორემ საზღვარგარეთ როგორ ხდება, თუნდაც ფილმებში, ადამიანები ღვედს ავტომობილში ჩაჯდომისთანავე იკეთებენ. ის რომ ასე უნდა მოიქცნენ ინსტიტუტურად აქვთ გამომუშავებული. აცნობიერებენ, რომ ეს არის კანონი და კანონის დარღვევა ისჯება სხვადასხვა სახით, მათ შორის ჯარიმის სახით.

ბ.ზ. – კარგით რა, არ მესმის სოფლის გზაზე რა საჭიროა ეს...

ნ.ე. სოფლის გზა და ქალაქის გზა რა შუაშია. რა კანონიც არსებობს ის კანონი მოქმედებს სოფლადაც და ქალაქადაც, რაც შეეხება საპატრულო გაცვლით პროგრამას, სხვა რეგიონიდან შემოსული პატრული მეტი სიმკაცრით მოქმედებს, ჩვენები მაინც თვალს ხუჭავდნენ ზოგ რაღაცებზე.

ჟ.გ. – რას ფიქრობთ ეგრეთ წოდებულ რეიდებზე, როცა მოქალაქეს (მხედველობაში მაქვს უმიზეზოდ აყვანის შემთხვევა) აჩერებენ, აჰყავთ და მასზე ნარკოლოგიურ შემოწმებას ატარებენ? – ნიშნავს თუ არა ეს უფლებამოსილების გადამეტება?

ნ.ე. – პოლიციელს ან აჰყავს პირი ან აჩერებს და პირადობას და საბუთებს თხოვს...

ჟ.გ. – ამისთვის ვფიქრობ, რომ შემთხვევა განსაზღვრული უნდა იყოს, პიროვნებაზე ეჭვი უნდა იყოს აღძრული ან უნდა ფლობდეს ინფორმაციას სავარაუდოდ დანაშაულის ჩადენის შესახებ... როგორია თქვენი აზრი ამის თაობაზე, თუნდაც უბნის ინსპექტორი... უნდა ჰქონდეს თუ არა მას წარმოდგენა თავის უბნის ახალგაზრდებზე და მის მიერ მინოდებული ინფორმაციის მიხედვით ხდებოდეს თუ არა მათი ნარკოლოგიური შემოწმება, რომ ამით თავიდან იქნეს აცილებული გაუგებრობის ნიადაგზე წარმოქმნილი ფაქტები.

ნ.ე. – პოლიციელს უფლება აქვს აიყვანოს ნებისმიერი პირი, რომელიც ეჭვს აღუძრავს...

კ.დ. – ეჭვის ნიადაგზე არ უნდა ხდებოდეს აყვანა, ასეთ შემთხვევაში ეჭვი უნდა იყოს დადასტურებული, სხვა მხრივ პიროვნებას მორალურ ზიანს მივაყენებთ.

ჟ.გ. – არსებობს კანონი 21 წლამდე ცივი იარაღის ტარება აკრძალულია (მათ შორის პატარა ზომის დანისაც) არის თუ არა ეს სწორად გადაწყვეტილი კანონი და უნდა ეკრძალებოდეს მისი ტარება ყველას, თუნდაც იქედან გამომდინარე, რომ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია როგორც 21 წლამდე ახალგაზრდის, ასევე ნებისმიერი ასაკის ადამიანისგან.

კ.დ. – ასაკი იმით არის განსაზღვრული, რომ ამ ასაკში (იგულისხმება 21 წელი) მეტია დანაშაულის ჩადენის ალბათობა. ახალგაზრდა თავის ძიებაში და საკუთარი მე – ს წარმოჩენაშია, იგი ცდილობს თავის დამკვიდრებას, თუნდაც გამომწვევი მოქმედებით. ეს გარდატეხის წლებად მიიჩნევა და ზოგისთვის ეს პროცესი ძალზე რთულად მიმდინარეობს.

ჟ.გ. – მაგრამ ხდება ისე რომ გარდატეხის წლების თავისებურებანი მთელი ცხოვრება გაჰყავთ, უფრო მეტიც, ფსიქოლოგების აზრით ბავშვობის დროინდელი კომპლექსები არსად მიდის, იგი თავს ნებისმიერ ასაკში შეახსენებს ადამიანს. სწორედ ამაში ვხედავ პრობლემას, რითი ვართ დაზღვეულნი, რომ ადამიანი დანაშაულს (მეტი ალბათობით) ჩაიდენს ამ განსაზღვრულ ასაკში, რომლის სტანდარტი 14–21 წლებია და არა ზრდასრული ასაკი.

კ.დ. – არავინ არაფრისგანაა დაზღვეული... ამას ემატება ის რომ სმა, აკრძალეს შენობის გარეთ, თითქოს ამის გარეშე არ შედგება სმა და ქიფი – ახალგაზრდებს დანის ტარების გამო რომ აჯარიმებენ, უნდა აიკრძალოს თუ არა დანის გაყიდვა და ის გამყიდველი, ვინც დანას მიყიდის 21 წლამდე ახალგაზრდას, პასუხისგებაში იქნება მიცემული?

ბ.ზ. – ამ პროლემას ასე არ მოეწონება, იმიტომ რომ გამყიდველი ნივთს ყიდის, პასუხისგებაში ვერ მისცემ, აქ სხვანაირი მიდგომაა საჭირო.

ჟ.გ. – რა თვისებების მატარებელი უნდა იყოს პოლიციელი?

ბ.ზ. – პოლიციელი უნდა იყოს ადამიანური, ჰუმანური, მიუკერძოებელი და ობიექტური. სამართლის აღსადგენად არ უნდა იყოს საჭირო რკინის ქალამნების მორგება.

ჟ.გ. – რა თქმა უნდა, რკინის ქალამნების ჩარევის გარეშე უნდა ხდებოდეს საქმის ობიექტურად გადაწყვეტა. ჩვენ უნდა გვეჯეროდეს ჩვენი პოლიციელების, ადამიანები ნდობით უნდა იყვნენ განწყობილნი მათ მიმართ. მადლობას მოგახსენებთ თქვენ აქ მოზრდანებისთვის და თქვენი აზრის ღიად დაფიქსირებისთვის.



# ჩვენ არ გვეზინია ექსპლუატაციის, ჩვენ ვივსენალებით ვართ



მ. ჯუღაძე

**პირველი პროექტი** – სკოლის მიზანი ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდაა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ სამოქალაქო განათლებას ენიჭება. სამოქალაქო განათლების სწავლებას საქართველოს სკოლებში არც თუ დიდი ხნის ისტორია აქვს და სამწუხაროდ, მისი ადგილი და მნიშვნელობა სხვა, ეგრეთ წოდებულ ტრადიციულ სასკოლო საგნებს შორის კარგად არ არის გაცნობიერებული. არსებობს სერიოზული პრობლემები სასკოლო რესურსების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისითაც. ვფიქრობ, სამოქალაქო განათლების ოლიმპიადა პოზიტიურ წვლილს შეიტანს სამოქალაქო განათლების პოპულარიზაციაში და მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებაში.

**– რა არის ოლიმპიადის მიზანი?**

– ნიჭიერი, მაღალი მოქალაქეობრივი კომპეტენციისა და სოციალურად აქტიური მოსწავლეების გამოვლენა და მხარდაჭერა; სამოქალაქო განათლების სწავლისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება და მათი მოტივირება; სამოქალაქო განათლებაში სასწავლო პროცესის სტიმულირება. ოლიმპიადა სამოქალაქო განათლებაში მე-9–12 კლასის მოსწავლეებისათვის არის განკუთვნილი... სამოქალაქო განათლება, როგორც დამოუკიდებელი სავალდებულო დისციპლინა, ისწავლება მე-9–10 კლასებში, ხოლო 11–12-ში არჩევითი საგანია. არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ინიცირებული პროექტი მოსწავლეებზე ორიენტირებული და მოსწავლეთა მიერ ამ საგნის სწავლის მნიშვნელობის გაცნობიერებასა და ინტერესის გაღვივებას ისახავს მიზნად.

**– რით განსხვავდება ახალი პროექტი სხვა სასწავლო ოლიმპიადებისგან, რომლებსაც შეფასებისა და განათლების ეროვნული ცენტრი ატარებს?**


– ოლიმპიადისთვის მზადების პროცესში ყველა ეტაპზე მოსწავლეებს სერიოზული მხარდაჭერა ექნებათ. ვგულისხმობ პროექტით განსაზღვრულ საგანმანათლებლო აქტივობებს. უკვე მომზადებულია და პროექტის ფეისბუქ გვერდზე ატვირთულია ვიდეო-ლექციების ციკლი, რომლებსაც უძღვებიან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ექსპერტები. ლექციების თემატიკა იმგვარადაა

თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ მიერ ინიცირებული პროექტების წარდგენა მოენყო, რომლებსაც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ახორციელებს. რატომ არის პროექტები უნიკალური და შეუწყობს თუ არა ხელს ახალგაზრდებში მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლებას და თვითმმართველობის არსის გაცნობიერებას. არჩეული ხელისუფლება ყოველთვის უნდა ვაკონტროლოთ – ამ მექანიზმის ამოქმედება ახალგაზრდებში სტუდენტობის დროს უნდა ისწავლონ. საგანმანათლებლო და პრაქტიკული საქმიანობის მქონე პროექტებმა მოზარდებში დიდი ინტერესი გამოიწვია, ამიტომ საჯაროდ მომავალშიც გაგრძელდება. არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“, კი, ფინანსურ დახმარებას არ დაიპყრებს. პროექტების განხორციელების ყველა ნიუანსზე გამოცდების ეროვნული ცენტრის საგნობრივი კვლევის დეპარტამენტის უფროსი ია კუტალაძე მოგიხსრობთ.

შერჩეული, რომ მოსწავლის მიერ მოქალაქის უფლებებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერებას, მრავალფეროვნების პატივისცემას, გარემოდაცვითი ცნობიერებისა და დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი. ამავე გვერდზე თავმოყრილია ყველა მნიშვნელოვანი გამოცემა და საკითხავი მასალა სამოქალაქო განათლებაში, რაც მოსწავლეებს ოლიმპიადისათვის მზადების პროცესში დაეხმარება. მოსწავლეთა მოტივირებისა და სამოქალაქო განათლების პოპულარიზაციის მიზნით არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ მიერ დაწესებულია ძალიან საინტერესო წამახალისებელი ჯილდოები და პრიზები ოლიმპიადის სამივე ტურში გამარჯვებულთათვის.

**– როგორ მიმდინარებს ოლიმპიადა?**

– ოლიმპიადა სამი ტურისგან შედგება, I შესარჩევი ტური ძირითადად ეროვნულ სასწავლო გეგმას ეფუძნება და ტარდება სკოლებში კომპიუტერული პროგრამით. მოსწავლე ტესტირების დასრულებისთანავე შეიტყობს შედეგს. აღსანიშნავია, რომ არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის ტესტი ითარგმნება მათ მშობლიურ ენაზე. 2000 საუკეთესო შედეგის მქონე მოსწავლე მეორე ტურში გადადის. II და III ტურში ძირითადი აქცენტი გაკეთდება კრიტიკული აზროვნების, არგუმენტირებული მსჯელობის, დილემური სიტუაციების ზნეობრივი და სამართლებრივი პოზიციებიდან განსჯისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარზე. II ტურიდან III-ში გადადის 200 მოსწავლე. მესამე ტური ორი ნაწილისაგან შედგება: ესე და პრეზენტაცია. შეფასდება სამოქალაქო ღირებულებების პატივისცემა, სამოქალაქო და მოქალაქეობრივი უფლებების კონცეფციების გამოყენება პრობლემის გადაწყვეტის პროცესში, კრიტიკული აზროვნების, არგუმენტირებული მსჯელობის უნარი და პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომა.



სასწავლო რესურსი №2

III ტურის დავალებათა ნიმუში

ქვემოთ მოცემულია სამი სასწავლო რესურსი. ყურადღებით გაეცანით თითოეულს. თქვენს ცოდნასა და მოცემულ სამივე სასწავლო რესურსზე დაყრდნობით, დანერეთ ესე თემაზე – „მე არ მეშინია მოვალეობების, მე მივესალმები მათ.“

სასწავლო რესურსი №1

1.1 „შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისათვის არ მოგიპარავს, ერთის სიტყვით – რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია. ესეც კარგია: უარარაობას ეგა სჯობია.“

1.2. „მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი გიქნია?“ „კაცია ადამიანი“?! ილია ჭავჭავაძე

2.1. „ნუ იკითხავთ, რა შეუძლია გააკეთოს ქვეყანამ თქვენთვის; იკითხეთ, რა შეგიძლიათ გააკეთოთ ქვეყნისათვის.“

2.2. „ჩემო მეგობარო მოქალაქეებო მთელი მსოფლიოდან, ნუ იკითხავთ, რა შეუძლია გააკეთოს ჩემმა ქვეყანამ თქვენთვის, არამედ, ერთად რა შეგიძლია გავაკეთოთ კაცობრიობის თავისუფლებისათვის?“


ჯონ კენედის გამოსვლა ინაუგურაციაზე, 1961 წლის 20 იანვარი



სასწავლო რესურსი №3

„ადამიანი მოქმედებისათვის შეიქმნა და საკუთარი შესაძლებლობების დაძაბვით, ხელი უნდა შეუწყოს თავისი და სხვების გარემო პირობების შეცვლას იმგვარად, რომ ამით საუკეთესოდ იქნეს უზრუნველყოფილი თითოეულის ბედნიერება.“

„მორალური სენტიმენტების თეორია“ ადამ სმითი



– არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ მხარდაჭერით საუკეთესო შედეგის მქონე 20 მოსწავლე ევროპაში ენის შემსწავლელ კურსებზე გაემგზავრება. იმის მიხედვით, სკოლაში რომელ უცხოურ ენას სწავლობენ მოსწავლეები ინგლისში, საფრანგეთში ან გერმანიაში წავლენ. სამივე ტურში ბევრი წამახალისებელი პრიზია დაწესებული.. არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“ პროექტის ბიუჯეტის 80%-ს სწორედ მოსწავლეთა წახალისებასა და პრიზებზე ხარჯავს. როგორც უკვე აღვნიშნე შექმნილია ფეისბუქის გვერდი ოლიმპიადის სამოქალაქო განათლებაში, სადაც ოლიმპიადის შესახებ ყველა დეტალური ინფორმაცია განთავსებული, მათ შორის, თავმოყრილია სამოქალაქო განათლებაში ქართულ ენაზე გამოცემული ლიტერატურა და საკითხავი მასალები, ასევე, I, II და III ტურის დავალებათა ნიმუშები. ეს შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს უკეთ მოემზადონ ოლიმპიადისთვის, ამ პრო-

ცესში მათ პედაგოგებიც აქტიურად დაეხმარებიან. მოზარდებს ჩვენგანაც მხარდაჭერა ექნებათ. ფეისბუქის გვერდი ინტერაქტიულია, მოსწველები გვერდზე შეკითხვებს და ჩვენც ვპასუხობთ.

– **მეორე პროექტია სტუდენტები თვითმმართველობისთვის, არჩევითი ორგანოს – ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ საზოგადოების ინტერესი საკმაოდ დაბალია, მისი მთავარი ფუნქცია ხალხთან სიახლოვე და მიმდინარე პროცესის გამჭვირვალედ წარმართვაა. რას ისწავლიან ამ პროექტით სტუდენტები?**

– ეს, მართლაც, უნიკალური პროექტია. პროექტი სტუდენტური გუნდებისთვისაა განკუთვნილი. პროექტის მიზანია თვითმმართველობის საკითხებში ახალგაზრდა პროფესიონალების მომზადება, ჩართულობის ხელშეწყობა და ამ გზით ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების მხარდაჭერა. პროექტში მონაწილე 4-6 სტუდენტისაგან

შემდგარი გუნდები ამ პროექტისთვის სპეციალურად შეიქმნილი ელექტრონული რეგისტრაციის სისტემით გადიან რეგისტრაციას. გუნდი რეგისტრაციის პროცესში იღებს დავალებას ეგრეთ წოდებული სიმულაციურ სავარჯიშოს ვირტუალური მუნიციპალიტეტის შესახებ. რეგისტრაცია დასრულებულად ითვლება იმ შემთხვევაში, როცა უკვე შერულებული დავალება აიტვირთება შესაბამის ველში.

**- რას მოითხოვს ეს დავალება?**

სიმულაციურ სავარჯიშოში მოცემულია ვრცელი ინფორმაცია ვირტუალური მუნიციპალიტეტის შესახებ, კერძოდ, მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ დახასიათება, ინფორმაცია დემოგრაფიის, დასაქმებისა და უმუშევრობის, კომუნალური საკითხების, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროს შესახებ და სხვა. მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გუნდმა უნდა მოამზადოს ანალიტიკური დოკუმენტი, სადაც გაანალიზებული იქნება ამ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები. სტუდენტებს მოეთხოვებათ: მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების იდენტიფიკაცია; პრობლემების პრიორიტეტიზაცია და დასაბუთება; პრობლემების გადაწყვეტის სავარაუდო გზების აღწერა და დასაბუთება.

- დოკუმენტი უნდა მოიცავდეს პრობლემების დასაძლევად შემოთავაზებული აქტივობის ბიუჯეტის ზოგად მონახაზსაც. ანალიზისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პრობლემების იდენტიფიკაცია და პრიორიტეტიზაცია, არამედ თემის კაპიტალის შეფასებაც, ანუ სტუდენტურმა გუნდმა უნდა შეძლოს მუნიციპალიტეტთან დაკავშირებული თემის რესურსებისა და ძლიერი მხარეების წარმოჩენა და იმის განსაზღვრა, თუ როგორ შეიძლება ამ შესაძლებლობების გამოყენება არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. ანალიტიკურ დოკუმენტს თვითმმართველობის სფეროს ექსპერტები შეაფასებენ. შეფასების კრიტერიუმებზე მათ ჩვენთან ერთად იმუშავენ. გუნდებს საშუალება ექნებათ გასწავლილი ნაშრომები ვებ-გვერდზე იხილონ.

**- რა არის ამ სავარჯიშოს მიზანი?**

- სტუდენტური გუნდების შერჩევა, რომლებიც მე-2 და მე-3 ტურებში უკვე რეალური მუნიციპალიტეტის პრობლემების შესწავლაზე იმუშავენ. ამ კონსკურსის მიზანი სტუდენტთა თვითმმართველობის საკითხებით დაინტერესება და ამ სფეროში მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობაა. ყველა ეტაპზე ჩვენგან სერიოზული მხარდაჭერა ექნებათ. ფეისბუქის გვერდზე სტუდენტები თვითმმართველობისთვის ატვირთულია ლიტერატურა თვითმმართველობის საკითხებზე, რაც პროექტით განსაზღვრული დავალებების შესრულებაში დაეხმარებათ. სტუდენტებს შეუძლიათ კონსულტაციისთვის ლექტორსაც მიმართონ; მთავარია, დაინტერესდნენ, ისწავლონ, გააქტიურდნენ და საკუთარი პასუხიმგებლობა გააცნობიერონ. სწავლების მიზნით მთელი პროექტის მანძილზე ტრენინგების ციკლი არის დაგეგმილი.

**- რა ხდება მეორე და მესამე ეტაპებზე?**

- მეორე ეტაპის მიზანი კონკრეტული მუნიციპალიტეტის პრობლემების შესწავლა და ანალიზია. გუნდი ირჩევს მუნიციპალიტეტს, წერს საპროექტო წინადადებას, აღწერს იმ მეთოდებსა და აქტივობებს, რომლის საშუალებითაც შეისწავლის კონკრეტული მუნიციპალიტეტის პრობლე-

მებს; აღწერს სამივლინებო ხარჯებს, რომელიც გუნდს დაჭირდება მუნიციპალიტეტში. არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“ აფინანსებს სამივლინებო ხარჯებსაც. გუნდი გაემგზავრება მუნიციპალიტეტში, შეისწავლის მოსახლეობის განწყობებსა და დამოკიდებულებს, შეხვდება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რის საფუძველზეც შეაფასებს მუნიციპალიტეტში არსებულ ვითარებას, გამოკვეთს პრიორიტეტულ პრობლემებს და ასე შემდეგ. კვლევის საფუძველზე სტუდენტები ამზადებენ ანალიტიკურ დოკუმენტს. მათ მხარდასაჭერად, პროექტით განსაზღვრული დავალებების ეფექტიანად შესრულებისათვის, მე-2 ტურის სანყის ეტაპზე სტუდენტებს ტრენინგები უტარდებათ. ტრენინგი ორ მოდულს მოიცავს: I მოდული ადგილობრივი თვითმმართველობას ეხება და მოიცავს ისეთ საკითხებს როგორებიცაა: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და უფლებამოსილებები; მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში; მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესი და სხვა. ამ მოდულს თვითმმართველობის სფეროს ექსპერტები წარმართავენ. მეორე მოდული ფოკუსირებულია კვლევისა და შეფასების მეთოდების სწავლებაზე და მას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის დეპარტამენტი წარმართავს. მეორე ეტაპიდან მესამეზე ყველა გუნდი გადადის. მესამე ტურში გუნდებმა მათ მიერ შექმნილი ანალიტიკური დოკუმენტის საფუძველზე უნდა მოამზადონ მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა. ამ შემთხვევაშიც ძალიან მნიშვნელოვანია თემის რესურსებისა და ძლიერი მხარეების შესაძლო გამოყენების გზების აღწერა. დავალება, ცხადია, თვითმმართველობის პერსპექტივიდან უნდა შესრულდეს. დოკუმენტში აღწერილი უნდა იყოს გამოვლენილი პრობლემების დაძლევის გზები და განვითარების პერსპექტივები, ასევე შემოთავაზებული აქტივობების ბიუჯეტი. ამავე ეტაპზე დაგეგმილია მუნიციპალიტეტებში სტუდენტური გუნდების მიერ მომზადებული ხედვის დოკუმენტის პრეზენტაცია და განხილვა. თვითმმართველობისა და შეფასების ექსპერტებით დაკომპლექტებული კომისია საუკეთესო გუნდებს გამოავლენს. შეფასება ხდება ელექტრონულად E-marker-ის სისტემის გამოყენებით, კონფიდენციალობის სრული დაცვით. სტუდენტებს ექნებათ გასწავლილი ნაშრომების ვებ-გვერდზე ხილვის საშუალება. არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“ გამარჯვებულ გუნდებს ევროპის წარმატებული თვითმმართველობების მქონე ქვეყნებში უშვებს სტაჟირაზე. პროექტისადმი ძალიან დიდი ინტერესია, უკვე 200-ზე მეტი გუნდია რეგისტრირებული, მათ შორის საქართველოს რეგიონალური უმაღლესი სასწავლებლებიდან, რაც განსაკუთრებით სასიხარულოა. დარწმუნებული ვარ, რომ პროექტში მონაწილე სტუდენტები სერიოზულად გაიღრმავებენ ცოდნას თვითმმართველობის საკითხებში, მათ მუშაობის ინტერესი, მოტივაციაც გაუჩინდებათ და თავის წვლილს შეიტანენ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და ადგილობრივი დემოკრატიის გაძლიერების პროცესში.

ლელა სურმავა

# ბურიაში რსკანა - ეს იყო მრავალპროფილური აბჯანაშორია ბორბლაზა

ამტელ ჰოსპიტალ – პირველი კლინიკური საავადმყოფოს თერაპიისა და კარდიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ირაკლი მეგრელაძეს სამედიცინო დაწესებულებაში ვესტუმრე. გაუმარჯოს გურულებს – ასეთი მისალმებით შემხვდა, ჩემმა რესპონდენტმა საუბარი იმ თემით დაიწყო, რომელიც ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასია და არასდროს ავიწყდება.

გურიისადმი განსაკუთრებული სიყვარული ბავშვობიდანვე ჩამომიყალიბდა, მამის მხრიდან უახლოესი ნათესავები (მეგრელაძეები) არავინ დამრჩა, მამას და-ძმა ახალგაზრდა ასაკში გარდაეცვალა. სამაგიეროდ დედის მხრიდან ბევრი ნათესავი მყავდა (გოგიბერიძეები, ვანიძეები, დოლიძეები და სხვა), რომლებიც ცხოვრობდნენ ოზურგეთში, ბათუმში, ქობულეთში და სამტრედიაში. თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე ყოველი წლის ზაფხულს ვატარებდი გურიაში (ოზურგეთი, შემოქმედი, ბახმარო, ჩოხატაური, ქვენობანი, ურეკი) და აჭარაში (ბათუმი, ქობულეთი). ჩემი სიმამრი ცნობილი ქირურგი, პროფესორი ავთანდილ კუტუბიძე წარმოშობით დედაჩემის სოფლიდან ქვენობნიდან იყო, უზომოდ უყვარდა თავისი მშობლიური მხარე, რამაც კიდევ უფრო გამიძლიერა ლტოლვა გურიისაკენ. ჩემი სიდედრი, თათუშა გაჩეჩილაძე ლარინგოლოგი იყო, მეუღლე, ლინა კუტუბიძე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ოფთალმოლოგი, ცოლისძმა რამაზ კუტუბიძე პროფესორი, ბავშვთა ქირურგი. ზაფხულობით, დასვენების პარალელურად, ქველმოქმედებას ვწეოდით. ქვენობანში ადგილობრივები სიხარულით გვხვდებოდნენ, გავდიოდით ურეკში და ბათუმში. გურიაში ჩასვლა – ეს იყო მრავალპროფილური აბჯანაშორია ბორბლაზაზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კარდიოლოგიური მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი ირაკლი მეგრელაძე დაიბადა 1938 წელს თბილისში. მამა – ილია მეგრელაძე დაიბადა 1897 წელს სოფელ ასკანაში, გაიზარდა ოზურგეთში, თბილისში დაცოლშვილდა. საქართველოს შამპანტრესტის დირექტორის მოადგილედ მუშაობდა. გარდაიცვალა 1953 წელს. დედა – ჯულიეტა გოგიბერიძე დაიბადა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვენობანში, ადრე დაობლდა, ამიტომ 14 წლის ასაკიდან იზრდებოდა თბილისში დედის – მაიკო ვანიძისა და ბიძის – თედორე ცხომელიძის ოჯახში.

ირაკლი მეგრელაძემ საშუალო სკოლა დაამთავრა 1956 წელს წარჩინებით, ოქროს მედალზე. 1956-1962 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე. 1962-1963 წლებში იყო ბორჯომის რაიონის სანატორიუმის ექიმი-ორდინატორი. 1963-1966 წლებში საქართველოს კლინიკური და ექსპერიმენტული ინსტიტუტის ასპირანტი ელექტროფიზიოლოგიის განხრით. 1967 წლიდან ასპირანტურის დამთავრებისა



ირაკლი მეგრელაძე



და დისერტაციის დაცვის შემდეგ მუშაობა დაიწყო ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კარდიოლოგიის კათედრაზე ჯერ ასისტენტად, შემდეგ დოცენტად, პროფესორად და ბოლოს კათედრის გამგედ. ირაკლი მეგრელაძის მისვლამდე ხელმძღვანელობდა ამ კათედრის დამარსებელი, მისი მასწავლებელი პროფესორი გაიოზ ცინცაძე. საბჭოთა კავშირის დაშლამდე დახელოვნების ინსტიტუტი იყო საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში, რის გამოც თბილისში კვალიფიკაციის

ასამაღლებლად ჩამოდიოდნენ კარდიოლოგები სხვადასხვა რესპუბლიკებიდან. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დახელოვნების ინსტიტუტი შევიდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შემადგენლობაში, ხოლო კადრების სტრუქტურა გადაკეთდა მიმართულებებად. 1991-1992 წლებში ირაკლი მეგრელაძე იყო საქართველოს ჯანდაცვისა და სოცურუნველყოფის მინისტრის მოადგილე, შემდეგ მინისტრი. მის ცხოვრებაში ყველაზე მძიმე პერიოდი: სამოქალაქო ომი თბილისში, აფხაზეთში, ოსეთში. რთული ვითარების მიუხედავად, პირადი კონტაქტებისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ძველი ექსპერტების დახმარების წყალობით, მოახერხა სათანადო დოკუმენტაციის მომზადება და საქართველოს განვერიანება ამ პრესტიჟულ ორგანიზაციაში, ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო განვერიანებული გაეროში. 1992 წლის 5 მაისს ყენევაში გამოვიდა 180 ქვეყნის წარმომადგენლების წინაშე ჯამო-ს სესიაზე და ქართველი ხალხის სახელით მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მხარდაჭერისთვის. ამ ფაქტმა დასაბამი მისცა ჯამო-ს უამრავი პროგრამის განხორციელებას საქართველოში. 1992 წლის ივლისში სოროსის ფონდის მიწვევით იყო აშშ-ში, სადაც გააფორმა ხელშეკრულებები ატლანტისა და კალიფორნიის სამედიცინო ცენტრებთან და ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ. აშშ-დან დაბრუნების შემდეგ რთული ვითარება დახვდა, აფხაზეთის ომთან დაკავშირებით, რუსეთმა დაარღვია სამშვიდობო შეთანხმება და დაიწყო გაგრავა შეტევა. დაჭრილი მეომრები ტყვედ რომ არ ჩავარდნილიყვნენ, ედუარდ შევარდნაძეს თხოვა სპეც თვითმფრინავი დაჭრილების წამოსაცანად.

ირაკლი მეგრელაძის თხოვნა დააკმაყოფილეს, გაფრინდა ადღერში და იქიდან მანქანით ჩავიდა გაგრამში. იქ დახვდა პრეზიდენტის წარმომადგენელი გივი კვანტალიანი, რომელმაც გამოიჩინა შესაშური ოპერატიულობა და დაეხმარა, 2 დიდი ავტობუსით ადღერში ჩაეყვანა 40-ზე მეტი დაჭრილი, იქიდან კი თვითმფრინავით გამოემგზავრნენ თბილისში.

ირაკლი მეგრელაძე არის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კარდიოლოგიური მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი.

1981 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია „მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონივრული გამოცდილების დანერგვისათვის“. 1992-1994 წლებში იყო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. 1999 წელს მიენიჭა ღირსების ორდენი. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა: კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინის ფართო სპექტრი (ელექტროფიზიოლოგია, კარდიოლოგიურ დაავადებათა პათოგენეზი, დიაგნოსტიკა და ფარმაკოთერაპია). 2004-2009 წლებში სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობდა. 1967 წლიდან დღემდე ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას ექიმთა დიპლომის შემდგომი განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემაში ჯერ კათედრის ასისტენტის, შემდეგ დოცენტის, პროფესორის, კათედრის გამგის და ბოლოს თსუ-ს სრული პროფესორის თანამდებობაზე.



ირაკლი მეგრელაძე 1998 წელს არჩეულია საერთაშორისო აკადემიათა საზოგადოების წევრად. ამჟამად ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის და საქართველოს კარდიოლოგთა საზოგადოების გამგეობის წევრია. სრულ პროფესორს გამოქვეყნებული აქვს 110 სამეცნიერო ნაშრომი,

2 მონოგრაფია, 2 მეთოდური რეკომენდაცია, 2005-2014 წლებში დაიბეჭდა 18 სამეცნიერო ნაშრომი რეფერირებად ჟურნალებში. 2004-2009 წლებში მონაწილეობდა სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო ფორუმებში. 2011 წლიდან დღემდე არის ამტელ ჰოსპიტალ-პირველი კლინიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი. ჰყავს ორი შვილი – რუსუდან მეგრელაძე, ისტორიკოსი, მეცნიერებათა კანდიდატი და თემურ მეგრელაძე საამშენებლო კომპანიის მშენებლობის დეპარტამენტის დირექტორი. შვილიშვილები – სალომე ვაშაკიძე

23 წლის, დაამთავრა ბუდაპეშტში ევროპის საერთაშორისო ბიზნესის უნივერსიტეტი და ელენე მეგრელაძე 10 თვის.

გურულების ენაკვიმატობა ყველასთვის ცნობილია. ირაკლი მეგრელაძემ მოგვიყვა, როგორ იყო შესუმრებული მზიანელი ნიკალა ჭიშვილი მეზობლებთან – საქონელი დაკვალი, თანასოფლელები მესტუმრნენ, კარგად მოილხინეს და 12 საათზე წვეიდნენ. ერთ-ერთმა

ნამეინყო სიმღერა – ვაი, ვეღარ ვხედავ მზეს. მე ვუპასუხე – მზეს თუ ვერ ხედავ, სახლის ჭიშკარს ხომ ხედავო?! დეკნა დაკვალი, სტუმრები მეწვივნენ, ორი დღე იარეს, აი ხორცი კი შეჭამეთ, ტყავია დარჩენილი, მეიხურეთ და ნაით სახლში. აი პირი რომ მაქვს დაფრენილი, შენ გგონია, მიხარია და გიცინი? – პროტეზი მაქვს და არ მეკუთმებაო.

ჩვენი რესპონდენტი ქართული სოფლის დაცარიელებაზე სინანულით საუბრობს, თვლის, რომ სოფლის გადაშენება, ქვეყნისთვის ნამდვილი წარღვევაა. წინა თაობას იხსენებს, მათ გარეშე გურიაში ჩასვლის სურვილი აღარ აქვს. მრავალპროფილური ამბულატორია ბორბლებზე იმ ადამიანების მესხიერებას შემორჩა, რომლებიც ექიმების მადლიერი პაციენტები იყვნენ.

ლელა სურმაჯა

### მრავალქარღვა და საღბი კუჭის წყლის სამკურნალოდ



მრავალქარღვა და საღბი კუჭის წყლის სამკურნალოდ „მკურნალი. გე“-ს მეთხველმა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის დაქვეითებული მუშაობით მიმდინარე წყლოვანი დაავადების გამწვავების პროფილაქტიკისათვის მცენარეული ნაყენის რეცეპტი გაგვიზიარა:

აიღეთ თანაბარი რაოდენობის მრავალქარღვასა და საღბის ბლახი, წვრილად დაჭერით და ერთმანეთში აურიეთ. 1 სადილის კოვზ ნარევის დასხით 2 ჭიქა ადუღებული წყალი და ადუღეთ 5 წუთი, შემდეგ ეს ნაყენი 1 საათით გააჩერეთ და მზად არის.

გაზაფხულის დადგომისთანავე, როცა დაავადების გამწვავებაა მოსალოდნელი, მიიღეთ ნახევარი ჭიქა დღეში ერთხელ 14 დღის განმავლობაში. შემოდგომაზეც უნდა ჩაითაროთ 14-დღიანი კურსი, ოღონდ შედარებით მოზრდილი დოზებით – ნახევარი ჭიქა დღეში სამჯერ.

ნამლის მოშადება მხოლოდ მრავალქარღვასგანაც შეიძლება. ამისთვის მრავალქარღვას ფოთლები უნდა გარეცხოთ ცივი წყლით, გააშროთ, დაასხათ ადუღებული წყალი და მაშინვე ამოიღოთ, დაღოთ ვარცხნი დასაწურად და მალევე გაატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში.

მიღებული მასიდან უნდა გამოწეროთ წვენი. თუ სქელი და ნელვადი წვენი მიიღეთ, დაასხით იმავე რაოდენობის წყალი და კარგად შეანჯღრიეთ. გამოწურული წვენი უნდა ადუღოთ 1 წუთის განმავლობაში. მიიღეთ თითო სადილის კოვზი დღეში 4-ჯერ, ჭამამდე 15-20 წუთით ადრე.

### მეცნიერებმა ლაბორატორიულ პირობებში ხელოვნური სისხლი შექმნეს

მეცნიერებმა ლაბორატორიულ პირობებში ხელოვნური სისხლი შექმნეს სისხლის გადასხმამ უმარავი ადამიანი გადაარჩინა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ დონორთა სისხლი ყოველთვის არ არის სამყოფი, თანაც ადამიანს ყოველგვარი სისხლი არ აკმაყოფილებს - გადასასხმელად საჭიროა მხოლოდ განსაზღვრული ჯგუფის სისხლი; წინააღმდეგ შემთხვევაში იმუნური სისტემა შეტევაზე გადავა უცხო უჯრედების წინააღმდეგ. მეცნიერებმა სულ ახლახან მიადგინეს ამ პრობლემის მოგვარების გზა: მათ, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, შეძლეს ლაბორატორიულ პირობებში ხელოვნური სისხლის შექმნა. მომავალში ამ აღმოჩენამ შესაძლოა დონორის ინსტიტუტის გაუქმებამდე და სისხლის საწარმოო მასშტაბებით წარმოებაამდე მივყავანოს.



გარდა ამისა, ლაბორატორიებში სხეულის ნაწილების გამოზრდა სამეცნიერო ფანტასტიკის სფეროდან რეალობაში გადაინაცვლა. ქალებს, რომლებსაც სასქესო ორგანოები, მათ შორის – საშვილოსნო, ბავშვობიდან განუვითარებელი ჰქონდათ, ლაბორატორიაში მათივე გენეტიკური მასალისგან შექმნილი ხელოვნური გენიტალიები გადაუნერგეს. ახალი ორგანოები რვა წლის განმავლობაში ყოველგვარი გვერდითი მოვლენის გარეშე შესანიშნავად შეეგუა ორგანიზმს.

მეორე მაგალითი: კანის კიბოთი დაავადებულებს, რომლებმაც ამ ავადმყოფობის გამო ცხვირი დაკარგეს, ლაბორატორიაში მათივე კანის უჯრედებისგან შექმნილი ახალი ნესტოები მიიღეს.



# ფუტკარს სოსხალ აფთიაქს უწოდებენ



ქართული ფუტკრის საუკეთესო თვისებებია – თვინიერება, შრომისუნარიანობა და ხორთუმის დიდი სიგრძე – 7,2 მმ და სხვა. იგი მსოფლიო მეფუტკრეობის ყურადღების ცენტრში მოექცა. ამჟამად მრავალ ქვეყანაში ფუსფუსებს ქართული მთის რუხი ფუტკარი. საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ მეფუტკრეობის განვითარებისათვის შესანიშნავი ბუნებრივ-კლიმატური პირობები ჯერ კიდევ არსებობს, მას ყურადღებას არ აქცევენ, მეთეხარისხოვან დარგად მიიჩნევენ და განადგურებისთვისაც კი არ იმეტებენ. მეფუტკრეობა უხსოვარი დროიდან აკმაყოფილებდა ფუტკრის პროდუქტებზე – თაფლზე, ცვილზე არამარტო ქვეყნის შიდა, არამედ გარე მოთხოვნილებასაც. ფუტკრის პროდუქცია სხვა საქონელთან ერთად, მაგალითად აბრეშუმთან ერთად გაჰქონდათ გასაყიდად, როგორც საუკეთესო საბაზრო საქონელი, დღეისათვის კი ორივე დარგი – მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა განადგურების გზაზეა.

მეცხოველეობის დარგის ერთ-ერთ სიახლეს, გარდა ფუტკრისა, არ გააჩნია საკვების მოპოვების და დაგროვების, მრავალი სახის პროდუქციის შექმნის უნარი, არ ემსახურება მცენარეთა ეკოლოგიურ სრულყოფას და გამრავლებას. ფუტკარი საკვების მოძიების პროცესში მცენარეებს კი არ ანადგურებს, არამედ ნექტრის მოპოვებით და ყვავილების დამტვერვით ხელს უწყობს მცენარეთა გამრავლებას და მისი ნაყოფის სრულყოფას, რითაც ასევე მეტად აჯილდოვებს ყვავილების მეპატრონეს ყვავილის ტკბილი წვენით სარგებლობისათვის.

ფუტკრის მიერ წარმოებული შვიდი სახის პროდუქტი – თაფლი, ცვილი, დინდგელი, ყვავილის მტვერი, ჭეო, სადედე რძე, შხამი – ეკოლოგიური სისუფთავით ბუნებაში არსებულ ყველა საარსებო პროდუქტებს შორის მაღალი კვებითი ღირებულებითა და სამკურნალო თვისებებით შეუდარებლად გამორჩეულია. რის გამო ფუტკარს ცოცხალ აფთიაქს უწოდებენ. ფუტკრის პროდუქტებზე, მის წარმოებასა და რეალიზაციაზე ყოველდღიურად იზრდება მოთხოვნილება, რაც ქვეყნისა და მეფუტკრის ოჯახის ბიუჯეტის შევსების წყარო ხდება.

ველური მდგომარეობიდან შინაურ და კულტურულ მეფუტკრეობამდე დარგს განვითარების ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. XX საუკუნის დიდმა აღმოჩენებმა გააძლიერა მსოფლიო მასშტაბით გავრცელებულ ფუტკრის მეცნიერული შესწავლა და გამოავლინა ყველაზე პროდუქტიული სასარგებლო ნიშან-თვისებებიანი ქართული ფუტკარი და მოახდინა მისი პოპულარიზაცია.

ქართული ფუტკრის ჯიშის სინმინდის შესანარჩუნებლად საქართველოს ტერიტორია 1958 წლიდან გამოცხადდა ნაკრძალად. საქართველოს სახელმწიფო ყოველი ჩვენთაგანისაგან მკაცრად მოითხოვდა, დაგვეცვა ქართული ფუტკრის სინმინდის შესანარჩუნებლად ნაკრძალად გამოცხადებულ ჩვენს ტერიტორიაზე სხვა ქვეყნიდან ფუტკრის შემოყვანა.

მეფუტკრეობის განვითარებისათვის 1959 წელს დაარსდა მეფუტკრეობის საცდელი სადგური – საქართველოს მინისტრთა საბჭომ ოქროყანის დაქვემდებარებაში მყოფ სააგარაკო მიწის ნაკვეთიდან გამოგვიყო სოლიდური ტერიტორია, სადაც აშენდა მეფუტკრეობის საცდელი სად-

გური დაკომპლექტებული იყო იმ პერიოდისათვის ქვეყნის მასშტაბით ყველა რეგიონში მოძიებულ მეფუტკრეობის დარგზე შეყვარებული ერთუზიანისტებით და პრაქტიკოსებით, შეიქმნა ექვსი სამეცნიერო განყოფილება – ფუტკრის მოვლა-მოშენების, დაავადებათა შესწავლის და მათთან ბრძოლის, საკვები ბაზის, ბიოქიმიის, ეკონომიკის და ინფორმაციის განყოფილებები. საცდელმა სადგურმა ექსპედიციური ხასიათის შემონმებით, შეისწავლა რეგიონების მიხედვით გავრცელებული ფუტკრები და გამოავლინა გურული, მეგრული, ქართლური, იმერული, კახური პოპულაციები, რომლებიც ექსტერიერული და პროდუქტიული მონაცემებით ერთმანეთს არ ჩამოუვარდებოდა. ჩვენი ქვეყნის ეკოლოგიურ-გეოგრაფიული პირობების ზემოქმედებით ხორთუმის სიგრძით გამოირჩეოდა მეგრული და გურული პოპულაციები. ამიტომ ქართულმა ფუტკარმა, თავისი სასარგებლო ნიშან-თვისებების – ხორთუმის სიგრძე, მაღალპროდუქტიულობა, თვინიერება, შრომისმოყვარეობა, მცირე წვიმაში მუშაობის უნარი – მსოფლიო აღიარება მოიპოვა და მისი ღირსებებისათვის მეფუტკრეობის საერთაშორისო კონგრესებმა 1961, 1965 და 1971 წლებში ქართული ფუტკარი ოქროს მედლებით დააჯილდოვა.

საინფორმაციო საშუალებების დეფიციტის იმდონდელ პირობებში, მეფუტკრეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკამ ქვეყნის მასშტაბით შეძლო მოეძებნა ძველი ლიტერატურა, საინფორმაციო ფურცლები, თვალსაჩინო მასალა და სამუზეუმო ექსპონატები პრიმიტიული სკების ნიმუშების სახით. ამ ბიბლიოთეკაში ყველა მოყვარულს, თუ მეფუტკრე სპეციალისტს შეეძლო გაცნობოდა საქართველოში მეფუტკრეობის განვითარების მასალებს. თითოეული განყოფილების მეცნიერ-მუშაკი მათზე დაკისრებულ დავალებას პირნათლად ასრულებდა, ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა; ქვეყანაში გავრცელებული დაავადებების საწინააღმდეგოდ შემუშავებულმა ღონისძიებებმა ფუტკარი განადგურებას გადაარჩინა. ამ მიღწევაში დიდი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ვეტერინარიის დეპარტამენტის თანადგომამ.

ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები იმაღლებდნენ კვალიფიკაციას, მონაწილეობდნენ მსოფლიო კონგრესებზე როგორც მომხსენებლები, მეცნიერული ნაშრომები ქვეყნდებოდა მსოფლიო კონგრესის მასალებში, სოფლის მეურნეობის აკადემიის, ზოოვეტერინალური ინსტიტუტის შრომათა კრებულში, ჟურნალ „საქართველოს მეფუტკრეობის“ ფურცლებზე და ასე შემდეგ. ინსტიტუტის არსებობის პერიოდში ტარდებოდა საკავშირო კონფერენციები, თითქმის ყველა რეგიონში გასვლითი სემინარები მეფუტკრეობის აქტუალური საკითხების განსახილველად. ინსტიტუტთან მოქმედებდა მეფუტკრეობის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კურსები. კითხულობდნენ ლექციებს ზოოტექნიკურ სავეტერინარო ინსტიტუტში. ჩვენი მოწინავე მეცნიერები იყვნენ ზოოვეტინსტიტუტის დისერტაციების დაცვის საბჭოს წევრები, ზოგიერთი მათგანი იყო საკავშირო ტოქსიკოლოგიური საბჭოს, აპითერაპიის წევრი. ტელევიზიის და რადიოს საშუალებით პერიოდულად გადაიცემოდა დარგის განვითარებისათვის ყველა საჭირო მასალა, მეფუტკრეობის პროპაგანდის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს

უნმინდეს და უნეტარესს, კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, რომლის ინიციატივით საპატრიარქოში მრევლთათვის ტარდებოდა მეფუტკრეობის შემსწავლელი კურსები და საპატრიარქოს რადიოს საშუალებით გადაიცემოდა დარგთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ჩვენი ფუფუნება და წარმატებული მუშაობა ხანმოკლე აღმოჩნდა, ინსტიტუტში დაუსრულებლად ხდებოდა შტატების შემცირება, დირექტორების ცვლა და მათ ადგილზე სხვადასხვა მიზეზით თანამდებობიდან განთავისუფლებულ პირთა დანიშვნა, რომელთა დარგისადმი არაპროფესიონალურმა მიდგომამ ბევრი მიღწევა შეინარა, რასაც ხელი შეუწყო ქვეყანაში იმდროისათვის გამეფებულმა უკონტროლობამ და განუკითხაობამ, ამიტომ სოფლის მეურნეობის სხვა, საერთად მეფუტკრეობამაც დაღმავალი გზით დაიწყო სვლა.

დარგისადმი უპატივცემულობის აშკარა გამოხატულება ბოლო 15 წლის მანძილზე მეფუტკრეობაში საზოგადოებრივი სექტორის სრული უგულვებლყოფა. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტმა გაიარა რთული გზა და მოპოვებული წარმატებების გამო დაიმსახურა ინსტიტუტის სტატუსი, რომელიც ყოფილ საბჭოთა კავშირში მესამე იყო რუსეთის და უკრაინის შემდეგ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ არ გაითვალისწინეს ეროვნული დარგის განვითარებისათვის ინსტიტუტის არსებობის აუცილებლობა და დაარსებიდან, 50 წლის იუბილის აღნიშვნის ნაცვლად, საერთოდ გააუქმეს იგი. შეჩერდა ინსტიტუტში შემუშავებული ქართული ფუტკრის პოპულარიზაციის შექმნისა და მათი გავრცელების არეალების შენარჩუნების (გურული და მეგრული ხაზების) საქმე.



ალარ არსებობს და ერთი ხელის მოსმით გააუქმეს ყველა საჯიშე მეურნეობა – მუხური, სოხუმი, სამტრედია, ხარაგაული, ყვარელი – სადაც ხდებოდა სასელექციო დედა ფუტკრების გამოყვანა. სულ ახლო წარსულში კი ეს საჯიშეები დედა ფუტკრებით აკმაყოფილებდა არა მარტო ქვეყნის შიდა, არამედ საზღვარგარეთის 40 ქვეყნის მოთხოვნას. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ქართული ფუტკრის ნიშანთვისებების გაუმჯობესებაზე არაფერი კეთდება, ხელიდან გვეცლება უნიკალური ჯიშის ქართული ფუტკარი, ამიტომ საგანგაშო მდგომარეობაა ქართული ფუტკრის ხალასად მოშენების საქმეში. საჯიშეებში დასაქმებული ცნობილი პრაქტიკოსები უმუშევარი დარჩნენ, შემცველი თაობა კი არ ჩანს. ასევე გაუქმებულია ზაჰესში არსებული ფუტკრის სკების, ჩარჩოების, საბოლბელების, სხვადასხვა წვრილი ინვენტარის, ხელოვნური ფიჭის და სხვათა წარმოება. საჯიშეების გაუქმებით გამოუსწორებელი შეცდომაა დაშვებული და მის აღრინდელ მდგომარეობაში მოყვანას ათეული წლებიც კი არ ეყოფა.

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური ნგრევის წლებში მეფუტკრეობა, როგორც დარგი გადაარჩინეს ენთუზიასტებმა – კერძო სექტორში მოქცეა ქვეყანაში არსებული ფუტკრის ოჯახების (დაუზუსტებელი მონაცემებით) 95%-ზე მეტი. 500-ზე მეტმა მოყვარულმა მეფუტკრემ, რომლებიც სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები არიან, აიძალა კვალიფიკაცია მეფუტკრეთა კავშირში არსებულ სახალხო უნივერსიტეტში. ამ ხალხმა ცხოვრების წესად და ოჯახის

ბიუჯეტის შევსების წყაროდ გაიხადა ეს საქმიანობა. ამით დამტკიცდა, რომ მეფუტკრეობას, როგორც მატერიალური დოვლათის წარმოების დარგს, მხოლოდ აღმავალი გზით უწერია სვლა, მაგრამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა არ უნდა დაკარგოს.

ქვეყანაში არსებული ფუტკრის ოჯახების რაოდენობის შესახებ სტატისტიკური დეპარტამენტის მიერ მონოდებული ციფრები სარწმუნო არ არის, სინამდვილეს არ შეესაბამება და ფორმალურ ხასიათს ატარებს, რაც გამოიწვია სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებულ რაიონებში მეფუტკრეობის ინსპექტორის შტატის გაუქმებამ. ინსპექტორებს თავიანთი მოქმედების რეგიონში ევალებოდათ ფუტკრის ოჯახების რაოდენობის აღრიცხვა და მონაცემთა წარდგენა შესაბამის სამსახურებში.

დღემდე არ არსებობს ფუტკრის პროდუქტებზე და სანამუშევრო პროდუქციაზე საერთაშორისო სტანდარტები, რის გამოც ჩვენი მაღალი კვებითი ღირებულების და სამკურნალო თვისებების მქონე ფუტკრის პროდუქტების საზღვარგარეთ გატანა ვერ ხერდება. მხოლოდ კანონის გვერდის ავლით, კონტროლის გარეშე, ზოგიერთი „მოხერხებული“ პირი ახერხებს მათ გატანას, რაც უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის იმიჯზე. საზღვარგარეთიდან კი შემოდის ლამაზ ქილებში დაფასოებული ფალსიფიცირებული თაფლი. ფინანსური პრობლემებიდან გამომდინარე განწყდა კავშირი მეფუტკრეობის მხრივ განვითარებულ ქვეყნებთან.

დღეს, არცერთი ინსტიტუტი არამარტო არ ამზადებს მეფუტკრეობის სპეციალისტებს, არამედ საერთოდ ამ საგანში აღარც უკითხავენ ლექციებს. მეფუტკრეობის მიმართ სტუდენტთა უპატივცემულო დამოკიდებულებას საფუძველი ეყრება ინსტიტუტის კედლებშივე, არა მარტო იმით, რომ კათედრა არ არსებობს, არამედ იმითაც, რომ ლექციებს უკითხავენ არაპროფესიონალები, სწავლება მიმდინარეობს ერთსემესტრულად. შეზღუდული საათებით, არა როგორც საგამოცდო, არამედ ჩათვლითი სახით.

ამჟამად კადრების მომზადების საკითხი სამოყვარულო საქმიანობით შემოიფარგლება, სხვადასხვა ადამიანთა კვალიფიკაციის ამაღლებით მეფუტკრეობის სახალხო უნივერსიტეტში და მეფუტკრეთა კავშირთან და შპს „აპიფიტო და ტრადიციულ პროდუქტებთან“ არსებულ მეფუტკრეობის შემსწავლელ კურსებზე.

ქვეყანაში ადგილი აქვს ვადაგასული, ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული პრეპარატების რეალიზაციაში მოხვედრას, რის გამოც მომხმარებლები უნდობლობას უცხადებენ აფთიაქებს.

მეფუტკრეობის ინტენსიური განვითარების მისაღწევად გასატარებელია სტრუქტურული, ტექნიკური, საგანმანათლებლო, ფინანსური და სხვა ღონისძიებანი, რომელთა შორის ჩვენი აზრიც საყურადღებოა.

მკაცრად უნდა იყოს დაცული ქართული ფუტკრის სინმინდის შესანარჩუნებლად ნაკრძალად გამოცხადებული საქართველოს ტერიტორია და კატეგორიულად აიკრძალოს სხვა ქვეყნიდან ფუტკრის შემოყვანა. დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს ქართული ფუტკრის სახელმწიფო საჯი-

შე შეურწმუნებები, ან შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი ფერმერული მეურნეობა, რომლის ფერმერი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი იქნება. ის მხოლოდ სახელმწიფო კონტროლის ქვეშ უნდა აწარმოებდეს სელექციური დედეების შემოყვანას. ფერმერულ მეურნეობებში სარეალიზაციოდ მაღალხარისხიანი დედეების გამოყვანამდე მოხდეს ქართული ფუტკრის საჯიშე მასალიდან რეკორდული ოჯახების გამოვლინება.

აჩიხილი და ხანძრისაგან დაზარალებული ტყეების და თაფლიანი მცენარეების აღდგენაზე იზრუნოს გამწვანების სამსახურებმა, აუთვისებელი მიწის ფართობზე დაითესოს ფუტკრისათვის საჭირო ისეთი უხვთაფლიანი, ყვავილობის გრძელი ვადის მქონე მცენარეები. ახლო მომავალში დასრულდეს ფუტკრის პროდუქტების საერთაშორისო სტანდარტების შემუშავება, სადაც ჩართული უნდა იყვნენ გამოცდილი ქიმიკოსები მეფუტკრე სპეციალისტებთან ერთად, რომ ხელი შეეწყოს ეკოლოგიურად სუფთა ნატურალური პროდუქტების საზღვარგარეთ სარეალიზაციოდ გატანას.

ჩგატარდეს კონტროლის უფლებამოსილი ორგანიზაციების მიერ მკაცრი ღონისძიებანი. ვეტერინარულ ავთიქეპში არ იქნეს დაშვებული ფალსიფიცირებული, ვადაგასული, არარეგისტრირებული და არასერტიფიცირებული პრეპარატების შექენა.

განათლების სამინისტროს წინაშე დაისვას საკითხი უმაღლეს სასწავლებლებში (ზოოვეტერინარული ინსტიტუტი და აგრარული უნივერსიტეტი) მეფუტკრეობა ახლებური მეთოდით ისწავლებოდეს და სავალდებულო საგნად ჩაითვალოს. საგანი იკითხებოდეს არა როგორც ჩათვლით, არამედ როგორც საგამოცდო, შესაძლებლობის ფარგლებში გაიხსნას მეფუტკრეობის კათედრა, რომელიც გაზრდის მეფუტკრეობის ავტორიტეტს, სტუდენტთა პასუხისმგებლობას დარგის დაუფლების საქმეში და გამორიცხავს ინსტიტუტის კედლებშივე დარგისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებას.

ვენერა სტეფანიშვილი  
აკადემიკოსი

# სახელმწიფო მეფუტკრეობის საკითხებით არ ინტერესდება

2014 წლის საქმიანობის ანგარიშის გასაცნობად მეფუტკრეობის კავშირის წევრები შეიკრიბნენ – ისე გვებრძვიან და გვაგინოვებენ, წინსვლა არ ჩანს, კრწანისის რაიონში არსებული 2 ჰა ტერიტორია, თავისი შენობა-ნაგებობით 1968 წლიდან საქართველოს მეფუტკრეთა კავშირის ეკუთვნის, 1990 წელს კოდორის ხეობიდან წამოსულმა დევნილებმა დაიკავეს. მივმართე პრემიერ-მინისტრს, ეკონომიკის მინისტრს. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ვახტანგ ხმალაძემ ჩემი წერილს ასეთი მითითება მისცა – სახელმწიფოს მხრიდან ბიუროკრატიული პროცესების გამო, საქმის განხილვა გაჭიანურებულია და ეკონომიკის სამინისტროს გადაუგზავნა. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ დიმიტრი ქუმსიშვილმა წერილი ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრს გააგზავნა, ახლა გარდაბნის მუნიციპალიტეტის პასუხს ველოდები, ისინი დაინტერესებული არიან ეს ტერიტორია გაიყიდოს. ჩვენ უკანონოდ მითვისებული ქონების დაბრუნებას ვითხოვთ. ვნახოთ, რას გადაწყვეტენ – განაცხადა მეფუტკრეთა კავშირის თავმჯდომარემ, რამაზ თავართქილაძემ.

**ბუღუ მურუსიძე:** იმ პერიოდისთვის კავშირს 211 ფუტკრის ოჯახი ერიცხებოდა, 56 000 ლარის დავალიანება გექონდა, რამაზის ძალისხმევით პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა 36 000 ლარი ჩამოგვანერა. 2012 წლის 5 იანვარს საგადასახადო სამსახურიდან მოვიდა მომართვა თუ დავალიანებას არ დაფარავთ, კავშირი გაუქმდება. ზამთრის რთულ პერიოდში ყველა სახელმწიფო ვალი გავისტუმრეთ, ერთი საფუტკრე დაგვრჩა 65 ოჯახის რაოდენობით, რომელიც არენდით დემურ დარსანიამ გაიცა.

**დემურ დარსანია:** წელს ცუდი მოსავალი იყო, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში აკაციიდან თაფლი არ მიუღიათ. ზაფხულში თუ არ ჩატარდა ინსტრუქცია, ჩვენი ფუტკარი ანემიურად დაავადებული გამოდის, 40%-მდე არის სიცოცხლისუნარიანობა შემცირებული. ვარვატოზი არის

ტკიპა, რომელიც ფუტკარს კისერზე აზის და ემოლიმფას წოვს.

კამათი ფუტკრის მოვლამ და სხვადასხვა პრეპარატმა გამოიწვია – ვაროსტოპი, ვაროკომი თუ ბიპინი. თეორიულმა მსჯელობამ მეფუტკრეები სათანადო დასკვნამდე ვერ მიიყვანა.

ძირითადად ვაროკომს გამოვიყენებ. 150- დან 30 დახოცილი ოჯახი ავალაგე. ასევე 1 კვირიონი დღეში 1000 ფუტკარს იჭერს, 10 კვირიონი 10 000-ს დაიჭერს – აღნიშნა დემურ დარსანიამ.



რამაზ თავართქილაძე

**რამაზ თავართქილაძე:** გარდაბნის საფუტკრის მდგომარეობა მთელი საქართველოსთვის სანიმუშო უნდა იყოს, როცა იქ რიგის ბოლოს გავედი, ვნახე დახოცილი ფუტკრები, კლასიკურ ვარვატოზთან გვაქვს საქმე. ვაროკომი არ არის ეფექტური, სხვა მეფუტკრეებს 50-60 ოჯახი მოუკვდათ.

**ალექსანდრე გვარამაძე** წელს სამცხე-ჯავახეთში ლალიანობა: იყო, შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ვარძიის შემოგარენში, დაბა ასპინძის საფუტკრეში, მე მარტო ვაროკომით ვმკურნალობ.



საქართველოს მეფუტკრეობის კავშირმა პრეპარატების შემონახვის მიზნით კომისიის შექმნა გადაწყვიტა, რომლის წევრები: ალექსანდრე გვარამაძე, დემურ დარსანია, იუსუბ მამედოვი, ბუდუ მურუსიძე და ოთარ კეჟერაშვილი შეისწავლიან მეფუტკრეობის მდგომარეობას, ვარვატოზის სანი-ნაალმდეგო ვარვაკომის და სხვა პრეპარატების ხარისხს და ეფექტურობას, 15 დღეში გამგეობას მოახსენებენ.

რამაზ თავართქილაძე: აქ, მეორე სართულზე ჩვენი ოფისი იყო, 6 ოთახი გვქონდა, დევნილებმა დაიკავეს. ახლა სადაც ვართ, წერილით მივმართეთ ეკონომიკის სამინისტროს, ქუჩაში რომ არ დავრჩეთ, იჯარის ფორმით გადმოგვეცით. მინისტრის მოადგილემ დიმიტრი ქუმსიშვილმა გვიპასუხა – ამ ქონების გადმოცემა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნიაო. თქვენი ჟურნალის დახმარებით, იქნებ მთავრობამ მოისმინოს ჩვენი პრობლემები. გვპირდებიან, ლაბორატორია წლის ბოლოს ამუშავდება, ევროპიდან მილიონი ლარის ღირებულების აპარატის შემოტანას ელოდებიან, მის გარეშე ანტიბიოტიკებისა და პესტიციდების შემცველობას ვერ იკვლევენ. ევროსტანდარტის სერტიფიკატი ასეთი გამოკვლევის შემდეგ გაცივება. თბილისობის დღესასწაულზე ხელისუფლების წარმომადგენლები თავს იწონებდნენ – თავლის უხვმოსავლიანი წელი გვქონდაო. რაც სიმართლეს არ შეესაბამება, შედარე-



ბით მთამ გაამართლა.

საქართველოს რამდენი მოქალაქე იღებს თავლს? – ერთ ადამიანს ნატურალური პროდუქტის 250 გრამი უწევს, თუმცა მათი მსყიდველუნარიანობა დაბალია, ამიტომ ქართული თავლი არალეგარულად უცხო ქვეყნებში, ძირითადად თურქეთში გადის და კონტრაბანდისტების დიდი შემოსავლის წყაროა.

ლელა სურმავა

## სუროს თავლი



ეს არის ერთ-ერთი ახალი და იშვიათი თავლი. ფუტკრები მას სუროს ყვავილობის დროს – სექტემბერში და ოქტომბერში აგროვებენ. აქვს ღვთაებრივი გემო და შეუდარებელი არომატი. სუროს თავლის კონსისტენცია ნელსაცხებელს და ცხიმთან კარაქს ჰგავს. ძალიან ნაზი, ჰაეროვანი და მსუბუქია. ისეთი ტკბილია, თითქოს პირში დნება.


სუროს თავლი აქტიურად გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, მიიღება რევმატიზმის, ელენთის, თირკმლის, პადაგრას, დერმატიტების, გულძმარვის, გარეგანი დაავადებების და დამწვრობის დროს. ანტიბაქტერიული, ანტისოკოვანი, ანთების საწინააღმდეგო საშუალებაა. რთული და ხანგრძლივი დაავადებების შემდეგ, ქალა-ტვინის ტრავმის, სისუტის დროს. მას როგორც მატონიზირებელ საშუალებას ისე გამოიყენებენ. ხსნის ფსიქო-ემოციურ დატვირთვას, ხელს უწყობს გონებრივ განვითარებას, აუმჯობესებს ხასიათს და ამალღებს შრომისუნარიანობას. ნერვულ სისტემაზე ღვთაებრივ ზეგავლენას ახდენს. სუროს თავლი საქართველოში მხოლოდ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ნაკრძალში მოიპოვება.

საქართველოს მეფუტკრეთა კავშირში ფუნქციონირებს მეფუტკრეობის შემსწავლელი კუსრები. ყველა მსურველს, ასაკის მიუხედავად შეუძლია მოგემართოს, ლექციებს წაიკითახვენ და პრაქტიკულ მეცადინეობას ჩაატარებენ დარგის მაღალი რანგის პროფესიონალები; კურსდამთავრებულები მიიღებენ სათანადო სერტიფიკატს. სწავლის ღირებულებაა 80 ლარი.

**მისამართი: ქალაქი თბილისი, თამარაშვილის ქ. №15-ა  
დაგვიკავშირდით შემდეგ ნომრებზე: 230 90 26: 599 490 950**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმართველობის მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო – საატესტაციო კომისიის სხდომაზე დაისვა შემდეგი საკითხები: პირველ ეტაპად განიხილება საბუთების გადარჩევა, მეორე ეტაპად – ტესტირება, მესამე ეტაპად – გასაუბრება.

მინიმალურ ზღვარად განისაზღვრა სწორი პასუხების 55% (33 ქულა). კომისიის შემადგენლობა შემდეგნაირად დაკომპლექტდა: თეა უჯმაჯურიძე – გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. მარინე ბერაძე – საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე. მაგული კუნჭულია – ლანჩხუთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ანი ჩუბინიძე – სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგონული პროექტების კოორდინატორების სამსახურის უფროსი. კომისიის თავმჯდომარედ გამგებლის მოადგილე მინდია ჟღერია დანიშნა.



# ავთანდილ თავართქილაძე

## მხატვარმა ლიდერობა სხვაკაცს მიანიჭა

ავთანდილის შემოქმედებაზე საუბრის დროს სწორი იქნება, თუ მის განხილვას არ შევუდგებით გავრცელებული სტერეოტიპული მანერით, როგორცაა კომპოზიციის, ფერის – კოლორიტულობის გრაფიკული ელემენტების აღწერა, არამედ უნდა ითქვას მთავარი, ის რაც მამოძრავებელია ამ შემოქმედისათვის. ეს არის სამყაროს მისეული, სუბიექტური, „ირეალური“ აღქმა და შეგრძნება, სახვითი ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ყველა არსებული თუ „არარსებული“ საშუალებებით, რაც ყოველთვის დამყარებულია მასალისა და ტექნიკის გამოყენების თავისებურებასა და მანერაზე. მისთვის უკვე შესრულებული ნახატი წარმოადგენს რაღაც ძალზე პირადულში განცდილისა და დიდხანს გულში ნატარების ვიზუალურ გამოხატულებას, რაც წარმოსახვითია და გულწრფელი. ავთანდილის შემოქმედებაში იგრძნობა სამი ძირითადი მიმართულება: მისტიკურობა, რომანტიზმი და ინდივიდუალიზმი, რაც სივრცისა და სინათლის ტონალობების ემოციურ აღქმაში ვლინდება. დრო აქ გაჩერებულია და მხოლოდ წარსულისა და მომავლის ქვრეტაში სუფევს. „უყა-მო უამია“ და „ანწყო“ პირობით ცნებას წარმოადგენს.

*ბელოჯინა თომცოცხიძე ლიდა ყრუაშვილი*

ავთანდილ თავართქილაძე 1961 წლის 19 აგვისტოს დაიბადა. 1986 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია დაზგური გრაფიკის სპეციალობით. 1986 წლიდან ოზურგეთის სამხატვრო სკოლის პედაგოგად მუშაობდა, 1989 წლიდან იყო ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი – სურათების გალერეის დირექტორი. 2001 წელს დაინიშნა საქართველოს კულტურის ფონდის გურიის ფილიალის თავმჯდომარედ. პერსონალური გამოფენები: 1993 წელი – საგამოფენო ცენტრი „მზიური“ (ქ. მოსკოვი); 2001 წელი – ქ. ანკარა, თურქეთი; 2002 წელი – გალერეა „ჰოჯა“ (ქ. ისტანბული, თურქეთი); 2010 წელი – აჭარის ხელოვნების მუზეუმი (ქ. ბათუმი); 2010 წელი – თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი – სურათების გალერეა (ქ. ოზურგეთი); 2011 წელი – დავიტ კაკაბაძის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (ქ. ქუთაისი).

თბილისში მერაბ ბერძენიშვილის სახელობის საერთაშორისო კულტურის ცენტრში „მუზა“ ავთანდილ თავართქილაძის პერსონალური გამოფენა მოეწყო. მხატვარი

ნაკლებს უნდა საუბრობდეს და ბევრს ხატავდესო – ეს დღე მისთვის გამორჩეული იყო, ამიტომ ოზურგეთიდან ჩამოსულ, თუ თბილისელ სტუმრებს, რაც მთავარია თავის მოსწავლეებს ბევრი ესაუბრა. იყო გულახდილი და ისეთივე მრავალმხრივი, როგორც მისი ნახატები. დარბაზის ცენტრში სადიპლომო ნამუშევრების სერიაიდან **ამაღლება** იყო გამოფენილი.

– ცაში ამაღლებული ტაძრებია – კახეთი, ქართლი, შემოქმედის მონასტერი, სვანეთი, კოლხეთი და აჭარა-გურიის მთები. კომუნისტური წყობილების დროს რთული იყო ამ თემის შერჩევა. ლამის უდიპლომოდ დამტოვეს. სამხატვრო აკადემიაში შავ სიაში შემიყვანეს, მოსკოველი მხატვარი ჩამოვიდა და ჩემი ნამუშევრები ნახა, იკითხა – რატომ აქვს რელიგიური და მისტიკური ნახატები? ერთმანეთს გავესაუბრეთ, როგორც ჩანს სიმპათიები დავიმსახურე. ქალბატონმა დინარა ნოდია დამიცვა – ნიჭიერი ბიჭია, არ გავუშვათო. გამიყვანეს რესტავრაციაში.

**– კომუნისტურ რეჟიმს აპროტესტებდი?**

– რაც მსურდა, იმას ვხატავდი. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში წამიყვანეს, მშრომელები დავხატე, როცა



ნახეს, თქვეს – ეს რა საცოდავი მუშებია? ასეთები არიან და მათ ვერ შეეცვლი – ვუბასუხე. აკადემიის დამთავრების შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამიწვიეს. დავბრუნდი გურიაში, ჩემი ბიძის და პედაგოგის ვახტანგ აბაიშვილის თხოვნით მოსკოვის ასპირანტურაში ჩაბარება გადავიფიქრე და ოზურგეთში დავრჩი. შემდეგ ეროვნულ მოძრაობაში ჩავერთე, 25 წელი გავიდა, გურიის რეგიონის მხატვართა კავშირი გვაქვს, წელიწადში ორჯერ – საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენებია. თბილისში ცისფერ სახლში მოვანყვეთ კერამიკის, გრაფიკის, ჭედურობის, გობელენების ხალხური ოსტატების ნამუშევრების გამოფენა. სამივე მუნიციპალიტეტი იყო წარმოდგენილი. ჩვენ მწიგნობრებს გვინოდებენ, აქტივარუსები ვართ.

**– ვინ არიან ისინი და რითი გამოირჩევიან?**

– დღეს ყველა ცნობილი მხატვარი, ამ მოძრაობაში იყო გაერთიანებული. აქტივარუსობა ძველის ძიებას და ახლად წარმოჩენას ნიშნავს. მისტიკის და სულიერი ფასეულობების წინ წამოწევაა. გია ბულაძე ასპირანტი იყო, მან საუცხოო გამოფენა „ქართლის ცხოვრება“ მოაწყო. ქალაქ რუსთავეში მცხოვრებმა ოზურგეთელმა მხატვარმა ოთარ ჩხარტიშვილმა 1985 წელს ავანგარდული გამოფენა წარმოადგინა. მხატვრების მხრიდან ეს დიდი რისკი იყო.

**– გამართლა ასეთმა რისკმა?**

– მუსიკაში, თეატრში და სახვით ხელოვნებაში კატაკლიზმებს ბევრი თაობა შეეწირა.

**– თქვენმა თაობამ თავისი სათქმელი თქვა?**

– ჩვენ საქმეში სიყვარული ჩავდეთ. ინდივიდუალიზმი და შემოქმედება ადამიანებს უცხო ქმნის, ეს უცხო ადამიანები უცნაურად ხატავენ, საუბრობენ და უკრავენ.

**– რომელი ნახატია ყველაზე მეტად შენთან ახლოს?**

– ისეთივე კითხვაა, რომელი შვილი უფრო გიყვარს, თუმცა ნახატებს მაინც გამოვარჩევ, 150 ნახატიდან 72 ვერ გავიმეტე, რომ აქ არ მომეტანა. ძალიან მომწონს ბახმაროს მზის ამოსავალი გორა, სადიპლომო ნამუშევრებზე ფასეული ჯერ არ მაქვს შექმნილი.

**– ნახატი, რომელიც განსხვავებულად დაინახეთ?**

– ცხვარკაცი.

სურათთან მივედით, საერთაშორისო კულტურის ცენტრში „მუზა“ მხატვარმა ცხვარკაცი დღეს ისევ დაინახა და შეიყვარა, ამიტომ ლიდერობა მას მიანიჭა. ხოლო პერსონალური გამოფენის მისტიკური განწყობა მხოლოდ ჟურნალ „გურია REGION“-ს გაუმხილა.

ლელა სურმავა




გვიად კვაჩანდძეძე



ცხვარკაცი



# ქართული ხალხური სიმაჟიკო ღმერთის საქართვება



ანზნა ჯაჭვიანიშვილი

გურიაში წასასვლელად ბათუმში ხუთიოდე წლის ბიჭუნას შემხრნველად ავედევნე, მამასთან ერთად რომ მიემგზავრებოდა მაკვანეთში და ასე მოვხვდი ამ მხარეში. სოფელში ჭიშკართან ჯოხზე დაბჯენილი მოხუცი შემოგვეგება, თუმცა მე კი არა, მათ შემოეგება, მე ხომ უჩინარი ვიყავი და ვერავინ მხედავდა. მოხუცს გრძელი თეთრი წვერი მკერდამდე წვდებოდა და ხელში ქარვის კრიალოსანი ეჭირა. როცა პატარას თბილად მიეფერა და შუბლზე აკოცა, ბავშვთან ერთად მეც ვიგრძენი, როგორ დაფარა მთელი სახე წვერმა, რის გამოც ბიჭუნამ მოხუცს „თეთრი ბაბუ“ შეარქვა. 105 წლის ვარო, თქვა „თეთრმა ბაბუმ“, პატარა კარგად ვერ მიხვდა, ეს რა ძალიან ბევრი იყო, მე კი გაგონილით გაოცებული დავრჩი. მოგვიანებით, როცა მოხუცმა ერთ ოთახში ფირფიტის მოსასმენად დიდი, ყავისფერი. „ძაბრმიმაგრებული“ ყუთი აამღერა, ბიჭმა იფიქრა, რომ ყუთი ჭინკებით მოხტუნავე, მომღერალი პატარა კაცუნებით იყო სავსე და ისე შეეშინდა, შიში მეც გადმომედო და მასთან ერთად მეც ამოვეფარე პატარას მამას. მერე როგორც მას, მეც ისე შეშინდა იმ ოთახში მარტო შესვლის, სადაც ეს კაცუნებით სავსე ყუთი იდგა და უფრო მეტიც, არც კი ვიხედებოდი იქითკენ...

რა თქმა უნდა, არც ბათუმიდან ავედევნებოვარ არავის და დღემდე ერთხელაც არ ვყოფილვარ მაკვანეთში, მაგრამ თუკი ანზორ ერქომაიშვილის წიგნის „მივალ გურიაში მარა...“ კითხვას დაინყებთ, თქვენც ჩემსავით გაგიჩნდებათ იმის შეგრძნება, რომ მართლა გაყვეთ ბიჭს, მართლა შეხვდით „თეთრ ბაბუს“ – გიგო ერქომაიშვილს, მართლა შეგაშინათ ჭინკებით სავსე ყუთმა – გრამოფონმა, მართლა გაყვდათ არაჩვეულებრივი ბაბუა – არტემ ერქომაიშვილი, მართლა იცნობდით უკეთილშობილეს ნოდარას და წარმოსახვით კი არა, მართლა დიდი გულისტკივილით დაიტირებთ მათ გარდაცვალებას.

წერის მანერის, სტილისა და უბრალოების გარდა გამოცა ფრაზეზმა, რომელიც ბრძნულ გამონათქვამებს უფრო გავდა, ვიდრე ნაწარმოებში ჩართულ წინადადებებს. მხოლოდ იმ წიგნში, რომელზედაც მე და ბატონი ანზორი ერთად ვმუშაობდით, მარტო ახალი თავების სათაურებია ისეთი, ერთ წიგნად რომ ღირს. თუკი წიგნის „გური და ტრისტან სიხარულიძეების“ სარჩევს თვალს გადაავლებთ, უკვე მიხვდებით, რა სიამოვნება გელით წაკითხვისას. აი, ზოგიერთი მათგანიც: „სიმღერა სიყვარულის საგალობელია“, „ბუღბუღი ყველას უყვარს, მაგრამ არავის უკითხავს, ვინ იყო მისი მასწავლებელი“, „ტრადიცია საუკუნეების ესტაფეტაა“, „ისე უნდა იცხოვრო, რომ იქვეყნად წინაპრებს პირნათელი შეხვდე“, „ბედნიერია ის, ვისაც ღმერთი სიკეთისთვის აირჩევს“ და სხვა. სწორედ ამან გადამაწყვეტინა, მომეძია და წამეკითხა ავტორის სხვა წიგნებიც. ჩემდა გასაოცრად, არც თუ ისე ცოტას, 15 წიგნს მივაგენი, რაც, დამეთანხმებით, არაპროფესიონალისა და მოყვარულისათვის ბევრიც კი არის. ანზორ ერქომაიშვილი, როგორც ლოტბარი, ხალხური სიმღერების შემკრები, ანსამბლ

„რუსთავის“ დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ყველა ქართველისათვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ როგორც ამდენი წიგნის ავტორი, ჩემთვისაც აღმოჩენა იყო. წავიკითხე მეორე წიგნი, მესამე, მეოთხე... მეთხუტმეტე და მივხვდი, რომ ბატონი ანზორი გმირებს თავისი ენით ალაპარაკებდა და ამით კიდევ მეტად აკეთილშობილებდა მოგონებებს. იმასაც მივხვდი, რომ ამ ფრაზეზის წიგნებში გაბნევა და დაკარგვამდე მიყვანა დიდი დანაშაული იქნებოდა და გადავწყვიტე, ამომენერა, ერთად მომეყარა თავი და ასე გადამერჩინა ანზორ ერქომაიშვილის ჩუმად ნათქვამი ფრაზეზი.

თავდაპირველად 1980 წელს გამოცემული, ყდაგაცრეცილი წიგნი „ბაბუა“ ავიღე. „შავი შაში ჩიოოო-და“... ამეკვივიატა სასაფლაოზე მიმავალს ძველი გურული სიმღერის მელოდია. ბევრჯერ მომისმენია ის და არასდროს ისე არ განმიცდია, როგორც ახლა. მე დღეს პირველად მივდივარ იქ, სადაც ერთი თვის წინ ამ სიმღერის ჯადოსნური შემსრულებელი, ჩემი ბაბუა დავტოვე.“ – ასე იწყება ანზორ ერქომაიშვილის „ბაბუა“, რომლის ავტორი წაკითხვამდე რომ არ იცოდეთ, ეჭვსაც არ შეიტანთ, რომ ასე ხატოვანად მხოლოდ მწერალი თუ დანერს და არა მოყვარული. მას ისე კარგად აქვს ბაბუის სახე შექმნილი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ერთხელაც არ შეხვედრიხართ არტემ ერქომაიშვილს, მოგეჩვენებათ, რომ კარგად იცნობდით მას და დიდ მომღერალთან ერთად გაქვთ განვლილი ყველა ის ეპიზოდი, რაც წიგნშია აღწერილი.

კითხულობთ „ბაბუას“ და გგონიათ, რომ ის თქვენი ბაბუაც არის. ამიტომ ავტორთან ერთად თქვენც წუხართ მის ავადმყოფობას, გულისფანცქალით ელოდებით ოპერაციის შედეგს და როცა „შავი შაში“ შემოძახილი სახეზე ერთ ნაკვთსაც აღარ შეურხევს, ტირილამდე მიყავხართ, მის ცად ამალვებას. ვერ გაიმეტებთ, ამ ყველაფერს გარდაცვალება უწოდოთ, მით უმეტეს, რომ ანზორ ერქომაიშვილი წინაპრების გარდაცვალებას გაუცნობიერებლად, შინაგანად არასოდეს არ აღიარებს, სასაფლაოდან წამოსვლასაც



კი ასე აღწერს: „დავემშვიდობე ჩვენებს და გზას ნელი ნაბიჯებით გავეყუყვი სახლისაკენ.“

გასაოცარია სასაფლაოზე შავი შაშვის გალობის ბაბუასთან დაკავშირება. „ნაზამთრევი, ასწლოვანი უზარმაზარი ქადრის ერთ ტოტზე, რომელიც ბაბუას საფლავს დაჰყურებს, შავი შაშვი იჯდა და „ჩიოდა“, – წერს ანზორ ერქომაიშვილი, – საფლავთან შორიასლო შევჩერდი, რომ შაშვი არ დამეფრთხო. შაშვი თვალდახუჭული უსტვენდა და ჩემს სიახლოვეს არაფრად აგდებდა. ფრთხილად მივუახლოვდი საფლავს და ჩამოვჯექი. შაშვიმა გალობა შეწყვიტა. ალბათ დაილაღა და გაფრინდა-მეთქი, გავიფიქრე გულდაწყვეტილმა, მაგრამ მან ადგილი მოინაცვლა ტოტის წვერისაკენ, რომელმაც შაშვის სიმძიმეს ვერ გაუძლო და თითქმის მიწამდე დახარა მაგლობელი. თოტი ნელ-ნელა, თანაბრად იხრებოდა მიწისკენ და მომეჩვენა, რომ ფრინველი ხმამაღლა ჩაჰგალობდა იმ კაცს, რომელსაც, ალბათ, ყველაზე მეტად შეეძლო გაეგო მისი გალობის ფასი“. საკითხავია, ფრინველი ჩაგალობდა არტემ ერქომაიშვილს, თუ დიდი მაგლობელი არ წყვეტს გალობას და შაშვის გალობად გვევლინება.

აღსანიშნავია, ავტორის დამოკიდებულება სოფელთან. გული გაგიბთებათ, როცა მოგონებაში „ჩემი წინაპარი“ ამოიკითხავთ: „გიგო ერქომაიშვილის ანსამბლი დაკომპლექტებული იყო გლეხებით, რომლებიც მიწათმოქმედებას მისდევდნენ. მათი სიმღერა ნატურალური, ნამდვილი გლეხური იყო და მიწის სურნელი დაჰყვებოდა“. ამ გასაოცარი შედარებით ავტორი აიგივებს სიმღერას მიწასთან და ამით გვეუბნება, რომ გურული გლეხისთვის სიმღერაც ისეთივე ფასეულია, როგორც მიწა.

ანზორ ერქომაიშვილის მოგონებაში „ნოდარა“ ასეთ ფრაზას შეხვდებით: „აქედან ხელისგულივით მოჩანს მაკვანეთი, მოჩანს კი არა, თუ მიაყურადებთ, ნიავი ზოგიერთი ოჯახის საიდუმლოებასაც კი ამოგიტანთ“. ამით ავტორმა მშობლიური სოფლისადმი უდიდესი სიბო და სიყვარული გადმოგვცა, რითაც მიგვანიშნა, რომ სოფელი სულიერით უნდა მიიღო და შეიყვარო, რომ მისი სანუხარის და სიხარულის ამოცნობა შეძლო.

აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ ჯანმრთელობაშერყეული ბაბუას სიტყვებს მოგონებაში „ბაბუა“: „ბაბუ, სოფელში წამიყვანეთ, სადაც დავიბადე, იქაური წყალი და ჰაერი წამალზე უფრო მომიხდება“. ისევ მშობლიური სოფელი, რომელიც ავტორის აზრით, თუ გულით გიყვარს, ყოველგვარ გაჭირვებას დაგაძლევინებს.

ანზორ ერქომაიშვილი მოგონებების წიგნში „მივალ გურიამი მარა...“ თითქმის ყველგან პირისპირ ეჯახება სი-

კვილს და მუდმივად ამარცხებს მას, რადგან ძვირფასი ადამიანების გარდაცვალებას ყოველთვის თან ახლავს სიცოცხლის მარადიულობა.

სულისშემძვრელია დიდი წინაპრის, გიგო ერქომაიშვილის გარდაცვალება. აგონიაში მყოფი 107 წლის მაგლობელი გარდაცვლილ მომღერლებს ხედავს, ხარობს მათი ნახვით, მღერის, ხმას უწყობს და მათთან ერთად ასრულებს რამდენიმე ძველ გურულ სიმღერას. ბოლოს გიგოს ხმა უსუსტდება, მალე მიჩუმდება და ასე ბედნიერი გადადის მარადიულ სამყოფელში. მაგრამ შეწყვეტილი სიმღერა უმღერებელი არ უნდა დარჩეს. გვრჩება ამ სიმღერების გამგრძელებლები და გიგო ერქომაიშვილი იცოცხლებს მანამ, სანამ ქვეყნად გურული სიმღერების ერთი შემსრულებელი მაინც იქნება.

გიგოსგან განსხვავებით, მისი ვაჟი, არტემი, გრძნობს რა სიკვდილის მოახლოვებას, გაცნობიერებულად ითხოვს წინაპართა და საკუთარი სიმღერების მოსმენას. თვალმძლეული, ნეტარებით ისმენს ერთ, მეორე, მესამე სიმღერას და როცა მისი ძმა, ლადიკო ერქომაიშვილი სიმღერას „შავი შაშვი“ წამოიწყებს, არტემ ერქომაიშვილი წყვეტს ამქვეყნიურ არსებობას და გურული სიმღერების დიდ მადლთან ერთად ტოვებს წუთისოფელს, მის გალობას შავი შაშვი განაგრძობს.

ანზორ ერქომაიშვილი არაფერს ამბობს მამის გარდაცვალებაზე, არც იხსენიებს გარდაცვლილად, მხოლოდ ამას წერს: „მაგიდაზე მიდევს მისი ფოტოსურათი. სწორედ ასეთი მახსოვს იგი, ახალგაზრდა, წარმოსადეგი. დრო გადის, მამაჩემი კი არ ბერდება. მე ახლა მამაზე უფროსი ვარ“. – რამხელა იდუმალი სევდაა – „მე ახლა მამაზე უფროსი ვარ“ და რამხელა რწმენა თუ იმედია, „დრო გადის, მამაჩემი კი არ ბერდება“

მაგლობლებისგან განსხვავებით სიკვდილის წინ სიმღერას არ ითხოვს ნოდარა – მაკვანეთელი ნოდარ ლომჯარია. ავტორი არ აღწერს მის უკანასკნელ წუთებს, მაგრამ ნოდარას პორტრეტს ქმნის ისეთს, რომ გარდაცვალება ვერ ძლევს მიღებულ შთაბეჭდილებას და მისი მარადიული ხსოვნა რჩება.

„ნოდარა ახალგაზრდა დარჩა, ნოდარას წლები აღარ ემატება, ნოდარა ვერავის წარმოუდგენია დაბერებული, იგი ყველას ემახსოვრება სიცოცხლით სავსე, წარმოსადეგი. ემახსოვრებათ ისეთი, როგორიც წავიდა ამ ქვეყნიდან. ახლა ნოდარას კეთილი, ღმილიანი სახე გადაჰყურებს სოფელს“ – წერს ავტორი და ნოდარას დაუვინყარი პორტრეტის შექმნით ამარცხებს სიკვდილს.



ასევე, საოცარია, არტემ ერქომაიშვილის უფროსი ვაჟის, დამიანეს გარდაცვალებისას სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილი. „სანთელი ისევ ანათებდა, ქრებოდა სიცოცხლე კაცური კაცისა. ქალს ცრემლები წასკდა. ცრემლი მრავალი წლის წინათ ბლოკნოტში ჩადებულ გამხმარ, გატყეპნილ, ფურცლებს მიკრულ იებს დაენვეთა. ია გათბა, გალხვა, გაცოცხლდა და კვლავ იისფერი დაუბრუნდა, ფერი მარადიული სიყვარულისა“ – წერს ავტორი. ხომ შეუძლებელია, ერთმა ცრემლმა გააცოცხლოს წლების წინ გადამტყნარი იები, მაგრამ ამ მიგნებით ანზორ ერქომაიშვილი კიდევ ერთხელ აჩოქებს სიკვდილს და ზეიმობს მარადიულობა.

სრულიად განსხვავებულია ანზორ ერქომაიშვილის სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობის მოგონებები. მოსაგონარი და მოსაყოლი მართლაც რომ ბევრი ჰქონდა და, მადლობა, წერაც ეხერხებოდა. ასე შეიქმნა წიგნები: „რუსთავი 40 წლისა“, „ხმა უცნაური“, „გზები, ადამიანები, სიმღერები“, რომლებსაც გაბედულად შეიძლება ეწოდოს მხატვრულ-დოკუმენტური პროზა. რაც შეეხება წიგნებს „არტემ ერქომაიშვილი –სანოტო კრებული“, „ქართული ფოტოჩანაწერები უცხოეთში“, „უნიკალური ჩანაწერები 1901-1914 წლები“ – უკვე მეცნიერული ნაშრომებია და მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნები სახელმძღვანელოს ტიპისაა და განკუთვნილია მუსიკალური სასწავლებლების სტუდენტთათვის, მეც დიდი სიამოვნებით წავიკითხე. მართალია, არც ფოლკლორისტი გახლავართ, არც მუსიკოსი და არც საგალობლების შემსრულებელი, მაგრამ კითხვისას ამას სულ არ შეუშლია ხელი. ყველა ზემოთ დასახელებულ წიგნში ისე ლამაზადაა აღწერილი ესა თუ ის რიტუალი, რის დროსაც მოცემული სიმღერები იმღერება („აღილო“, „ნადური“, „ბატონებო“), რომ თავიდან შეიძლება ესენიც მხატვრულ ნაწარმოებად მოგეჩვენებათ.

ანზორ ერქომაიშვილის მოგონებებში სახელოვანი პერსონაჟებისა და მნიშვნელოვანი შემთხვევების გარდა, დიდი ადგილი უჭირავს იუმორს, არცაა გასაკვირი, გურული კაცი დიდ ყურადღებას ხუმრობებსა და იუმორს რომ უთმობდეს. ამიტომ ბატონი ანზორის წიგნები საინტერესოსთან ერთად სახალისოცაა.

მნიშვნელოვანია ანზორ ერქომაიშვილის მოგონება სცენაზე პირველად გამოსვლისა, რომელსაც ისევ ბაბუას უკავშირებს. ავტორი ამ ეპიზოდს ისე ლამაზად აღწერს, კითხვისას სიამოვნების ღიმილი არ მოგშორდებათ სახეზე.

„გამახსენდა ჩემი პირველი საკონცერტო ნათლობა, რომელიც სამუდამოდ ჩამრჩა მესხიერებაში. მამაჩემისა და ბაბუაჩემის ჩახვეულ ხმებს ველარ გავუძელი, ტონალობას აცვდი, გავჩერდი და „სემესალა, ბაბუ“-მეთქი, ვუთხარი სკამზე შემდგარმა, ოთხიოდ წლის ბავშვმა ბაბუას, რითაც მაყურებლის გულიანი ხარხარი და ოვაცია გამოვიწვიე.

– შენ კი არა, ჩვენ შეგვეშალა, – დამამშვიდა ბაბუამ – აბა, ერთხელ კიდევ დავიწყეთ და აღარ შეგვეშლება, – მითხრა მან ტკბილად და თავიდან დამაწყებინა სიმღერა, რომელიც მართლაც აღარ შეგვეშლია.“

ხარხარის რა მოგახსენოთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბავშვის გულწრფელობა ხალხის სიყვარულს, სიტბოს და ოვაციას მართლაც გამოიწვევდა, რაც იმ დღიდან მოყოლებული, დანათლებასავით მუდამ თან სდევს ანზორ ერქომაიშვილს. სწორედ იმ სკამზე შემდგარმა შეიცნო ქართული სიმღერის მადლი, რაც შემდგომში მის ცხოვრებად იქცა. ღიღინებდა და მღეროდა ყველგან, სახლში-ბაბუასთან, სკოლაში-მეგობრებთან, შეხვედრებზე – დიდ მომღერლებთან ერთადაც კი. მოგვიანებით, როცა საშუალო სკოლა დაამთავრა და სწავლის გაგრძელებაზე მიდგა საქმე, ერთი

პირობა, უნივერსიტეტისა და ჟურნალისტობისკენ გაექცა თვალი, მაგრამ ბაბუა შეეცადა, სწორ გზაზე დაეყენებინა ბაბუა და როგორც ბატონი ანზორი „ბაბუაში“ წერს, ასე უთქვამს.

„შენ ჩვენს ოჯახში მუსიკალური ტრადიციების მატრე-ბელი მეექვსე თაობა ხარ. ჩვენ პროფესიული მუსიკალური განათლება ვერ მივიღეთ. მომღერლების ძველი თაობა წელ-წელა წავიდა. ამ სიმღერებს შენახვა უნდა. ამჟამად მხოლოდ მე გამაჩნია ის სიმდიდრე, რომელიც არც ფულზე იყიდება და არც ოქროზე აინონება. ამ სიმდიდრის ფასს ვერ შენ ვერ გაიგებ. მე რომ რამე შემემთხვეს, ისეთი განძი წამყვება თან, რომლის დაკარგვას ერი არ გვაპატიებს, რომელსაც ვერავინ აღადგენს და ამ ცოდვის სიმძიმე მე და შენ დაგვანება კისერზე. შენ სისხლში გაქვს გამჯდარი გურული სიმღერა და ამიტომ ყველაზე უკეთ შენ შეძლებ ამის გაკეთებას, თუ მუსიკალურ განათლებას მიიღებ.“

ძნელი იყო წინააღმდეგობის განევა. მალევე გააცნობიერა ბაბუას ნათქვამი. მიხვდა, რომ დალუპვის პირას მისული ძველი სიმღერების გადარჩენა საკუთარ თავზე უნდა აეღო, დაუჯერა ბაბუას და თავიდან მუსიკალურ სასწავლებელში ჩააბარა. თავდაუზოგავ შრომას გადალდა, სწავლის მიტოვება და თბილისიდან გაქცევაც მოჰყვა, თუმცა ყველაფერი დაბრუნებითა და საბოლოოდ, კონსერვატორიის სტუდენტობით დასრულდა. სწორედ აქ მის მეგობრებთან ერთად ჩამოყალიბდა ანსამბლი „გორდელა“, რასაც მოყვა „რუსთავი“ და მოგვიანებით ბიჭუნათა ანსამბლი „მართვე“.

70-იანი წლებიდან მრავალწლიან, უმძიმეს შრომას შეუდგა – ძველი ფირფიტების შეგროვება, გამიფრვა-აღდგენას მოკიდა ხელი, რაც მოსკოვსა და ლენინგრადში, ასევე, ფირმა „მელოდიაში“ ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვდა. თავიდანვე გაცნობიერებული ჰქონდა, რა რთულ საქმეს შეეჭიდა, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, ყოველივე ქართული კულტურისათვის რა მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენდა და თავს არ ზოგავდა. ბევრჯერ გადალილა, დაქანცულა, მარცხი და იმედგაცრუებაც უგემია, მაგრამ არასდროს დანებებია, არასდროს დაუხვეია უკან. შეუპოვრად იღწვოდა ძველი სიმღერების გამიფრვა-აღდგენისათვის. ყველა ახალი სიმღერის აღმოჩენა სიცოცხლეს მატებდა. ამ ჭიდილში თავს მარტოდ არასდროს გრძნობდა, რადგან ბაბუის, არტემ ერქომაიშვილის ხსოვნა სულ თან დაყვებოდა და აძლიერებდა.

თამარ გელოვანი



თათის სამსახრის ფოტო

# ხალხური სიმღერის უბაღლო შემსრულებელი



ათაბ შებტენიშვილი

ქართული ხალხური სიმღერის წინსვლასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ხალხური სიმღერის უბაღლო შემსრულებელსა და ლოტბარს ოთარ ბერძენიშვილს. იგი დაიბადა 1935 წლის 14 დეკემბერს, მუსიკალურ ოჯახში. დედა – ნინა ჩხიკვაძე „იანანას“ უმღეროდა საოცარი ტკბილი ხმით. შესანიშნავად უკრავდა ჩონგურზე, ფანდურსა და გიტარაზე. ლადიმე ბერძენიშვილი ცნობილი ლოტბარი და მომღერალი იყო. კარგად მღეროდნენ ოთარის დები ინსტრუმენტების თანხლებით – ქეთევანი, ანგელინა და ვენერა.

3 წლის იყო ოთარ ბერძენიშვილი, როცა პირველად სცენაზე გამოვიდა. ჩაქურა და ყაბალახი ემოსა და დიდი მონდომებით იმღერა „მე პატარა ქართველი ვარ“, რამაც მსმენელთა აღტაცება გამოიწვია.

პირველი სცენური ნათლობა ბედნიერი აღმოჩნდა. ამ დღიდან ოთარ ბერძენიშვილი სცენაზე მოღვაწეობს და თავისი საშემსრულებლო ტექნიკითა და უბაღლო ხმით მაცურებელს მუდამ ალაფრთოვანებს.

პირველ კლასში თბილისის 35-ე საშუალო სკოლაში შეიყვანეს. ასე I მეოთხედში მშობლიურ სოფელ გოგოლესუბანში სწავლობდა, II-III მეოთხედში თბილისში, ხოლო IV მეოთხედში ხვანა-თესვის დანყების დროს ისევ სოფელში ბრუნდებოდნენ. ასე გაგრძელდა მე-5 კლასამდე.

სოფელ გოგოლესუბნის სკოლის დირექტორის ვახტანგ მეგრელიშვილის თხოვნით ვლადიმერ ბერძენიშვილმა ჩამოაყალიბა მოსწავლეთა გუნდი, ასევე ჩოხატაურის №1 საშუალო სკოლაშიც შექმნა გუნდი, სადაც ოთარი თავისი სოფლის არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გადავიდა. სკოლის დირექტორის ერემია კუჭავას ძალისხმევით ვლადიმერ ბერძენიშვილმა მოსწავლეთა ანსამბლი ჩამოაყალიბა. თავისი მამის მიერ შექმნილ ანსამბლებს შემდეგ ორივე სკოლაში ოთარ ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა. რა თქმა უნდა, მამის კონსულტაციის დახმარებით.

სკოლაში გაჩაღებული იყო შემოქმედებითი მუშაობა. სისტემატურად ტარდებოდა დრამატული და ლიტერატურული საღამოები, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები კონცერტებს მართავდნენ და მონაწილეობდნენ მოსწავლეთა ოლიმპიადებზე. ბავშვები დიდი პასუხისმგებლობით მეცადინეობდნენ ხოლმე, რათა წარმატებით წარმდგარიყვნენ მაცურებლის წინაშე. ჩოხატაურის იმჟამინდელი რაიკომის მდივანი შოთა ჭანუყვაძე დიდ ყურადღებას აქცევდა მომღერალთა გუნდს და ყოველგვარ პირობებს უქმნიდა მათ, რათა წარმატებით ეღვანათ. ბატონ შოთა ჭანუყვაძეს ოთარ ბერძენიშვილისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. რადგანაც იგი რაიონიდან ცოტა მოშორებით ცხოვრობდა, კონცერტის დამთავრების შემდეგ, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, ყოველთვის მანქანით უშვებდა ხოლმე სახლში.

ყველა კონცერტი და ფესტივალი საინტერესო და სასიხარულო იყო, მაგრამ ერთ-ერთი განსაკუთრებულად დაამახსოვრდა. 1947 წელს ჩოხატაურის სკოლების მოსწავლეთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისში მოსწავლეთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე, სადაც I ადგილი მოიპოვეს. ოთარ ბერძენიშვილი ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდა. ანსამბლი ვლადიმერ ბერძენიშვილმა მოამზადა, ხოლო სცენაზე ოთარი ხელმძღვანელობდა. ეს ფესტივალი მოსწავლეთა ბრწყინვალე გამარჯვება იყო. სკოლის პერიოდთან ბევრი ლამაზი მოგონებები შემორჩა ბატონი ოთარის მეხსიერებას: ჩოხატაურში კონცერტის ჩასატარებლად ოზურგეთიდან ჩამოსული იყო სიმღერის ანსამბლი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ლოტბარი ვარლამ სიმონიშვილი. კონცერტის შემდეგ ბატონმა ვლადიმემ თავისი გუნდის წევრებთან ერთად ბანკეტი მოაწყო. ოთარი მამის გვერდით იჯდა, ვარლამი ლადიმეს შეეკითხა ბიჭმა სიმღერა თუ იცისო, – კი იცის, მაგრამ ჯერ პატარააო, – მოდი ერთი ვიმღეროთ რამეო, შუაში ჩაიყენეს, ისინი ისხდნენ, ოთარი ფეხზე იდგა. ოთარმა დაიწყო, ვარლამი მოძახილს ამბობდა, ლადიმე ბანს, სუფრის წევრები სულგანაბული უსმენდნენ სიმღერებს: „ჩვენ მშვიდობა“, „ლატარიის სიმღერა“ და „შავი შაში“. ეს დღე დაუვიწყარი იყო.

ოთარ ბერძენიშვილი როგორც მომღერალი და ლოტბარი, ბრწყინვალე ნიჭის მქონე ადამიანების გვერდით ჩამოყალიბდა. პირველ რიგში იგი თავის მამას ბატონ ლადიმეს ასახელებს, რომლის მეგობრები ცდილობდნენ, რომ ყოველთვის მის გვერდით ყოფილიყვნენ.

თბილისის ნიჭიერთა მუსიკალური ათწლეულისთვის საქართველოს ყველა კუთხიდან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა არჩევდნენ. ჩოხატაურიდან ერთ-ერთი ასეთი მოსწავლე გახლდათ ოთარ ბერძენიშვილი. იგი მე-11 კლასიდან გადაიყვანეს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ მუსიკალურ ათწლეულში, რომელიც წარმატებით დაასრულა. მართალია შემდეგ სწავლა ვერ გააგრძელა უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ იგი ყოველდღიურად იღებდა ცოდნასა და გამოცდილებას მამისგან და მისი მეგობრებისგან.

თბილისში დამოუკიდებლად მუშაობის დასაწყისში ბატონი ოთარი სიმღერებს ასწავლიდა მოსწავლეთა სხვადასხვა სკოლაში. იგი მუშაობდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში, რომელსაც ანზორ კავსაძე ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი დამოუკიდებლად დაიწყო ანსამბლების ხელმძღვანელებად მუშაობა. ოთარ ბერძენიშვილი მრავალ ორგანიზაციაში არსებულ ანსამბლებს ხელმძღვანელობდა თბილისში, მის მიერ მომზადებული სიმღერის გუნდები სისტემატურად ღებულობდნენ მონაწილეობას ფესტივალებზე, მარ-

თავდენ მრავალ კონცერტს, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მსმენელი მუდამ ალფრთოვანებული უკრავდა კაშს მისი ანსამბლების მიერ შესრულებულ სიმღერებს.

ოთარ ბერძენიშვილი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია ნამყოფი საგასტროლო მოგზაურობითა და პედაგოგიური თვალსაზრისითაც. მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საფრანგეთში არსებული ანსამბლის „მარანის“ რეპერტუარის შერჩევასა და ხალხური სიმღერების შესწავლაში. ბატონი ოთარ გარკვეული დროის მანძილზე მუშაობდა ამ ანსამბლთან. იგი ფრანგების დაინტერესებას ქართული ფოლკლორისადმი ასე აღწერს: „ფრანგები აღმერთებენ ჩვენს სიმღერებს. ერთ-ერთი ჩემი ვიზიტის დროს პარიზში, ჩემს მასპინძელთა ანსამბლმა ბანკეტი მომიწყო, მან მეზობლებს წინასწარ მოუხადა ბოდიში, შესაძლოა ხმამაღლა სიმღერამ შეგაწუხოთო. იმ საღამოს კარგად მოვიღბინეთ, გათენებამდე ვმღეროდით. მეორე დღეს მეზობლები მოდიოდნენ და მადლობას უხდოდნენ ჩემს მასპინძლებს – ნეტა ასეთი მშვენიერი სიმღერები ყოველ საღამოს გვესმოდესო. თავად ფრენკ-კეინი ამერიკელია და იქაურ ანსამბლში მღეროდა, რომლის პროგრამაში ქართული სიმღერაც ჰქონიათ. ფრენკს ძალიან მოწონებია ეს სიმღერები, მოგვიანებით ფირფიტაც ჩავარდნია ხელში, რომელზეც სხვა ქართულ სიმღერებთან ერთად გურული მელოდიები ყოფილა ჩანერილი. შემდეგში იგი საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც შეკრიბა ქართული სიმღერებით დაინტერესებული პიროვნებები, რომლებიც პროფესიით ზოგი ბიოლოგი იყო, ზოგი ინჟინერი, ენათმეცნიერი, ჟურნალისტი, მხატვარი, სულ 10 კაცი. ფრენკი რამდენჯერმე იყო საქართველოში, მას სურდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერები სწორედ იმ კუთხეებში შეესწავლა, სადაური „წარმოშობაც“ აქვს სიმღერას. იგი მართლაც ეწვია სხვადასხვა კუთხეს, მათ შორის ჩოხატაურს. ბატონმა ოთარმა თავის სოფელში გოგოლესუბანში მიიწვია, შემდეგ სხვა სოფლებიც შემოიარეს, ძველი გურული სიმღერების სხვადასხვა ვარიანტები ჩაიწერეს. „მარანის“ კონცერტი ჩოხატაურის კულტურის სახლში ჩატარდა. კონცერტს ოთარ ბერძენიშვილი უძღვებოდა. საოცარი საღამო იყო. მაყურებელი და სცენა გაერთიანდა და რამდენიმე სიმღერა ერთად შეასრულეს. ფრენკმა მადლობა გადაუხადა ჩოხატაურელებს გულთბილი მიღებისა და მასპინძლობისთვის, შემდეგ კი ფოლკლორული ანსამბლი „გურია“ პარიზში მიიწვია, სადაც ფრანგი მსმენელის დიდი მოწონება დაიმსახურეს.

ბატონი ოთარ არა მხოლოდ ვაჟთა, არამედ ქალთა ანსამბლებსაც ამეცადინებს. იგი ერთ-ერთი მოგზაურობის ამბავს იხსენებს: „ქალთა ჯგუფში მღეროდნენ ორი დები და ერთი მათი მეგობარი, დედით ქართველი. ისინი არიან ცნობილი ქართველი მოცეკვავის ანგანსვენებული ნიკუშა (ნიკო) ღვაბერიძის შვილიშვილები. ნიკუშას ქალიშვილი გათხოვილია პარიზში, ეს რომ გავიგე ძალიან განვიცადე და რა თქმა უნდა გამეხარდა როცა მათ რამდენიმე ქართული სიმღერა ისწავლეს. პარიზში სხვა დროსაც ვარ ნამყოფი, რა თქმა უნდა, ქართველების სოფელი ლევილი და სასაფლაოც ნანახი მქონდა, მაგრამ კიდევ ერთხელ მოვისურვე ლევილის ნახვა. თან ანსამბლის წევრებიდან რამოდენიმე გოგონა და ვაჟი წამოყვება. მივედი ქართველთა საფლავებთან, ვიმღერეთ რამდენიმე ქართული სიმღერა და საგალობლები.

შემდეგ წავედით მსცოვანი ქართველის მამია ბერიშვი-

ლის ოჯახში. დაუვინყარი რამდენიმე საათის შემდეგ წავედით ლევილში მცხოვრები შუშანა გუშიანის ოჯახში, სადაც ბატონი მამია წამოგვყვა. ოჯახში დაგვხდა 99 წლის ქალბატონი შუშანა და მისი შვილიშვილები-გოგონები. გაიშალა სუფრა და გაიმართა წმინდა ქართული ქეიფი. ქალბატონი შუშანა წარმოშობით სვანი იყო, ამიტომაც უმეტესად სვანური სიმღერები შევასრულეთ. დავინყეთ „ქვერნილი“, ქალბატონი შუშანა მაგიდიდან ცოტა მოშორებით სპეციალურ ქართული სტილით დამზადებულ ბადოვან დანადგარზე დანთებულ შეშის ცეცხლთან იდგა. პირველი სიმღერა გულზე ხელმიდებულმა მოისმინა. ხოლო როცა მეორე სიმღერა ისიც სვანური „მირანგულა“ დავინყეთ, მთელი ხმით შეჰყვირა: დედემ, დედემ, მერე კიდევ რამდენიმე სიტყვა სვანურად თქვა, მერე გულში ჩამიკრა და ყველა გადაკოცნა. ბოლოს ტირილით გვითხრა—60 წელზე მეტია ეს სიმღერები აღარ გამიგონიაო. ტირილითა და სიმღერით დავცილდით ერთმანეთს.

ოთარ ბერძენიშვილს უცხოელ მომღერლებთან სიმღერის გარდა ნათელ-მირონობაც აკავშირებს, ეს არის სვენ ვოგე. იგი ნორვეგიაში „ლიკაპოლის“ წევრი იყო. ერთხელ ერთ-ერთ მუსიკალურ მალაზიაში ანსამბლ „რუსთავის“ მიერ შესრულებული სიმღერები მოისმინა და აღფრთოვანდა. მას შემდეგ ძალიან დაინტერესდა ქართული სიმღერით და დისერტაციისათვის თემაც შეარჩია: „კომპოზიციური და იმპროვიზაციური პრინციპები კახურ და გურულ სიმღერებში“. შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა. აქ 3 ზაფხული გაატარა. ყურადღებით მოეკიდა ქართული სიმღერების შესწავლას. სისტემატურად დადიოდა ტელევიზიის ანსამბლ „ლაშარის“ რეპეტიციებზე (ხელმძღვანელი გიორგი უშიკიშვილი, კონსულტანტი ოთარ ბერძენიშვილი). დისერტაცია ბრწყინვალედ დაიცვა ოსლოში. ნორვეგიელი მომღერალი ქართველი ქალის სილამაზითაც მოიხიბლა და ცოლად შეირთო მშვენიერი ქალბატონი, პოეტი თაკო ლომიძე. მართლმადიდებლურად მოინათლა და ჯვარიც დაინერა. ნათლიები ოთარ ბერძენიშვილი, გიორგი უშიკიშვილი და აკაკი ბარქაია გახლდათ. შესანიშნავი ქორწილი ჰქონდათ. თამაძობა ბატონ ოთარს მიანდეს. ამჟამად სვენ ვოგე ნორვეგიაში ხელმძღვანელობს ტრიოს „გიორგი“, რომლის წევრები შესანიშნავად ასრულებენ ქართულ ხალხურ სიმღერებს.

30-იან წლებში ლენინგრადში, სახელმწიფო ანსამბლთან ერთად გასტროლებზე იმყოფებოდა ვლადიმერ ბერძენიშვილის ჯგუფი: თეოფილე ლომთათიძის, ერმალო სიხარულიძის, უშანგი შევარდნაძის, მიშა კოროშინაძისა და სხვათა შემადგენლობით. ეს ჯგუფი იმჟამად ასპირანტმა, შემდგომ კი ცნობილმა ისტორიკოსმა იოსებ მეგრელიძემ გააცნო გერმანელ მუსიკოსებს, რომლებიც აღფრთოვანდნენ მრავალხმიანი სიმღერებით და ბევრი მათგანი ჩაიწერეს. გერმანელ მუსიკოსებს ხელმძღვანელობდა ფოლკლორისტი ერნსტ ემსჰაიმერი.

შემდეგ ამ ჩანაწერებით დაინტერესდა დასავლეთ ბერლინის შედარებითი მუსიკათმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელი, ეთნომუსიკოლოგი დოქტორი სუზანა ციგლერი. იგი საქართველოში ჩამოვიდა და იმ კუთხეში წასვლა ითხოვა, სადაც ვლადიმერ ბერძენიშვილი, ასეთი შეუდარებელი ხმის მქონე პიროვნება დაიბადა. რა თქმა უნდა, თხოვნა შეუსრულეს. ექსპედიციას, რომელიც ჩოხატაურში მოეწყო ფოლკლორისტი ანსამბლ „მთიების“ ხელმძღვანელი ედიშერ გარაყანიძე ხელმძღვანელობდა. ჩოხატაურში



ოთარ ბერძენიშვილმა „გურიის“ მომღერალთან ერთად, რომლებთანაც მღეროდა ვლადიმერ ბერძენიშვილის მოსწავლე, კრიმანჭულის დიდოსტატი შოთა დოლიძე, შეასრულა რამდენიმე სიმღერა, რომელიც გერმანელმა სპეციალისტმა ჩანერა, შემდეგ კი გამოსცა კომპაქტ დისკი.

მრავალ გასტროლებს შორის ერთ-ერთ სახალისო კონცერტს იხსენებს ბატონი ოთარი: „1968 წელს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის უნგრეთში გასტროლებზე წასვლასთან დაკავშირებით ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა ანზორ კავსაძემ ანსამბლში მიმიწვია. გავემზადეთ უნგრეთში. კონცერტი ტარდებოდა ერთ-ერთ კუნძულზე-საკონცერტო დარბაზში. რომელსაც ზემოდან სახურავი არა აქვს. მთლიანად ხეივანში ზის, სცენის უკან ასწლოვანი ცოცხალი ჭადრები და მუხები დგას. ანსამბლის პროგრამაში ჩართული იყო „შავი შაშვი“. იმ დროს გურული სიმღერების შემსრულებელი ძველი მომღერლები გუნდში აღარ იყვნენ, ამიტომ ამ სიმღერის I და II ხმა ჰამლეტ გონაშვილთან და რამინ მიქაბერიძესთან მქონდა გაკეთებული. მოგეხსენებათ, ეს სიმღერა არის მონადირის სიმღერა, რომელშიც ნახსენებია შაშვიც და ძაღლიც. იქაურმა რეჟისორმა რომ გაიგო სიმღერა შაშვზე იყო შექმნილი, გადანყვიტა, ერთ-ერთი სიმღერის დროს სცენა ჩაბნელებოდა და ჩვენ შეუმჩნევლად ავიდოდით ხეზე, სადაც შესრულდებოდა სიმღერა, ხის უკანა მხრიდან ვინრო და მაღალი კიბე მიადგეს ჩვენთვის ხეზე ასაძრომად. დაიწყო კონცერტი. რამდენიმე სიმღერის შესრულების შემდეგ გამოირთო შუქი. დადგა ჩვენი ხეზე ასვლის დრო, მივედი კიბესთან და ჰამლეტს ვუხარო: ბიჭო ამ სიბნელეში როგორ ავიდე ამ კიბეზე თქო. ჰამლეტმა თავისი ჩვეული სიდიხით მიპასუხა: ოთარ, მე შაშვის ჭიკჭიკი მაქვს სამღერი და უეჭველად უნდა ავიდე ხეზეო, შენ ძაღლის ყეფა გაქვს სიმღერაში ჩართული,

დადექი ამ ხის ძირში და „იყეფე“ აქედანო. ჩვენდა საბედნიეროდ ყველაფერი კარგად ჩატარდა. დაუბრკოლებლად შევასრულეთ ეს სიმღერა.


ბატონი ოთარი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ტელერადიო მაუნყებლობის ეთნოგრაფიულ ანსამბლს, ასევე წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლებს: სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ქალაქის ვაჭრობის სამინისტროში, ტელეგრაფიული აპარატების ქარხანაში და სხვა. მისი მეშვეობით ქართული სიმღერები შეისწავლეს უცხო ენების, სამხატვრო აკადემიის, პედაგოგიური, პოლიტექნიკური, ინსტიტუტების, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებმა, სადაც სიმღერის გაკვეთილებს ხალხური სიმღერებით დაინტერესებული სხვა უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდებიც ესწრებოდნენ.

ოთარ ბერძენიშვილს ხშირად იწვევენ სხვადასხვა ანსამბლების კონსულტანტად. მათ შორის იყო ჩოხატაურის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „კრიმანჭული“. ამჟამად კონსულტაციებს უტარებს კულტურის ცენტრთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლს „ამალეზა“. ამ ანსამბლების ხელმძღვანელი ლალი კორიფაძე დიდ მადლობას მოახსენებს ბატონ ოთარს განეული მუშაობისთვის.

თავის კარმიდამოში მეუღლესთან ერთად მოფუსფუსე, გურული სიმღერის უბადლო შემსრულებელი ოთარ ბერძენიშვილი დიდი სიხარულით ეგებება მასთან მისულ მეზობლებს, ახლობლებს, ახალგაზრდებს, რადგან იცის, რომ თითოეულ მათგანთან ერთად, კვლავ ექნება შეხება იმ საგანძურთან, რასაც გურული სიმღერა ჰქვია. ვუსურვოთ ბატონ ოთარ ბერძენიშვილს ხანგრძლივი სიცოცხლე და მრავალი პედაგოგიური და შემოქმედებითი წარმატებები.

ქეთევან კუკულავა

### როგორ გავიუმჯობესოთ მესხიერება



როგორ გავიუმჯობესოთ მესხიერებისა და ცოცხალი აზროვნების შესანარჩუნებლად მთავარი პირობაა მუშაობის დროს დროდადრო შესვენება (საათში 10-15 წუთით დასვენება ტვინის მოადუნებს და აზრებს დაალაგებს). გამოძინება – სრულყოფილი ღამის ძილი (ღამის განმავლობაში სულ მცირე 8 სთ ძილი), სრულფასოვანი კვება (მთავარია იკვებოთ ახალდამზადებული პროდუქტებით და არა კონსერვებით ან ძეხვეულით. მხოლოდ ახლად მომზადებულ ხორციულსა და თევზეულში არის ტვინისთვის აუცილებელი ნივთიერებები. ხორცი სასურველია ქათმისა და ინდაურის, რძე, არაჟანი, ხაჭო და კვერცხი, თხილი, ლეღვი, გარგარი, ვაშლი, ბანანი და ყურძენი. ტვინის ნორმალური მუშაობისთვის ასევე ძალზე მნიშვნელოვანია ვიტამინების მიღება. უმი ბოსტნეული და ხილი. დღის განმავლობაში უნდა მიიღოთ არანაკლებ 2,5 ლიტრი სითხე, ეს შეიძლება იყოს წყალი, წვენი, ჩაი, კომპოტი. სითხის ნაკლებობისას ტვინი შრება, იფიტება და კარგავს ნორმალურად მოქმედების უნარს. სადილის წინ სასარგებლოა ვაშლის, კომპოსტოს ან სტაფილოს წვენი დაღვევა.

აუცილებელია ფიზიკური აქტიურობა, მცირედ მაინც. სასურველია, ყოველდღე ივარჯიშოთ. ისწავლეთ და დღეში 10 წუთის განმავლობაში შეასრულეთ რიტმული სუნთქვა: ჩასუნთქვა გრძელდება 8 წამს, შეკავება – 8 წამს, ამოსუნთქვა – 8 წამს, შემდგომ კვლავ სუნთქვის შეკავება 8 წამით. ეს საკმარისია ტვინში სისხლის მიმოქცევის გასაუმჯობესებლად, თუ მათ ყოველდღიურად შეასრულებთ რამდენიმე თვის განმავლობაში.

### ქალის კვება მომავალი ბავშვის სქმს განსაზღვრავს

ქალის კვება მომავალი ბავშვის სქმს განსაზღვრავს დადგენილია, რომ ბავშვის სქმსზე დიდ გავლენას ახდენს ჩასახვამდე დედის რაციონი : რაც უფრო მეტ კალორიას იღებდა ქალი ჩასახვამდე, მით მეტია ბიჭის გაჩენის ალბათობა და პირიქით, შეზღუდული რაციონის მქონე ქალებს ყველაზე უფრო უჩნდებათ გოგონები. ჩასახვამდე კალიუმითა და ნატრიუმით მდიდარი პროდუქტების მირთმევა ვაჟის დაბადების ალბათობას ზრდის.



# ვაჟა-ფშაველა ჩემი პირველი მოკვარა

თბილისის მთაწმინდის პანთეონში ვაჟა-ფშაველას საფლავზე მცირე თლილი ქვა დგას, გენიოსი ყოველთვის უბრალოებით გამოირჩეოდა. ალბათ, იშვიათია ისეთი ახალგაზრდა, რომელიც 27 წლის ასაკში ვაჟას მრწამსით ცხოვრობს. მე და ქალბატონმა მაკა ნაკაშიძემ ლადო ინასარიძე მთაწმინდის პანთეონში საყვარელი მწერლის საფლავზე მივიყვანეთ.



**– რატომ გიყვარს ვაჟა-ფშაველა გამორჩეულად?**  
– ის არა მხოლოდ პოეტი და პუბლიცისტი, არამედ ჩემი პირადი მოძღვარია. მისი შემოქმედება გამოსავალს გაძლევს, ღმერთთან მისასვლელ გზას გიჩვენებს. ამბობენ, ის ეკუმენისტი იყო, არ სწამდა ღმერთი, რასაც არ ვეთანხმები.

**– რას გასწავლის მისი მოძღვრება?**  
– მიმტვევებლობას და კაცთმოყვარეობას. პოემებში – „სტუმარ-მასპინძელი“, „ალუდა ქეთელაური“ ჩანს, როგორ იცავენ სტუმარს მთაში, მის მიმართ უსაზღვრო პატივისცემას გამოხატავენ. შესაძლოა სხვაც ასე ფიქრობდა, მაგრამ მხოლოდ ვაჟამ დაწერა.

**– რა განასხვავებს მას სხვა მწერლებისგან?**  
– ვაჟა-ფშაველა რასაც წერდა, ისე ცხოვრობდა. ის არ იყო ყალბი. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა აღმსარებლობას, ჩაცმულობას და წარმომავლობას. ყურადღებას აქცევდა პიროვნულ ღირსებებს. საოცრად ვაჟკაცურია, ძალიან სამართლიანი, მთის ტრადიციების აღწერის დროს მანკიერი მხარეების წარმოჩენას არ ერიდება.

**– ლადო სამეანო ტრავმა მიიღე. როგორია თქვენი თვალთ დანახული რეალობა?**  
– შშმ პირებს თუ ჭირდებოდათ შემოსავალი და ნორმალური ცხოვრება, არავინ ფიქრობს. როცა კონცერტებიდან 2000 ლარს აიღებ და ინვალიდ მომღერალს 100 ლარს არ მიცემ, ასეთ ხალხს რა უნდა ელაპარაკო? მთავარი პრობლემა მათი სიძუნეა.

**– რას აკეთებს სახელმწიფო?**  
– სახელმწიფოს არ აქვს მზაობა, რომ შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაცია მოხდეს. ქველმოქმედები თავის წარმოჩენაზე ფიქრობენ. უმეტესად ასეთ ხალხთან მაქვს ურთიერთობა.



მთაწმინდის პანთეონი

**– რას გთავაზობენ, შემდეგ რატომ რჩები გულნატკენი?**  
– ჯერ კარგად მიგიღებენ, როდესაც ვეკითხები, მე რა შემოსავალი მექნება, ისეთი სახით გიყურებენ – რაც გაგიკეთე, არ ხარ მადლიერი. ჩვენ არ ვითხოვთ ფუფუნებას.

**– თუ დაგეხმარა ვინმე?**  
– არავინ, პირველი ჯგუფის ინვალიდი ვარ და მხოლოდ პენსიას ვიღებ. სახელმწიფოს წარმომადგენლები და კერძო პირები არ გვხვდებიან, სხვებთან გვიშვებენ. ქველმოქმედი ხალხის მიმართ სკეპტიკურად ვარ განწყობილი. ყველა არიდებს თავს. თითქოს გეუბნებიან ტელეეკრანებზე გამორჩნდებიან, ისინი სახელმწიფოს წარმომადგენლებს ჰგვანან. ქველმოქმედება გადამდებია – ეს ფრაზა ფიქციაა და უკვე საკმაოდ გაცვეთილია.

**– ლადო, ეს საზოგადოების მენტალიტეტის პრობლემაა არის. რა დრო არის საჭირო, თქვენთან თანაცხოვრება რომ შეძლონ?**  
– ალბათ, 50 წელი, თაობათა ცვლა უნდა მოხდეს. როცა შშმ ქუჩაში გამოვა და ხალხი როგორც უცხო, ისე არ შეხედავს, ეს უკვე გამარჯვებაა. ხომ შეიძლება ინვალიდი ბავშვებისთვის ხელისუფლებამ პანდუსებიანი ავტობუსები გამოყოს. ეს რატომ უნდა იყოს რთული?

მაკა ნაკაშიძემ ლადო რუსთაველის თეატრში პირველად მან წაიყვანა, ემიგრაციაში მყოფმა ქალბატონმა მეგობრის შვილს ახლა ეს თხოვნა აუსრულა. ემოციები ვერ დაფარა, მას თავისი ქვეყნის ჰაერი, აქ მცხოვრები თითოეული მოქალაქე უყვარს. თვლის, რომ პოლიტიკოსები არც ისე კვალიფიციურები არიან, რომ ხალხის პრობლემები ამოიციონ.

ლადო 18 წლის ასაკიდან ფანდურზე უკრავს, ცერებრალური დამბლის მქონემ ვაჟას საფლავზე დაუკრა, პანთეონში მყოფების ყურადღება მიიპყრო, კიბეებზე ჩამოსვლის დროს ფანდური ხელიდან არ გაუშვა.

**– ლადო, მე წამოვიღებ.**  
– არა, ცოცხალი ნივთი სიმხნევეს მმატებს. ვაჟა-ფშაველას სულიერი შვილი იმ დღეს საოცრად ბედნიერი იყო.  
– მთაწმინდის პანთეონში კიდევ მოვალ და ვიმღერებ.

ლელა სურმაჯა

### მშობლიური სიუვარული

დელაო ჩემო, რად გაპაჩინე,  
 რატომ დამტოვე ასეთი ბედის,  
 რატომ ჩავვარდი ღმერთო ამ დღეში,  
 რა დაგიშვეთ, ნეტავ რას მერჩით.  
 ვერ ვნახე ჩემი გაძევები,  
 არც მანდ გასვენებთ ჩემი დარდებით.  
 რატომ მაჩვენეთ მწარე ობლობა?  
 თქვენ უკეთ გრძნობდით,  
 ობოლს არ ჰყავდა არსად ჰატრონი.  
 მაშ, რად მაჩვენეთ მწარე ცხოვრება,  
 რატომ დამტოვეთ ქვეყნად ეულად.  
 ეველა ასაკში გულის უნდა  
 თავისი სითბო მცირედი.  
 არ ვარ ეგოისტი, მაგრამ როცა გავიგებ,  
 ჩემს ასაკში ვიღაცას დედა ჰყავს,  
 მინდა მომეფეროს, მეც მივეფერო,  
 და იცოცხლოს დიდხანს.  
 ის ჩემი დედაც იყო.  
 ,,დედაშვილობა ის სიტყვაა,

რომელსაც არ აქვს ფასი  
 და ქვეყნად არ არსებობს  
 ამ სიტყვაზე მეტი ფასი.“  
 (მალკა დილა) 2001 წელი

### დედის წუხილი

რა ნათელი წყნად და უბოროტო ხალხი,  
 ევალილებში ჩაფლულია ეველა ხალხი,  
 მაგრამ ჩემთვის ეველგან ბნელა,  
 დასშულია ეველა კარი.  
 სად მიმიყვანს ჩემი ფიქრი,  
 ნეტავ როდის დასრულდება ჩემი დარდი,  
 ეს ფიქრები გაიშალოს, როგორც ვარდი,  
 ერგოს ეველას სინარული, არა დარდი.  
 სულ მინდა, რომ დაღამდეს და გათენდეს,  
 მალე გავიდეს დროება უსწორმასწორო  
 და ჩემთვის მალე დასრულდეს,  
 ეს უოფა უკიდევანო.  
 როგორმე უნდა გავიქარვო  
 ჩემი ფიქრი და ნაღველი,  
 ალბათ, არვის სულთმოღვმანს,  
 არა უცდია ამდენი.



გული აღარ მაქვს, ამოვიცაღე,  
 დამჩნა სულის ტკივილი,  
 როგორ უბრალოდ არის ნათქვამი  
 და როგორ ძლიერ ბოხოქრობს ტვირთი.  
 ასე რატომ დაწესდა, ნეტავ რატომ?  
 დედაშვილობის ფასი, დედამ იცისო მარტო  
 და შვილი გვიან მიხვდება ამას,  
 როცა დარჩება მშობლის გარეშე, მარტო.  
 (მალკა დილა, ჰოლანდია)



### გურია

საქართველოს ეველა კუთხის  
 სიუვარული მწუვრია,  
 მაგრამ ჩემთვის მანინც სსვა ხარ,  
 სანატრელო გურია.  
 აქ ხომ ჩემი აკვანია,  
 აქ ხომ ჩემი გულია  
 და ადგეს დოქებში  
 ბრუნავს, როგორც დუნია.  
 აქ ხომ სული უკვდავია,  
 აქ ხომ კრიმანჭულია

# რუსთა ართშიდის ქობისია

და სიცოცხლე ჭირთა თმენით  
 მანინც საამურია.

ისევე მიხმობს მზის ნათელი,  
 ველთა ნაზი სურნელი,  
 მოციმციმე დილის ნამი –  
 სევდა განუკურნელი.

სერებსა და მთავრესილებს  
 მარჯნისფერი ედება,  
 ამ სამოთხეს ქვეყანაზე  
 აბა რა შეეძრება!

თუ თქვენს გულში სიუვარულს  
 ჯერ არ შემოუვლია,  
 ნუ გადადებთ, მოდით მალე,  
 მოდით, ნახეთ გურია.

„სულმა წინ-წინ გვიპარა“  
 შენი ნახვა მწუვრია,  
 ცისქვეშეთის სასწაულო,  
 სანატრელო გურია.

### ავთნიური

სად წასულა ბრძოლის კინი,  
 ან სად გაქრა ზღვა ხალხი.  
 სად წასულა ძველი სული,  
 დავითის და თამარის.

იქნებ, მართლაც არის და  
 იქნებ, სულაც არ არის.  
 ამისსენით, საქართველო,  
 საქართველო სად არის.

იქნებ, მართლა ჩაიძარხა,  
 გროხნოს ციფ სამარეში,  
 იქნებ, ,,დიდი პოლიტიკით“  
 გაბმულია მასში.

იქნებ, ჰარლამენტშია,  
 იქნებ, არის ქუჩაში,  
 იქნებ, ჭადარაშია,  
 ან გლეხის მარჯვენაში.

იქნებ, აფხაზეთშია,  
იქნებ, სამხანბლოში,  
იქნებ, მართლა გაიცვალა,  
უცხო ქვეყნის სოროში.

ნისლში ცურავს ქართლის დედა,  
თვალი ცრემლით ევსება,  
იუდეება საქართველო,  
ნაირ-ნაირ ფერებზედა.

სად წასულა საქართველო,  
ხვავითა და ბარაქით.  
ამისხენით, ღმერთი არ ვწამთ,  
საქართველო სად არის?!  
ქარი ჩემი მეგობარი

თუძცა მსყა და კაშკაშებს,  
სხივი, როგორც ნატკრის თვალი,  
მიწურული შემოდგომის,  
სეუდიანი დარი არის.

ჩამოწვება ძალე ნისლი,  
ბინდი მთების შესადარი,  
დაუბერავს ზღვიდან ქარი,  
ქარი, ჩემი მეგობარი.

და ფიფქების მოლოდინში,  
ასმიანდება ბუნარი,  
გაიღვიძებს ჩემში ბავშვი,  
ტკბილქართულად მოუბარი.

**სურათი**

მზე დასთამაშებს წიფლიანს,  
შორს იისფერი მთებია.  
ჭიშკართან ძალდი აუფდა,  
ტემალს ადუღებს ბებია.  
„მოი ნა აქეთ მოჩოჩდი,  
რა მიტკლის ფერი გდებია.  
ასლავე ჭადებს დავაკრავ,  
ღვინო მაქვს სისხლისფერია.

შეღამებისას ზღვაურმა,  
საამოდ მოგვიანდურსა  
და მეზობლებთან ჭუკჭუკში,  
თავში ავარდა ადესა.

**კონჭკათის მონასტერი**

განობილ მკერდში ლურჯი ცა ელავს,  
შამბნარში ყრია გათლილი ქვები.  
დროს შეუბღალავს შენი ჩუქურთმა,  
ჩამოცვენილა წმინდა ფრესკები.

„მე ვარ სინდისი და საოცრება,  
თქვენამდე მოსულ ვეველა სიკეთის,  
მაგრამ ვეველასგან მივიწვებული,  
დღეს მე არავის აღარ ვჭირდები.

სადღაც ჩემს ქვემოთ დღეს სხვა ცხოვრება,  
დიადი მიხნით და ლოზუნგებით.  
თქვენ სალოცავსაც თუ ეს დღე ელის,  
ამაოდ ირჯებით და ტუთილად ცდებით.

**სახლი მწვანეში**

ხედობნის სერზე ძველი სახლი დგას,  
ღია აივნით, სახლი მწვანეში.  
აქ სილამაზეს ვერსად წაუხვალ  
და სიმეუდროვეს ლაქვარდ მხარეში.

აქ სიჩუმეში მიხმობს ბავშვობა,  
სიხმრად ქვეული ოცნების წლები,  
მე ახლაც მატკობს ლურჯი ნაპირი,  
ზღვაში შეჭრილი ზურმუხტი მთები.

და აქოჩრილი უანების გვერდით,  
მიმოხვეული სერების ჩრდილი.  
ალვის ხეების გზის გასაუართან,  
სერიდან სერზე გადაძახილი.

და ისევ ძველი, სახლი მწვანეში,  
ხავსმოდებული კრამიტის ფერით.  
რამდენ ტკბილ წუთებს ინახავს იგი,  
ჩამუქებული წაბლის კედლებით.

ისევ მიზიდავს ამ სახლში რაღაც,  
ამოუცნობი და მშობლიური.  
მე ისევ აქ ვარ და ვემბ ისევ,  
რასაც აქამდე ელტვოდა სული.

**რა სიჩუმეა**

რა სიჩუმეა ამ სავანეში...  
მხოლოდ ზეპლების ფარფალი მესმის,  
საოცარია, როცა ჩემი ხმა —  
გულითსქმა ჩემი, სიჩუმეს ერთვის.

ჩამოვკრავ სიმებს, მხოლოდ მუსიკის,  
მხოლოდ გიტარის ტერცია მესმის.  
გული მიწაზე ეძებს საკმეველს,  
სული კი მიდის და ზეცას ერთვის.

**ჩემო ტკბილო ანგელოზო**

ჩემო ტკბილო ანგელოზო,  
მსგავსო ნაზი ლერწმისა,  
ჩემს უბეში შევისასლები,  
მე თუ ბედი მეღირსა.

ისეთ მხარეში წაგიყვან,  
სადაც თოვლში ნახავ ვარდებს,  
მოვეხვევი შენს ბროლის ევლს,  
დაგიკოცნი ლამაზ თვალებს.

მოვეხვევი შენს თბილ სხეულს,  
შენი თმების სურნელს ვსუნთქავ.  
მე მოგიღვნი სერენადებს,  
და მხოლოდ შენთვის დავუკრავ.

და თუ ბედი არ მეღირსა,  
თუ დემონმა დამიმონა,  
გავიფანტო მე ღრუბლებში,  
აღარ ვიყო შენი მონა.

სამუდამო სასუფეველს,  
თმის ღერიც რომ ჩამომიგდო,  
მე ისევე გავცოცხლდები,  
და ისევ შენს თავს მოვითხოვ.

იბიბინებს მწვანე მდელი,  
ლეღიც შენთვის იმრიალებს,  
ჩემი სული განწირული,  
შენს მახლობლად იწრიალებს.

შენთვის დავთმობ ვეველა ღმერთებს,  
ვეველა მიწის და ცისა,  
ოღონდ შენ არ დამეკარგო,  
მსგავსო ნაზი ლერწმისა.

**გარეთ შენი ოცნებების**

გარეთ შენი ოცნებების,  
ცხელი გაზაფხულია.  
ჩემს სულში, კი, შემოდგომის  
ფერებს შემოუვლია.

წვიმა უფრო დამისველებს,  
შენს ნატკვიარ იარებს.  
და უშენოდ არანოდეს  
აღარ გამოიღარებს.



# ლექსი - უკიდურესი სამყაროს ნათელი წერტილი

თიკო კოტრიკაძე დაიბადა 1997 წლის 5 სექტემბერს, იგი ჩოხატაურის მენიციპალიტეტის სოფელ გუთურის საჯარო სკოლის მოსწავლეა, ლექსების წერა ადრეული ასაკიდან დაიწყო, სისტემატურად მონაწილეობს, როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონალურ ღონისძიებებში, არის მხატვრული კითხვის კონკურსის გამარჯვებული. ზურაბ გორგილაძისა და ფრიდონ ხალვაშის სახელობის ჰოეზიის კონკურსში მონაწილეობისთვის დაჯილდოვდა დიპლომით, როგორც თიკო ამბობს, ლექსი მისთვის - უკიდურესი სამყაროს ნათელი წერტილია.

## გმირთა მოხსენება

გოლგოთას სიმაღლემ დაჩრდილა მეფენი, ქამის მიმოქცევას გაუძლეს გმირულად, თვით კურთხეულ არს იმ მთების სიძველედ, სადაც უფლის სისხლი ესვენა მშვიდობად. გმირთა მოხსენება მამულს აძლიერებს, ერის სიყვარული ამაგრებს ბრძოლაში, დემეტრეს, ილიას, თევდორეს გმირობას, აღწერს ისტორია იმედის ხსოვნაში, ქამთა მიმოქცევა ხეობრად ქცეულა, მეფეთ ისტორიას ლეგენდა ასხენებს აქ მეოფთა სულები სამოთხით შესულა, ფესზე წამოდექით, რომ კვლავ არ დავეცეთ. მებრძოლად იქცევა მამულის იმედი, ჯარი კვლავ სამშობლოს მტრებისგან დაიცავს, მურმან ერუს, ალფ-არსლანს, თემურ-ლენგს სიზმრებში კოშმრები აწუხებს ნატანჯი გზებიდან. ზატივ ეც ღირსებით ვისაც კი სამშობლო უყვარდა, უყვარს და იქ ზეცას ავედრებს, დროშები, დროშები, დროშა სამამულო აღვმართად იმედად, რომ აღარ დავეცეთ. ქვეყანას დღეს ბევრი კანონი შემორჩა, მაგრამ უპირველეს არს ჩვენი ღირსების, თავისუფლება, ნდობა კვლავ ერთობად მამულის სიყვარულს არსევენ სიმები. აკაკის ჩანგის ხმა შემორჩა გალობად, სისხლმა აადრულა მჩქეფარე სულები, შორს მცხოვრებ ქართველებს ვაება აღმოხდა წარსულის გზებში და დარჩენილ წუთებში. მათ თვალებს არ არსევს ოცნების სხივები, შორს რომ უველაფერი უბრალო ფანდია მზის სხივი, მთვარის ხმაც და ჩანგის სიმებიც, საკუთარ მიწაზე სხვაგვარად ანთია. ვიღაცა მზის ჩასვლას ახლოდან უუერებს, მაგრამ კავალერი გამსდარა ლტოლვილთა, ისევ მემლექეთი წარსულის უხუცესს, დატოვებს მიწაზე საკუთარ გულისხმად. საერთო სენია მოდგმისთვის ღირსება, ამაუი დიადთა სხენების სიმაღლით, თამარის, ვანტანგის, ერეკლეს იმედად, დავრჩებით, დავრჩებით მრავალთა ბრძოლაში.

\* \* \*

მე მინდა ვწერო, ავამღერო ჩანგის სიმები, შევქმნა ღვთაება ოცნებებში დაბუდებული მერე წავიდე სტრიატონების უკვალო გზებში დავტოვო უველა ეველაფერი დავიწვებუდი. მინდა შევიგრძნო მშვენიერი სამყარო გულისთ,

რომ არ შევხედო უმაღური თვალებით ზეცას მინდა მადლობა აღვაფიქრო გულწრფელი სულით დღეს არსებობის უფლება რომ მარჯუნა დამერთმა. მინდა რომ დავტყუე ჩანსუნთქული ჰაერის მტვერით ციურ მნათობებს მივაწერო ოცნება ჩუმიად კვლავ იმედებით გაავაგრძელო მომავლის გზები ჭეშმარიტ ბილიკს გავეუქმე მშვიდად მფარველთან ერთად ჩვენ არ ვართ მარტო, თან დაგვევება ჩვენი სინდისი მფარველ ანგელოზს მიგვაბარა უფალმა ეველა ვცდილობთ ვეძიოთ, დაკარგული სწორი ბილიკი, რომელიც აღამს დაუკარგავს ევასთან ერთად.

## ... და მონატრება სიამაყით დავიწვებუდი

დღეს უსიცოცხლო, უმეტველო მუნჯი ქმნილება, ირგვლივ ხმაურით იმოსება მთელი სამყარო, ცრემლები თვალებს გადაეკრა მკოხნის ფიქრებად, მხერა მიანაჟო ილუსიით ნახატ სამყაროს. რომელიც გულით სიშორეში ილანდებოდა, სევდიან თვალებს მიანაჟობდა ვედრების მზერით, ხატებს უცქერდა და მუდარა ინახებოდა მისი თვალები მტვერებად უსიტვეო ბეგრით. მაგრამ ამ ბეგრებს ვერ იტვედა ვერცერთი სიტყვა, თვალს ვერ უსწორებს მოგონებებს დაფიქრებული, თითქოს სევდა მის თვალებში იდუმალ ფიქრთა და მონატრება სიამაყით დავიწვებუდი.

## ლექსი

ლექსი იგივე მხატვრობაა, მხოლოდ სიტყვებით ლექსი რითმაა ოცნებებში აშლილი გზებით, ლექსი სევდაა მონატრების უხმო სიმებით, ლექსი წიგნია გადაშლილი მკოხნის ფიქრებით. ლექსი აწუნარებს აღელვებულ ჩანაღვე გრძობას, ლექსი ამარცხებს მდუმარებით სევდიან მოდგმას, ლექსი შეებაა მის განცდებთან დატოვებს მსტოვარს, ლექსი სამყაროს ღირსებაა ცრემლებში ობლად. ლექსი სიმართლის ტრფობის ემსით არს შეპერობილი

ლექსი გონებას გაანათებს კვლავ მოგონილი ლექსი მუხაა, საჩუქარი დღეს მოვლენილი. ლექსი კვალა სიკვდილის ქამს ჩვენგან მთენილი ლექსი წვიმას დედამიწას დატობრავს სევდით, ლექსი სხივია, გაანათებს დაკარგულს დღესაც ლექსი ქარია ააღელვებს წარსულის გზებსაც, ლექსი არს ჩვენთან იმედებით აღსავსე სიტყვა.

# საბავშვო ბაღების პროგრამაში ახალი აქტივობებია დაგეგმილი

**გვესაუბრება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულების „მომავლის“ დირექტორი ნინო ბარამიძე**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი გაერთიანების შემადგენლობაში შედის – 15 საბავშვო ბაღი. აქედან დაბის №1 საბავშვო ბაღი, №1 ბაგა-ბაღი და №2 ბაგა-ბაღი. საბავშვო ბაღები ფუნქციონირებს შემდეგ სოფლებში: ხიდისთავი, ბასილეთი, ქვენობანი, ბუკნარი, შუა ამაღლება, გოგოლესუბანი, კოხნარი. ჩვენს გაერთიანებაში შემავალი ყველა საბავშვო ბაღი სარგებლობს ერთიანი სასწავლო გეგმით და დღის რეჟიმი ყველა საბავშვო ბაღში არის ერთნაირი. ანუ დილით ბავშვების მიღება ხდება 9 საათზე და სრულდება საღამოს 6 საათზე. კვება სამჯერადია – საუზმე, სადილი და სამზარი. ჩვენი პედაგოგები 2007 წლის შემდეგ გადამზადებულ იქნა თბილისის პედაგოგთა დახელოვნების ინსტიტუტში არსებული კვალიფიციური კადრების მიერ და მათ მიეცათ სერთიფიკატები. შემდეგ წლებში გადამზადდა პედაგოგები მეცნიერთა და პედაგოგთა კვლევით ინსტიტუტში და ასევე ჩაუტარდათ ტრენინგი – ახალი მიდგომები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისა და ინკლუზიური განათლების სფეროში. ასე რომ ჩვენი პედაგოგები თანამედროვე მეთოდებით ხელმძღვანელობენ საბავშვო ბაღებში. ძალიან სასიამოვნოა, რომ განათლების სამინისტროსთან შეიქმნა მუშა ჯგუფი, მათ მიერ იქნა შემუშავებული თანამედროვე სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ამჟამად ვხელმძღვანელობთ, არა მხოლოდ ჩვენ, არამედ საქართველოში არსებული ყველა საბავშვო ბაღი.

**– მიმდინარე ღონისძიებებზე რას იტყვით?**

– საბავშვო ბაღების სპეციფიკიდან გამომდინარე მიმდინარე ღონისძიებები მთელი წლის მანძილზე ტარდება. საერთოდ ძალიან დიდ შედეგს ვაღწევთ, როცა ბავშვები გაგვყავს საბავშვო ბაღიდან და ვატარებთ ღონისძიებებს. ეს არის გამოფენები, რომელიც ეწყობა სამხატვრო სკოლაში, კონცერტები მუსიკალური სკოლის მოსწავლეებთან ინტეგრირებულად. ასევე, წერა-კითხვის ცენტრში ეცნობიან გამოჩენილი საბავშვო მწერლების ნაწარმოებებს. ბავშვებს ძალიან უყვართ ნოდარ დუმბაძის ლექსები. კარგად იცნობენ დუმბაძის პერსონაჟებს და ბედნიერები არიან როცა, ღონისძიებებზე ნოდარ დუმბაძის ამა თუ იმ გმირს განასახიერებენ. ჩვენ სისტემატურად დაგვყავს ბავშვები



ნინო მატამიძე

ბიბლიოთეკაში, სადაც შესწავლილი ზღაპრების განხილვას ვაწყობთ. რა თქმა უნდა, მუდმივად ტარდება ისეთი სახის ღონისძიებები, როგორცაა: საშობაო, საახალწლო, დედის დღისადმი მიძღვნილი, ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენები, წლის შემაჯამებელი და სკოლაში გაცილების საღამოები და სხვა. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენთან, არა მხოლოდ ნიჭიერი ბავშვები სწავლობენ, არამედ აქტიური და შემოქმედი თანამშრომლები მუშაობენ. ამის დასტურია ის, რომ უკვე რამდენიმე წელია მაყურებლის დიდ მონონებას იმსახურებს ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი სარაიონო ღონისძიება. რომელიც ბავშვებისა და პედაგოგების ძალისხმევითა და ასევე მშობლების ჩართულობით ხორციელდება.

**– ხდება თუ არა ბაღებში სათანადო დონეზე ბავშვების მომზადება სკოლისათვის?**

– ბაღების ერთ-ერთი უპირველესი დანიშნულება სწორედ სკოლისათვის ბავშვების მომზადებაა. ახალ სასწავლო პროგრამებში ისეთი აქტივობებია დაგეგმილი, შემდეგ ბავშვებს უადვილდებათ სკოლაში სწავლა. ჩვენი აღზრდილების უმეტესობა წარჩინებული მოსწავლეები გახლავთ და არა ერთი მაღლობაც მიგვიღია სკოლებიდან.

**– რას იტყვით ბაღების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით?**

– 2014 სასწავლო წლისათვის დაბის საბავშვო ბაღები მოწესრიგდა. რაც თანამედროვე სტანდარტებს აკმაყოფილებს. იაპონიის საელჩოს მიერ დაფინანსებულ იქნა №1 საბავშვო ბაღის გარემონტება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პროექტში ბოლომდე არ იყო ყველა პუნქტი გათვალისწინებული და პროექტი ადგილობრივი ხელისუფლების თანადგომით წარმატებით დასრულდა. ასევე დასრულდა №1 ბაგა-ბაღის გარემონტება. ბაღები აღიჭურვება ახალი ინვენტარით, ახალი სათამაშოებით.

მომზადებულია პროექტები და სამომავლოდ რამდენიმე სოფლის საბავშვო ბაღების გარემონტება დაიწყება. რა თქმა უნდა, არის პრობლემები, რაც იმედი გვაქვს, ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით დადებითად გადაწყდება. საერთო ჯამში კი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში არის ჯანსაღი შემოქმედებითი და სასწავლო ატმოსფერო, სადაც ბავშვები დიდი ხალისით მიიჩქარებიან.

ქეთევან კუკულავა



# ლომის გარსველი კულტურის მთავარი აზრები იყო

უძველესი, იშვიათი და გადაშენების პირას მისული ფეტვანი პურეული, ერთნაირი, წვრილმარცვლოვანი მცენარე ლომი მალაღმარისხოვანი სასურსათო მცენარეა, რომელსაც კარგად განვითარებული ფესვი და სანვლომი ღერო აქვს, წარმოადგენს საქართველოს სამინათმოქმედებო ისტორიის მნიშვნელოვან ნაწილს. ლომის კულტურის სიძველეს ისტორიულ და არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად ეთნოგრაფიული მასალებიც ადასტურებს.

მკვლევართა აღიარებით, რაც ქართული ლომის ბოტანიკურ-ფილოგენეტიკურ გამოკვლევებს ეფუძნება საქართველო, კერძოდ კოლხეთი, რომელიც უსსოვარი დროიდან ცნობილი იყო ლომის სახეობების ფორმათა და ჯიშთა მრავალფეროვნებით, შეიძლება მიჩნეულ იქნეს ლომის კულტურულ სახეობათა ერთ-ერთ კერად (მაისაია; 1987:6).

ერთ დროს მარცვლოვანი კულტურებს შორის გაბატონებული მცენარე ლომი პრაქტიკულად გადაშენებულია, ისტორიკოსთა კვლევებიდან ჩანს, რომ ლომის კულტურის საგრძნობი შემცირება XVIII საუკუნის ბოლოდან იწყება და უკავშირდება საქართველოში ახალი მარცვლეული მცენარის სიმინდის შემოტანას. პროცესი თავიდან ნელა-ნელა დაიწყო და მცირე დროში საკმაოდ კარგად მოიკიდა ფეხი. სიმინდი შრომის მცირე დანახარჯით დიდ მოსავალს იძლეოდა, ამიტომაც სიმინდმა გაანადგურა ლომი. საშინაო ბაზარზე ლომი მაინც იყიდებოდა.



სულიკე და ირტი კლდეებზე

დადგენილია ფეტვანი მცენარეთა შორის ლომი ყველაზე გრძელი სავეგეტაციო პერიოდით ხასიათდება. პერიოდის ხანგრძლივობაზე მოქმედებს გეოგრაფიულ-ეკოლოგიური ფაქტორები, რამაც განაპირობა ლომის სხვადასვა ჯიშებისა და სახეობების შექმნა. ზემო გურიაში ძირითადად გავრცელებული იყო ლომის ეგრეთ წოდებული „შეიდეკირა“ ან „ორმოსავლა“.

ლომის მარცვლი მორგავალია ან კვერცხისებრი. ლომის ქართულ ფორმებში შედარებით წვრილი, კილგაცილი მარცვლი ძირითადად თეთრი ან ყვითელი ფერისაა. გამოიყენება საკვებად-საბურღულად. კილგაუცვლელი მარცვლი წინილების, ხოლო ჩალა საქონლის საუკეთესო საკვება (მაისაია, მოსულიშვილი; 2003; 6).

„მარცვლეული კულტურების აგრომითიებთან“-ში ვკითხულობთ: თოვლის გადნობის შემდეგ, როგორც კი შეშრება მძრალად ნახნავის ზედაპირი და შესაძლებელი გახდება მინდვრად გასვლა, მძრალად ნახნავი უნდა დაიფაცხოს „ზიგზაგის“ ფაცხებით. უსწორ-მასწორო ზედაპირი უფრო ადიდებს ნიადაგიდან სინოტივის აორთქლებას, ამიტომ ფაცხვა უნდა დამთავრდეს ორ-სამ დღეში. ცალკე ნაკვეთზე ზედაპირის შემშრებისთანავე ხნულის დაფაცხვის შემდეგ, თესვის დღეს ან 1-2 დღით ადრე თესვის დაწყებამდე, უნდა ჩატარდეს თესლის ჩათესვის სიღრმეზე (5-6 სმ) (თბ. 1941; 33).

საყურდებოა ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული მასალა (ჩოხატაური წარმოადგენდა ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის უბანს); „ქუთაისის გუბერნიის მიმოხილვა“, სადაც გუბერნიის ბუნებრივი პირობების დახასიათებასთან ერთად, მოცემულია ცნობები აქ მარცვლეული კულტურების მოყვანა-გავრცელების შესახებ. მოვიყვანთ შედარებით ვრცელ ამონაწერს ამ მასალიდან.

ქუთაისის გუბერნია თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს და აღმოსავლეთისაგან გამოიყოფა სურამის ქედით. კლიმატი ქუთაისის გუბერნიაში არის რბილი და ნოტიო, რაც აისახება მდიდარ ბუნებაზე. გუბერნიის 49% ზღვის დონიდან 2 000 ფუტზეა (სოხუმის, ბათუმის, ართვინის ოლქის გარდა). კავკასიის მასშტაბით, მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში მოდის დიდი რაოდენობით ნალექი და იცის თბილი ზამთარი. არის პერიოდები, როცა ზამთარში სინდიყის სვეტი ნულის ქვემოთ არ ჩამოდის. ყინვები, როგორც წესი მხოლოდ რამდენიმე გრადუსით განისაზღვრება და მცირე ხნით გრძელდება. მთიან რეგიონებში ზამთარი უფრო მკაცრი და ხანგრძლივია.

ქუთაისის გუბერნიის მწვანე საფარი გამოირჩევა თავისი მრავალფეროვნებით. აქ ბევრია მხვიარა მცენარეები. ასევე მრავალადაა ეკლიანი სარეველა მცენარეები, რაც დიდ პრობლემებს უქმნის მიწათმოქმედებას.

ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაკავებულია მიწათმოქმედებით. რაც განაპირობებს ამ მხარის კეთილდღეობას. დათესილი ფართობის უმეტესი ნაწილი უკავია მარცვლეულ კულტურებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია სიმინდი, რომელიც თითქმის ყველგან ითესება. ხორბალი უმეტესად ითესება რაჭის, შორაპანის და არტვინის ოლქებში.

მაღალმთიან რეგიონებში, სადაც ზამთარი შედარებით მკაცრია (რაჭა, სვანეთი, ართვინისა და შორაპანის მთიანი რეგიონი) ქერს თესავენ. ხორბალთან, სიმინდთან და ქერთან ერთად ერთ-ერთ ძირითად და შეიძლება ითქვას გაბატონებულ კულტურას წარმოადგენს ლომი, რომელიც მიეკუთვნება წვრილმარცვლოვან მცენარეთა რიცხვს. ბათუმისა და გონიოს ქაობიან ადგილებზე მოჰყავთ ბრინჯი. ამ ადგილებში მოყვანილი კარტოფილი კონკურენციას ვერ უწევს ახალციხის კარტოფილს და ამიტომ ეს კულტურა მოსახლეობისთვის ღირებული არ არის.

1897 წლის მონაცემების მიხედვით ქუთაისის გუბერნიაში ოლქების მიხედვით ლომის კულტურა დათესილი იყო შემდეგ ფართობებზე: ქუთაისის ოლქი – 2117 დესეტინა, შორაპანის ოლქი – 35 დესეტინა, ლეჩხუმის ოლქი – 164 დესეტინა. ზუგდიდის ოლქი 176 დესეტინა, სენაკის ოლქი 1620 დესეტინა, ოზურგეთის ოლქი 2423 დესეტინა, ეს მაჩვენებლები ბევრად აღემატება 1896 წლის მონაცემებს.

ლომი უხვი მოსავლიანობით გამოირჩეული მცენარეა, მა-

გალითისათვის საკმარისია მოვიყვანოთ ტყიბულის რაიონი, სადაც 1907 წლის მონაცემებით დაითესა 309 ფუტი ლომი და აიღეს 7725 ფუტი (ქ.ც.ა ფ. 130 9 №243).

ფართობები სადაც ლომი ითესებოდა კარგად უნდა დამუშავებულიყო, გურულები მთელი წლის განმავლობაში უვლიდნენ ფართობებს. მოსავლის აღების შემდეგ ნაკვეთს ასუფთავებდნენ და იწყებდნენ ორგანული სასუქის შეტანას მიწის გასანოყიერებლად. გაზაფხულზე ჩატარებული სამუშაოები კი უკვე თესვის პერიოდს უკავშირდება. თავდაპირველად მცენარეს ზრდის ნელი ტემპი ახასიათებს, ზაფხულის პერიოდში ზრდის ტემპი თანდათან ძლიერდება ყვავილობისას კი მაქსიმუმს აღწევს.

ლომი ფეტვანიური პურეულის მსგავსად, განვითარებას თესლის ჩანასახიდან იწყებს და სხვისაგან განსხვავებით გამოირჩევა ფუნჯა ფესვების მძლავრი განვითარებით. დამატებითი ფესვების ძირითადი მასა სახნავ ფენებშია მოთავსებული დაახლოებით 20-50სმ სიღრმეზე. მაღალ-მოზარდი მცენარეა კარგ პირობებში ღეროს სიმაღლე 2მ აჭარბებს, კენწრულად მოთავსებულია ყვავილეთი (მაისაია; 1987; 23).

სოფელ ნაბელავში (თავპანტა, ზემო გურიის ერთ-ერთი მარალმთიანი სოფელი) მცხოვრები იური კალანდაძე (88 წელი) იგონებს: „კარგად მახსოვს, როგორ ვთესავდით ლომს, რადგან მცენარე ხასიათება გარემო პირობებთან შეგუების თვისებით, ამიტომ ჩვენთან თავპანტაშიც მოგვყავდა. მაღალი მოსავლიანობა დამოკიდებული იყო სათესლე მასალის ხარისხზე. თავიდან მცენარე, როცა წამოიწვერებოდა ძალიან ნელა იზრდებოდა, იმიტომ რომ ადრე გაზაფხულზე საკმაოდ ცივა. ზაფხულის სეზონზე უფრო სწრაფად იზრდებოდა და თავთავსაც იკეთებდა, ამ პერიოდში მამას ბავშვები ხშირად დავყავდით ლომის ყანაში ირგვლივ ვუვლიდით, ვხმარობდით, რადგან უკვე მნივობის პერიოდში ჩიტები გვიჭამდნენ. ძირითადად ვთესავდით მთის ფერდობ ადგილებში სასურველი იყო მიწის ორჯერ გადახვნა. ვამზადებდით ისეთ ადგილებს სადაც მრავალწლიანი მცენარეები იყო, რცხილებთან ახლოს დათესილს კარგი მოსავალი ქონდა. ხის ძლიერი ფესვები ნიადაგს იკავებდნენ, წყალსაც ინარჩუნებდნენ. ლომის ყანა სქელი რომ არ ყოფილიყო თესლს ურევდით ნაცარში ან სილაში დათესვის დროს მიმოხნევით ჩამოუვლიდით ნაკვეთს“.

სოფელ ნიფნარიდან საცხოვრებლად სოფელ ფარცხმაში დასახლებული ვილენი კიკვაძე იგონებს: „ლომის მოსავლიანობა დამოკიდებული იყო ჯიშზე, ნიადაგის მომზადებაზე, თესვის წესსა და დროზე. ვთესავდით აუცილებლად „ძველ მთვარეზე“ თავთავი სავსე გამოვიდოდა. ლომის ჩალას საქონლის საკვებად ვხმარობდით გარდა ამისა მაგრად ვკრავდით კონებად და სახლების სახურავად ვხმარობდით. ლომის ყანის დასამუშავებლად სპეციალურ პატარა თოხს ვხმარობდით, ვცდილობდით ბალახს ლომისთვის არ გაესწრო სიმაღლეში თორემ მერე ძნელი სამუშაო იყო, ამიტომ როგორც კი წამოვიდოდა ყანა მაშინვე ვიწყებდით მუ-



შაობას. ხშირად ნადით ვამუშავებდით ყანებს, ერთი კაცი ლომის ყანაში ცოდო იყო. მამჩემი ცდილობდა რამდენიმე წლის შემდეგ ლომი და ქერი მონაცვლეობით დაეთესა, რადგან ერთი ჯიშის მარცვლეული კულტურა მიწის გამოფიტვას იწვევდა, კარგად გამხმარ მარცვალს ვფქვავდით და ვაცხობდით, მოხარშვით ნელიც იხარშებოდა“.

ივანე ჯავახიშვილის განმარტებით მარცვლოვანი საკვები მცენარეულობის, ისევე საქონლის საქმელი ბალახის მოსაკრებად მკა ყოფილა მიღებული. ლომის ღერო ნამგლით იჭრებოდა თავთავთან ერთად (მოსავლის აღების ამ პროცესს მკა ეწოდებოდა).

თვითმზილველები იგონებენ: მომკის შემდეგ, ხდებოდა კონების შეკვრა და შეგროვება. სახნავი ფართობები მოშორებული იყო საცხოვრებელ სახლს და ამიტომ ხშირ შემთხვევაში ლომის გასაცხები ჩამურები, რომლებიც ძირითადად ქვისაგან იყო გათლილი (ხის ჩამურები იშვიათი იყო) ფართობებში იყო ატანილი და იქვე ხდებოდა ლომის დამუშავება (გაცხების პროცესი). გაცხებილი ლომის ტომრებით გადატანა იოლი იყო. ჩალა საქონლისთვის გამოიყენებოდა, ამიტომ იქვე ზინებს დგამდნენ გახმობის შემდეგ მსუბუქი ხდებოდა და ურმებით გადმოჰქონდათ.

ჩამურის ხელკავი ძირითადად გათლილი იყო მასიური ხისაგან ჩამურთან მოპირდაპირე მხარეს იდგა ორი გამცხები და ერთმანეთისგან ხელისშეუშლელად არტყამდნენ ხელკავს ამ პროცესით ხდებოდა მარცვლის მოშორება თავთავიდან. წყაროებზე მოწყობილი იყო ჩამურები, რომელთა ქვისაგან დამზადებული ხელკავის ბოლო ამოჭრილი იყო ჯამის პრინციპით, ეს ადგილი ივსებოდა წყლით, თავი უკან გადაჰქონდა, წყალი იღვრებოდა და მექანიკური მოძრაობით ხდებოდა ლომის გაცხება.

ლომი გურულის ცხოვრებაში სარიტუალო დანიშნულებითაც გამოიყენებოდა. მაგალითად იგი აუცილებელი ატრიბუტი იყო კალანდობისას კალანდა დილას ოჯახის უფროსი მამაკაცი კალანდა დილას გობით ხელში, რომელზედაც დალაგებული იყო ღორის თავი, დოქით ღვინო, ჩიჩილაკი, ლომის მარცვლით სავსე ქოთანა. გალოცვის რიტუალს დაასრულებდა თუ არა ლომის მარცვლებით სავსე ჯამს მიწაზე დაანარცხებდა და იტყოდა ღმერთმა მოგვცეს მშვიდობა და ასე გაგვამრავლოს ჩვენი სტუმრიან-მასპინძლიან, საქონლიან, ფრინველიანაო.

დღეს, ლომის თესვას, რამდენიმე სოფელში მხოლოდ ერთეულ ადგილებში ვხვდებით. XVIII საუკუნის ბოლოს გადაშენების პირას მყოფ მცენარეს, მხოლოდ შინაური ფრინველის გამოსაკვებად თესავდნენ დღეს, საკვებად გამოიყენებენ. ვფიქრობთ თუკი მცენარე ლომს გაგამრავლებთ, მივიღებთ ეკოლოგიურად სუფთა საკვებს. თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით კი შესაძლებელი იქნება მოსავლის მცირე დანაკარგით აღება.

ჩოხატაურის ნ. ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი



# მკვლელობის შემთხვევა



„რა დედამ შობა ასეთი დაუნდობელი... გველის ტყავში გახვეული სულიერი, არანაირი ამქვეყნიური მასზე არ მოქმედებს, სული აქვს მოშხამული, ... სული... არაფერი არ ანუხებს, არ იცის ტკივილი, უცხოა მისთვის დარდი... თავად კარგი ტიპია რა... ისე მსჯელობს, თითქოს არასოდეს მოეკლას კაცი, თითქოს არასოდეს ჩაუხედავს სიკვდილმისჯილისთვის თვალბუნი... მაგრამ განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ადრე თუ გვიან მან იგრძნო სინდისის ქეჯნა. ლაშა ხომ ძალად აიყვანეს, შეიპყრეს, შებოჭეს და აიძულებენ აკეთოს ის, რასაც უბრძანებენ, მგლის ხროვაშია მოხვედრილი, საიდანაც თავის დაღწევას ცდილობს, მაგრამ ვერ ახერხებს. იცის ამისთვის რაც ელის, კარგად აქვს გაცნობიერებული რა ადამიანებშიც აქვს საქმე.

**N3-ის შესანდობარი დავლით,** – თავისი სასმისი გაიოზის გამოწვევით სასმისს შეაგება ლაშამ და სულმოუთქმელად დაცალა.

შენ რა... გაგიჟდი? რომელ შესანდობარზე ლაპარაკობ, - ჯერ არაფერი დაგიღვია, აზრი კი დაკარგე. იცი რა გველოდა ეს კაცი რომ ცოცხლად დაგვეტრომოდა ხელიდან? ერთი მისი ზედმეტი სიტყვა და ვირის აბანოში ამოვყოფდით თავს, ვინ იცის რამდენ ხანს გვახეხვინებდნენ, კიდევ კარგი დროზე მოვიცილეთ თავიდან, შესანდობარი კი არა სულში მიაფურთხე, – თავისებურად დამოძღვრა ლაშა გაიოზმა

– გაიოზ, – გახსოვს ჩვენი საერთო სახლი? – სულ სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი ლაშამ, რითაც გაიოზის უზომო გაკვირვება გამოიწვია.

– სად სახლი და სად ჩვენი აქ თავშეყრის მიზეზი?  
 – გახსოვს იქ გატარებული დღეები? – თავისას ადგა ლაშა მახსოვს, მერე რა... რა საქმე აქვს ამას საქმესთან? – უინტერესოდ მიუგო გაიოზმა.

– ჩვენ დედებისგან მიტოვებული ბავშვები ვიყავით, ტვირთად ვანექით მათ თავისუფლებას და სრული თავისუფლების მოსაპოვებლად თავიდან მოგვიცილეს, უპატრონო ბავშვთა სახლში მიგვაბარეს. ჩვენი დედები სისხლის სამართლის დამნაშავენი არიან გაიოზ... მათ წარმოუდგენელი ბოროტება ჩაიდინეს... სწორედ, იმ წუთიერად მოიშხამა ჩვენი სული, როცა მათ ფართე ჭიშკრის ზღვარს გადააბიჯეს და უკანმოუხედავად დაგვტოვდნენ. სწორედ მაშინ ჩავგისახლდა სულში ეშმაკი და სამუდამოდ დამკვიდრდა ჩვენში. გუშინდელივით მახსოვს, რასაც იმ წუთიერად განვიცდიდით, მაშინდელივით მტკივნა გული... მაშინდელი ფიქრები მიმძიმებს დღესაც გონებას. დედის ამგვარ ქმედებას არანაირი დანაშაული არ შეიძლება მიედაროს. მათ დაგვლუბეს ჩვენ! გახსოვს როგორ ვსახავდით

იმედებს, რომ ერთ დღესაც მოვიდოდნენ... მოვენატრებოდით და მოვიდოდნენ, იმედი იმედად რჩებოდა, გადიოდა დღეები, წლები... ისინი კი არ ჩანდნენ. შენ საგრძნობლად შეიცვალე, აღმზრდელები საძაგელ ბავშვს გეძახდნენ, ავუნედ პატარების წვალბა დაგჩემდა. ზოგს თმას წინკნიდი, ზოგს მწარედ ჩქმეტდი. შეჭყურებდი და გულს მალამოდ გედებოდა მათი წივილი – კივილი. რა იყო ეს... სისხლსა და ხორცში გამჯდარი სატანის გამოძახილი თუ ჩვენი ყოფით გამოწვეული, დაკოდილი გულის შვებად მოგვრის საშუალება. არ ვიცი არც მე ვიცი რა ვუნდო იმ შენს მაშინდელ მოქმედებას, ერთი კი ვიცი, დედაბები ყველაფერში დამნაშავე... შენი და ჩემი დედა გაიოზ!.. ეს მათი „უბადლო“ დამსახურებაა ჩვენ რომ დღეს ჯალათები და კაცის მკვლელები ვართ... სული მოგვიშხამეს დაგვიმახინჯეს თორემ სული რომ გვეტონოდა შეურყენელი, უმალ საკუთარ მკერდს მივუშვერდით, ვინემ დაშინებთა და იძულებით კაცთა კვლას დაეთანხმებოდით. გახსოვს... პირველ საქმეზე ცუდად გახდი, გონება დაკარგე... შემდეგ ჩვეულებრივ მოვლენად გექცა მკვლელობა... სისხლი.

– საკუთარ თავზე რატომ არაფერს ამბობ? – თვალბუნი წკურვით დაეკითხა გაიოზი.

– მე მძაგს საკუთარი თავი თავიდან რომ იყოს შესაძლებელი ცხოვრების დაწყება...

– სულ ერთია, მაინც არაფერი შეიცვლებოდა ჩვენს ცხოვრებაში...

ხო, ესაა სავალალო, – გულიც თან ამოატანა ნათქვამს ლაშამ.

– მოკლედ, შენი მონოლოგიდან გამომდინარე საქმეს ლაღატობ.

ამას მალე გაიგებ... ახლა მიცვალებულის შესანდობარი დალიე.

– ვინ... მე, – გაკვირვების ნიშნად გულზე ხელი მიიდო გაიოზმა.

– ხო, შენ! დალიე თორემ, თავზე დაგაფშვნი მაგ ჭიქას.

– ვის... მე-ე? – კიდევ მეტი გაკვირვების ნიშნად მხრებში აინურა გაიოზი, – ამისთვის დამიძახე აქ?

– მაგისტრის, მიკიბულ – მოკიბულს აღარ გავაგრძელებ, პირდაპირ გეტყვი, უნდა შეეშვა მაგ საქმეს.

– რა საქმეზე მელაპარაკები, იმაზე ხომ არა, რაშიც თავად იღებ მონაწილეობას?

– ვითომ ასეთი გულუბრყვილო ხარ?

– გამარკვიე, რას ითხოვ.

– თავს ნუ იკატუნებ, შეეშვები თუ არა? – ლაშა მაგიდას ხელებით დაყრდნობოდა და მიმინოსფერი მზერა მიუპყრო გაიოზისათვის.

– შენ ლაშა ხარ ინკირველი... თავად ჯალათი... სხვებისგან რას ითხოვ, ვერაფერი გამიგია, – ვითომდა გაურკვეველობის ნიშნად თავი გაიქნია გაიოზმა და საჩვენებელი თითით კეფა მოიფხანა.

– მე ძალად ჯალათი ვარ, დაშინებით, იძულებით აყვანილი. შენ ჯალათად ხარ დაბადებული, უფრო მეტიც, შენ ნადირი ხარ... ნადირი, რომელიც სისხლის დანახვაზე გიჟდება, სუნზე კი ჭკუას კარგავს... აი ვინა ხარ შენ... მე დღესაც ხელი მიკანკალებს თითოეულ გასროლაზე... შენზე უკვე დიდი ხანია აღარაფერი მოქმედებს.

– მოკლედ რა გინდა ძმაო, ეს ჩემი პროფესიაა, ვერ შევემ-

ვები. აი ჩემი პასუხი, ერთადერთი და უკანასკნელი, კიდევ რა გაინტერესებს? – გამომწვევად დაეკითხა გაიოზი და უტყხად მიაჩერდა თვალეში.

ლაშამ თავი ჩაკიდა, რალაცაზე მწარედ დაფიქრდა, აფორიაქებული გული დაიმშვიდა და რაც შეიძლებოდა წყნარად მიმართა გაიოზს – მე კიდევ მაქვს იმედი, რომელიც შენს ერთადერთ და უკანასკნელ შანსზე მიუთითებს.

– შენ იცი ჩემი ხასიათი, მე ვთქვი და გავათავე, – ჰო, მართლა, სულ დამავინწყდა მეკითხა, რისთვის დაგჭირდაპუ-მანური იდეის ცხოვრებაში განხორციელება, იგი ხომ ჩვენი პროფესიისგან შორს დგას. ასეთი რამ ჩვენ არ გვისწავლია, კაცთმოყვარეობა ჩვენთვის არავის უქადაგია, ჩვენს გულეში არასოდეს არავის ჩაუხედავს, ჩვენი სული ხომ სიძულვილითა და ბოროტებითაა გაჟღერებული...შენ საიდან მოგივიდა ასეთი იდეა, ვფიქრობ და ვერ გავრკვეულვარ.

– გაერკვევი... შენაც გაერკვევი... მთავარია ჩანვდე, – განცდით დაიწყო ლაშამ, – მთავარია სიბრალულის ოდნავი გრძნობააგელძრას, რომ ყინული დაიძვრება.

– მერედა როგორ შეიძლება მოხდეს ეს, – ცბიერმა ღიმილ-მა დაუგესლა უნდო სახე გაიოზს.

ლაშას არც მისი ცბიერი ღიმილი შეუნიშნავს, არც უნდო გამომეტყველებისთვის მიუქცევია ყურადღება, იმ იმედით, იქნებ გაიოზი რაიმე სასიკეთოსკენ მოვებრუნოო, საოცრად გადამდები მგრძნობელობით განაგრძნო, – სულ უბრალოდ გაიოზ... სულ უბრალოდ... შენს წინაშე რომ სასიკვდილოდ განწირული ადამიანი დგას და იცი, რომ მას შენს ხელიდან უნდა მოეღოს ბოლო, გესმის მისი ოხვრა... კენესა, ხედავ მის შიშისგან გაფართოებულ თვალებს, წარმოიდგინე მის ადგილას...

– ვინ? – სათქმელი პირიდან გამოგლიჯა ლაშას გაიოზ-მა და ზეზე წამოიჭრა, – ხო ვინ... გეკითხები, ვინ... დედა... მამა... ძმა... ან იქნებ ბებია და ბაბუა... რომელი ერთი გამაჩ-ნია... რომელი მათგანის სიყვარული განმიცდია... სიყვარული უცხოა ჩემთვის, სამაგიეროდ სიძულვილი ძლიერ ბოგინებს ჩემში,თითქოს დაბადებიდან თან მაქვს შეზრდილი... თუ ძმა ხარ ნუ მექადაგები ჩემთვის ჩაუნვდომელ თეორიებზე, შენ ის მითხარი, ვინ არის მომდევნო მსხვერპლი... სიბრალული რას მიქვიან ისე დავახლი ტყვიას თვალს არ დავახამხამებ, – ხე-პრული სიამაყე გამოსჭვიოდა გაიოზის გამომეტყველებიდან.

– ხო, რა თქმა უნდა, შენ ხომ პროფესიონალი ხარ.  
– სხვათაშორის შენც... ნუ დავავინწყდება.  
– არ მავინწყდება, თუმცა დიდი სურვილი მაქვს მისი და-ვინწყების, საბოლოოდ დასამარების...  
– რა ბზიკა გიკბინა დღეს? – განწმამტდა გაიოზი  
– მე შემებრალა ის კაცი გაიოზ! – აღელვებით წარმოთქვა ლაშამ და თავი ჩაჰკიდა.

შენ საქმეს ღალატობ... ეგ არ გამოგივა ინწკირველო, მე ფეხებზე მკიდა შენი სიბრალული, ვისაც გინდა იმას აკი-დე ზურგზე ტვირთად ეგ შენი ეგრეთ წოდებული ცოდვების კორიანტელი, ჩემთან და მამედოვირთან ასეთები არ გაგივა, გაიგე?... შენც იცი ჩვენწკირები ცოტანი არიან, თითქმის არც არიან, ჰოდა ჩვენ საჭირონი ვართ... საჭირონი!.. – საჩვენებე-ლი თითი თვალწინ დაუტრიალა გაიოზმა ლაშას.

– აკი ამიტომაც გამოხატა იმ საბრალომ უზომო გაკვირ-ვება, როცა თქვა, – არ მეგონა ქართველი ჯალათებიც თუ არსებობდნენო: – ნუთუ არაფერზე მიგანიშნებს ეს სიტყვები?  
– ნწუ! – არაფერზე, – უგრძნობლად მიუგო გაიოზმა.  
– შენ ქართველი ხარ ბოლოს და ბოლოს!... არ გეკადრება...  
– მერე რა რომ ქართველი ვარ?..

– მართლა ვერაფერს ხვდები... მართლა არაფერი გესმის? – შინაგანი ლელვისგან შუბლზე სიგრძივად განოლილი მიმი-კური ნაოჭი ავად შეუტოკდა ლაშას.

– არა და არა! – კითხვებზე პასუხს საბოლოოდ დაუსვა წერტილი გაიოზმა და სასმელით საესე ჭიქა იატაკს დაანარ-ცხა.

– შენ საბოლოოდ დაღუპულხარ გაიოზ! – დანანებით ჩაი-ლაპარაკა ლაშამ

– ეგ კარგა ხანია ასეა,ახლა რატომ გიკვირს?

– შენ სწორ გზას უნდა დაადგე, – თავისას არ იშლიდა ლაშა და მთელი მონდომებით ცდილობდა გაიოზის სულზე იო-ტისოდენა გარდატეხა მოეხდინა მაგრამ ამაოდ.

– სწორ გზას უნდა დაადგე, – მე ამას მოვიტოვო, – ხმა აიმაღლა ლაშამ.

– არ გამოვა... არ გამოვა ის რასაც შენ ასე დაჟინებით მოითხოვ, – უკანასკნელი ხაზგასმით აღნიშნა გაიოზმა

– გაფრთხილებ! – ბოლმა ახრჩობდა ლაშას.

– გვიანდაა ძმაო თითზე კბენანი – დამარცვლით წარმოთ-ქვა გაიოზმა და ასანთის ღერი კბილებსი გაირჭო.

– გვიანი არაფერია ამქვეყნად, მით უფრო დანაშაულის გამოსყიდვა... უკანასკნელად გაფრთხილებ... იცოდე, შემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი.

– და... თუ არა.. რა.. ჰო.. რა?

– რა და გამოგლადრავ კისერს... ღორივით დაგკლავ, შენ ამის ღირსი ხარ!..

– შენგან მიკვირს... აკი ჰუმანოიდი ვარო?..

– არ ვარ ხუმრობის ხასიათზე, – არაადამიანური ხმით დაიღრიალა ლაშამ.

– სხვათაშორის არც მე.

– უხ! – კბილები გააღრჭიალა ლაშამ, სწრაფი, მოქნილი მოძრაობით თავზე დააცხრა გაიოზს, ხელები დაუჭირა და და-ნის წვერი ყელზე მიაბჯინა, – შენ უნდა მოკვდე... შენ ნაძირა-ლა ხარ... შენი სიკვდილი ბაირამობა იქნება ქვეყნისთვის... შენ ნამდვილი ჯოჯო ხარ... ბოროტების ღმერთი!..

– ასეთი ღმერთიც არსებობს განა? – ქვემოდან ამოხედა დანის წვერქვეშ მოქცეულმა გაიოზმა ლაშას.

მოულოდნელად ისე მოხდა, რომ გაიოზმა შეძლო თავის განთავისუფლება. უპირატესობა მის ხელში აღმოჩნდა. ლაშა ადგილს მოწყდა და შეეცადა დანა აერთვა გაიოზისთვის, მა-გრამ ვერ მოახერხა...

– აი თურმე ვინ ყოფილა ჩემი მომდევნო მსხვერპლი, – ამჟამად გაიოზი მოქცეოდა ლაშას ზემოდან, – ამას რას წარ-მოვიდგენდი... საკუთარი სურვილით საკუთარი სიცოცხლის სამსხვერპლოზე მიმტანი ლაშა გენოს-ძე ინწკირველი... იცო-დე ასე მოგიხსენიებენ... ლაშამ სცადა ძალის მოკრეფა, გაიო-ზის მიერ გატეხილი ჭიქის ნამსხვრევის თვისკენ მოცოცება... თვალსადახელსშუა გაჰკრა ყელზე ნამსხვრევი... გაიოზმა განწირული ხმით დაიღრიალა, იქვე ჩაიკეცა და ლაშას წინა-აღმდეგ იერიშზე მიტანილი დანა ხელიდან გაუვარდა.

მოულოდნელი შემთხვევისგან გახევებული მაცურებელი, ვინც იმ დროს რესტორანში იმყოფებოდა, მათ შორის მზარეუ-ლი და მიმტანი, ყელგამოლადრული გაიოზის დანახვაზე მო-ვიდნენ გონს და ერთხმად შეჰყვირეს, – პოლიცია... პოლიცია!

დასაწყისი გურია REGION -ის №8  
გაგრძელება შემდეგ ნომერში

ირინა რამიშვილი

მშობლიური სეზონი გვიხმობს  
და ჩვენც სუბიექტის ლამაზ  
მიღწევებში ვიხილავთ

**სამხარეთლო კომპანია  
„მრბინ“ დამფუძნებელი  
ელგუჯა და უმრბული ნონონობის  
კანონიანი სონო ღონინეიზვილები**



Homeopathic and Georgian Traditional Medicine Clinic

**“FAMILY DOCTOR”**

ჰომეოპათიური და ქართული ტრადიციული მედიცინის კლინიკა  
„ოჯახის მკურნალი“



კლინიკის დირექტორი: ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი თორნიკე ალაშვილი. კომპლექსური მკურნალობა ხერხემლის პრობლემების, ღვიძლის, ბრ. ასთმის, ფსორიაზის, აუტიზმის.

ალინაა ოჯახის მკურნალი-ს მისამართი:

ძალაჩი თბილისი, რუსთაველის გამზირი №28 უსაქონლო კაპაპაძის №2ა

ტელ: (+995) 2 98 64 86; 5 99 55 99 61

www. Curamediana. Ge

ISSN 2346-7606

